



კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ახალაია აიეტი

მოწმის დაკითხვის სამართლებრივი ასპექტები

(ნაშრომი შესრულებულია მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად)

ხელმძღვანელი, სამართლის პროფესორი:

ჭელიძე სერგო

თბილისი

2018 წელი

გამოყენებული აბრევიატურა:

აუეს_ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

აუეკ_ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია

სსკ _ სისხლის სამართლის კოდექსი

სსსკ _ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

ე.წ. _ ეგრეთ წოდებული

ე.ი. _ ესე იგი

გვ - გვერდი

ა.შ. _ ასე შემდეგ

სხვ. _ სხვა

მაგ. _ მაგალითად

იხ. _ იხილეთ

შეად. _ შეადარეთ

თბ. _ თბილისი

წ. _ წელი

წწ. _ წლებში

რედ. _ რედაქტორი

ჟ. _ ჟურნალი

დასახ. ნაშრ. _ დასახელებული ნაშრომი

დასახ. სტატია _ დასახელებული სტატია

გამომც. _ გამომცემლობა

აშშ _ ამერიკის შეერთებული შტატები

გაერო _ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია

ჯანმო _ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია

წმ. _ წმიდა

ჟ. _ ჟურნალი

ა ნ ო ტ ა ც ი ა

ნაშრომში მიმოხილულია მოწმის დაკითხვის არსი და მნიშვნელობა. განხილულია მოწმის დაკითხვის გამოძიების სტადიაზე და სასამართლოში საქმის განხილვისას ძირითადი ასპექტები, შედარებითი ანალიზი, აგრეთვე მათი მდგომარეობა როგორც კონტინენტურ, ისე საერთო სამართლის ქვეყნებსა და საქართველოში. მოცემულია მოწმის დაკითხვა გამოძიების სტადიაზე და სასამართლოში საქმის განხილვისას წამოჭრილი პრობლემების ანალიზი და ამგვარი დაკითხვის მიმართება საქმეზე ჭეშმარიტი და რელევანტური მტკიცებულებების მოპოვებასთან.

ნაშრომი მოიცავს მოწმის დაკითხვის მოკლე ისტორიულ დისკურსსა და თანამედროვე მსოფლიოსა და საქართველოში ამჟამად არსებულ მოწმის დაკითხვას გამოძიების სტადიაზე და სასამართლოში საქმის განხილვისას. ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებასთან. აგრეთვე, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მონაწილეა და რელევანტურია საქართველოს კანონმდებლობის შედარება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალთანაც.

მოცემულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები და მათ ნიადაგზე გამოტანილია შესაბამისი დასკვნები. დასკვნის სახით კი მოცემულია მოწმის დაკითხვის სიახლეები და მათ გარშემო არსებული პრობლემები. ხდება შედარება და ანალიზი ძველსა და ახალ კანონმდებლობას შორის, და განხილულია საკითხი თუ რა შედეგის მომტანია სიახლე მოწმის დაკითხვის სამართლებრივ ასპექტებში.

Annotation

The essence of the questionnaire is the essence and significance of the interrogation of the witness. The main aspects, comparative analysis, and their condition in both continental and common law countries and in Georgia are discussed at the trial stage of the interrogation of the witness and the court. The questioning of the witness is given at the investigation stage and the analysis of the problems arising in the hearing of the case and the interrogation of such interrogation with the finding of the true and relevant evidence. The work includes a brief historical discourse of interrogation of witnesses and a refusal of a witness in the modern world and in Georgia at the stage of investigation and hearing the case in court.

The work emphasizes the right to fair trial, which is found not only in the conventions but in international legal documents. It is also a participant of the European Convention on Human Rights and is relevant to comparing Georgian legislation with the case-law of the European Court of Human Rights. The decisions of the European Court of Human Rights are given and the relevant conclusions are presented on their grounds.

The conclusion is that the witnesses are interrogating news and problems around them. There is a comparison between the old and the new legislation, and the question is about the outcome of the question in the legal aspects of questioning the witness.

Contents

შესავალი.....	7
I თავი. მოწმის დაკითხვის ზოგადი თავისებურებები	10
1.1 მოწმისა და დაკითხვის ცნება.....	10
1.2 სისხლის სამართლის პროცესში მოწმის გამომრიცხველი გარემოებები.....	11
1.3 მოწმის უფლება-მოვალეობები და მათი სახეები.....	12
1.4 მოწმის ჩვენების მიცემის ვალდებულებისაგან გარკვეული გამონაკლისები	13
II თავი. მოწმის ჩვენებისა და დაკითხვის ისტორიული ასპექტები.....	15
2.1 მოწმის ინსტიტუტი ქართულ წყაროებში	15
2.2 „მთხრობელის“ ინსტიტუტი ქართული სამართლის ძეგლების მიხედვით.....	16
2.3 მოწმის მდგომარეობა ძველი აღმოსავლეთის, ანტიკურ და აზიის ზოგიერთ ქვეყანაში	17
III თავი. მოწმის დაკითხვის სპეციფიკა საქართველოში გამოძიების სტადიაზე და სასამართლოში საქმის განხილვისას.....	19
3.1 მოწმის დაკითხვა საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესის მიხედვით	19
3.2 მოწმის დაკითხვა 1998 წლის საქართველოს სსსკ-ის მიხედვით	21
3.3 მოწმის დაკითხვა გამოძიების სტადიაზე 2009 წლის საქართველოს სსსკ-ის მიხედვით	23
3.4 მოწმის დაკითხვის ზოგადი წესი	27
3.5 მოწმის დაკითხვა სასამართლო პროცესზე.....	28
IV თავი. მოწმის დაკითხვის სპეციფიკა საზღვარგარეთის ქვეყნებში გამოძიების სტადიაზე და სასამართლოში საქმის განხილვისას.....	32
4.1 მოწმის დაკითხვა ამერიკის შეერთებულ შტატებში	32
4.2 მოწმის დაკითხვა ინგლისში	34
4.3 მოწმის დაკითხვა გერმანიაში	36
4.4 მოწმის დაკითხვა საფრანგეთში	38
4.5 განხილვა კონტინენტურსა და ანგლოამერიკულ სამართლის სიტემის მქონე ქვეყნებს შორის მოწმის დაკითხვასთან დაკავშირებით	39
V თავი. სამართლიანი სასამართლო განხილვის, მოწმეთა გამოძახებისა და დაკითხვის უფლება.....	41
5.1 სამართლიანი სასამართლო განხილვის ზოგადი საკითხები.....	41
5.2 ბრალდებისა და დაცვის მოწმეები ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მესამე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი.....	42

5.3 მოწმის ავტონომიური ცნება აუეს-ის პრეცედენტული სამართლის მიხედვით და აუეს-ის პრაქტიკაში არსებული გარემოებები	43
5.4 მოწმის გამოძახებისა და დაკითხვის უფლება სხვადასხვა კონვენციებისა და დოკუმენტების მიხედვით	45
5.5 დაცვის მხარის უფლებათა შეზღუდვის აცილების შეუძლებლობა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით	47
VI თავი. დაკითხვის პროცესში გამოყენებული ტექნიკური საშუალებები	48
6.1 დაკითხვისას ვიდეო და აუდიო აპარატურის გამოყენების პროცესუალური და ტაქტიკური ხერხები	48
6.2 დაკითხვის არატრადიციული მეთოდები	55
2. ჰიპნოზის გამოყენება დაკითხვისას	59
3. ბიორითმოლოგიის გამოყენება დაკითხვისას	60
4. სუნისა და მუსიკალური ფონის გამოყენება დაკითხვისას	61
5. ნარკოტიკული საშუალებების გამოყენება დაკითხვისას	63
VII თავი. სიახლეები კანონმდებლობაში და პრობლემის არსი	65
7.1 ცვლილება სსსსკ-ის ნორმებში, შედარება ჰოლანდიის კანონმდებლობასთან (მოწმის დაკითხვასთან დაკავშირებით)	65
7.2 ახალი წესები და პრობლემატიკა აღნიშნული სიახლეებიდან გამომდინარე.	68
დასკვნა	73

შესავალი

მოწმის დაკითხვა უმთავრესი საგამომიებო მოქმედებაა და მისი პრიორიტეტულობა არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ რიგ ქვეყნებშია შესამჩნევი. ამის სადემონსტრაციოდ შეგვიძლია მოვიშველიოთ ცნობილი ინგლისელი იურისტი და ფილოსოფოსის ჯერემი ბენტამის (1748-1832) გამოთქმა: „მოწმე, ეს არის მართლმსაჯულების ყური და თვალი. მოწმის ჩვენებას აქვს მაგიური ძალა, რომელსაც შეუძლია საქმის მთლიანი მსვლელობა შეცვალოს“. საყურადღებოა, რომ სასამართლოს განაჩენი უნდა ემყარებოდეს უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას. ამ მტკიცებულებათაგან კი წამყვანი ადგილი უკავია მოწმის ჩვენებას.

მოწმის უტყუარი და ჭეშმარიტი ჩვენება არის ის ერთ-ერთი პირობა, რომელიც უზრუნველყოფს სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელებას და შესაბამისად სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობის მიზნების ჯეროვნად რეალიზებას. ამდენად, სისხლის სამართლის საქმეების ბედი დამოკიდებულია მოწმეთა ჩვენებებზე, რადგან უმეტეს წილად ისინი წარმოადგენენ მტკიცებულების დამოუკიდებელ სახეს. აქედან გამომდინარე მოწმის ჩვენების სისრულის და მართებულობის დადგენა წარმოადგენს გამომიებისათვის ერთ-ერთ მთავარ პრობლემას.

სამწუხაროა მოწმის დაკითხვის ვითარება იმის ფონზე, რომ ბევრ ქვეყანაში მოწმეები ხშირად ექვემდებარებიან სისტემატურ დაშინებას, ხანგრძლივ დაკავებას და უფლებებით სარგებლობაზე უარის თქმას, ასევე, სავარაუდოა, რომ მოწმის იძულება გამოცხადდეს საგამომიებო ორგანოში ჩვენების მისაცემად, ძველი (2009მდე, 2016წ) კანონმდებლობით თავის მხრივ დისკრეციული ხასიათის გახლდათ, დისკრიმინაციულად იქნებოდა გამოყენებული ეთნიკური უმცირესობებისადმი და საფუძვლიანად აღუძრავდა მათ შიშს. გარდა ამისა, ცხადია, რომ მოწმის იძულება ეწინააღმდეგება შეჯიბრებითობის და თანაბარი შესაძლებლობების პრინციპებს, რომელთა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში დანერგვაზეც საქართველომ დიდი სამუშაო გასწია. იმდენად, რამდენადაც საქართველო დამოუკიდებლობისა და დემოკრატიულობის შედარებით მოკლე

პერიოდს ითვლის, მნიშვნელოვანია იმ ძირითადი ტენდენციების განსაზღვრა და დანერგვა, რომელიც საქართველოში არსებულ მოწმის დაკითხვას ახასიათებს. საერთო სამართლის ქვეყნებში განხორციელებული პრაქტიკა მოწმის დაკითხვასთან დაკავშირებით დემოკრატიულობის მაღალი ხარისხის მაჩვენებელია. საქართველოსთვის, როგორც მზარდი აღმავლობის მქონე სახელმწიფოსათვის, მნიშვნელოვანია იმ წამყვან სახელმწიფოთა გამოცდილების გაზიარება, რომლებიც მრავალი წელია წარმატებით ახორციელებენ მოწმეთა დაკითხვას გამოძიების სტადიაზე და სასამართლოში საქმის განხილვისას. ცნობილია, რომ საქართველომ როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის წევრმა ქვეყანამ დიდი გზა განვლო აქამდე მოსასვლელად, რათა თავისი ნება გამოეფლინა მანკიერებათა წინააღმდეგ ბრძოლაში - დაშინება, წამება, იძულება, შანტაჟი, შეურაცხყოფა მოწმეთა დაკითხვისას გამოძიების სტადიაზე და სასამართლოში საქმის განხილვისას.

საქართველომ განახორციელა სამართლებრივი რეფორმები, რომლებიც საწინდარია ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის უზრუნველყოფისაკენ. მოწმე, როგორც მტკიცებულებითი ინფორმაციის მატარებელი იქმნება თვით გამოსაძიებელი საქმის გარემოებებით და შეუცვლელია სისხლის სამართლის პროცესში, ვინაიდან მისი ჩვენება ეხება უშუალოდ მის მიერ ნანახს ან მოსმენილს და რომლის შესახებ ინფორმაციის მიწოდებაც, როგორც წესი, მხოლოდ მას შეუძლია. სწორედ ამიტომ მოწმეს და მის მიერ მიცემულ ჩვენებას სისხლის სამართლის პროცესში შეუნაცვლებადი ხასიათი გააჩნია. ამიტომ მოწმის დაკითხვაზე მსჯელობა მუდმივად ინარჩუნებდა და ინარჩუნებს აქტუალობას და ხშირად ხდება კამათის ობიექტი როგორც ხელისუფლების, ასევე - საზოგადოების წარმომადგენელთა შორის.

სწორედ ამ პრობლემებიდან და სიახლიდან გამომდინარე გადავწყვიტე შემექმნა შესაბამისი პირობები და დამემუშავებინა ჩემ მიერ წარმოდგენილი ნაშრომი.

კვლევის მიზანი და ამოცანა. კვლევის მიზანია სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენა და მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეწყობა, ხოლო კვლევის მიზანმა განაპრირობა შემდგომი ამოცანის გადაწყვეტა, რომ დასაკითხი პირისაგან მიღებულ იქნას სწორი და ზუსტი ინფორმაცია მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით. ასევე იმ ხარვეზების წარმოდგენა რაც ძველ კანონმდებლობაში გახლდათ მოწმის დაკითხვასთან დაკავშირებით.

კვლევი მეთოდოლოგიური საფუძველი. კვლევისას გამოყენებულია ისტორიული, ფორმალურ-ლოგიკური, შედარებით-სამართლებრივი და სხვა მეთოდები.

კვლევის საგანია. იმ ფაქტების, გარემოებათა და მოვლენათა თანმიმდევრობა, რომლებმაც ხელი შეუწყვეს დანაშაულის ჩადენას და ყველა სხვა მონაცემები, რომელსაც მნიშვნელობა აქვს გამოსაძიებელ საქმეზე რეალობის დადგენისათვის. ასევე იმ პრობლემის და ხარვეზების წარმოდგენა რაც ადრე მოქმედ სსსკ-ის კანონმდებლობას გააჩნდა, მოწმის დაკითხვის მიმართებით. ასევე გახვიხილავ სიახლეებს და პრობლემებს კანონმდებლობაში.

სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა. ნაშრომი შედგება შესავლის, 7 თავის, 27 პარაგრაფის, დასკვნისა და გამოყენებული ლიტერატურის სიისაგან. ნაშრომის მოცულობა სულ შეადგენს 75 გვერდს.

I თავი. მოწმის დაკითხვის ზოგადი თავისებურებები

1.1 მოწმისა და დაკითხვის ცნება

მოწმის ლეგალური დეფინიცია მოცემულია სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-20 ნაწილში, რომლის თანახმად, (პოტენციური) მოწმე არის პირი, რომელმაც შეიძლება იცოდეს სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად საჭირო მონაცემები. პირი მოწმის სტატუსსა და უფლება-მოვალეობებს იძენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე გაფრთხილებისა და ფიცის დადების შემდეგ¹².

სასამართლოში ჩვენების მიცემისას მოწმის სტატუსით სარგებლობენ, მისი უფლებები ენიჭებათ და მისი მოვალეობები ეკისრებათ ასევე გამომძიებელს, პროკურორს, ბრალდებულს, დაზარალებულს, ექსპერტსა და თარჯიმანს.³

დაკითხვა წარმოადგენს ყველაზე გავრცელებულ საგამომძიებო მოქმედებას, რომელიც ტარდება უკლებლივ ყველა სისხლის სამართლის საქმეზე. ხშირად დაკითხვა წარმოადგენს მტკიცებულებების მოპოვებისა და შემოწმების ძირითად საშუალებას. დაკითხვის სუბიექტებია გამომძიებელი, პროკურორი და ადვოკატი.⁴

დაკითხვა არის ინფორმაციის მიცემა სასამართლოსათვის სისხლის სამართლის საქმის მნიშვნელობის მქონე გარემოების შესახებ, რომელიც პირს ამართლებს ან ამხელს დანაშაულის ჩადენაში. დაკითხვისას გროვდება ინფორმაცია ფაქტობრივი მონაცემების შესახებ.⁵

მოწმის მოვალეობა ყოველთვის წინ დგას პროცესის სხვა მონაწილის მოვალეობაზე, ვინაიდან, მოწმე, პროცესის სხვა მონაწილეთაგან განსხვავებით, საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის უშუალოდ აღქმის განუმეორებლობიდან გამომდინარე, შეუცვლელია.⁶⁷

¹ ლალიაშვილი თ., სისხლის სამართლის პროცესი, გამომცემლობა "იურისტების სამყარო", 2015, გვ.292;

² ლომსაძე მ., სისხლის სამართლის პროცესი, გამომცემლობა "ბონა კაუზა", თბილისი, 2015, გვ.70;

³ საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი (კერძო ნაწილი), ავტორთა კოლექტივი, გამომცემლობა "იურისტების სამყარო", თბილისი 2012, გვ.48;

⁴ ლომსაძე მ., სისხლის სამართლის პროცესი, გამომცემლობა "ბონა კაუზა", ბილისი 2015, გვ.150;

⁵ P.X. Якупов, уголовный процесс Москва, 1998, ст.261;

⁶ Eisenmerg, Beweisrecht der stop, 6. Auflage, S.287;

მხარეებს სისხლის სამართლის პროცესში მოწმის სტატუსით მონაწილეობის მისაღებად უფლება აქვთ მიიწვიონ ნებისმიერი პირი, რომელსაც შეუძლია სასამართლოში მისცეს ჩვენება სისხლის სამართლის საქმის რელევანტურ გარემოებებთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ „მოწმის ვარგისიანობა“ დამოკიდებულია პირის უნარზე. სწორად აღიქვას, დაიმახსოვროს და აღიდგინოს საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებები და მისცეს ჩვენება.⁸

საქართველოს სისხლის სამართლის პროცესის მსგავსად, იტალიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 196-ე მუხლის თანახმად „მოწმედ გამოსვლა ყველა პიროვნებას შეუძლია“. იმავე კოდექსის 196-ე მუხლის მეორე ნაწილი აკონკრეტებს, რომ „თუ აუცილებელია მოწმედ გამოძახებული პირის ფიზიკური ან ფსიქიკური ვარგისიანობის შემოწმება, მოსამართლეს შეუძლია დაადგინოს სათანადო პროცედური ჩატარება“.⁹

1.2 სისხლის სამართლის პროცესში მოწმის გამომრიცხველი გარემოებები

სასამართლოში პირი არ შეიძლება დაიკითხოს მოწმედ, თუ იგი ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლის გამო მოკლებულია აღნიშნულ უნარს (სსსკ-ის 50-ე მუხლის მე-2 ნაწილი). რამდენადაც სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა „მოწმის ვარგისიანობას“ არ უკავშირებს პირის ასაკს, დასაშვებია მოწმედ სასამართლოში არასრულწლოვნებისა და მცირეწლოვნების დაკითხვაც, მათი ასაკის მიხედვად, თუ მათ შეუძლიათ სწორად აღიქვან, დაიმახსოვრონ და აღიდგინონ საქმისათვის მნიშვნელოვანი მქონე გარემოებები. ასევე, შესაძლებელია ყრუ-მუნჯის მოწმედ გამოძახება (იხ. სსსკ-ის 117-ე მუხლი), რომელსაც აქვს უნარი, თარჯიმნის მეშვეობით ყრუ-მუნჯთა ნიშნებით მისცეს სასამართლოში ჩვენება.¹⁰

ფსიქიკური ან/და ფიზიკური ნაკლის არსებობა, რომელიც მოწმეს ხელს შეუშლის სწორად აღიქვას, დაიმახსოვროს და აღიდგინოს ფაქტები, უნდა

⁷ ლალიაშვილი თ., სისხლის სამართლის პროცესი, გამომცემლობა "იურისტების სამყარო", თბილისი 2015, გვ.306;

⁸ იხ. იქვე, გვ.306.;

⁹ საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილი), ავტორთა კოლექტივი, გამომცემლობა "იურისტების სამყარო, თბილისი 2013, გვ.175-176;

¹⁰ ლალიაშვილი თ., სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილი), გამომცემლობა "იურისტების სამყარო", თბილისი 2015, გვ.293-294;

დასტურდებოდეს ოფიციალური დოკუმენტით. მაგრამ სსსკ არ აზუსტებს დოკუმენტის სახეს (ვის მიერ გაცემული, როგორი ფორმით, რამდენი ხნით ადრე და ა.შ). ამიტომ სსსკ-ის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე უნდა მოხდეს სსსკ-ის 105-ე (მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი) და 180-ე მუხლების ანალოგიით გამოყენება. „აღნიშნული ნორმების შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ ბრალდებულის ფსიქიკური მდგომარეობის დასადგენად კანონმდებელი ყველა შემთხვევაში ითხოვს სახელმწიფოს სამედიცინო დაწესებულების დასკვნას. ამიტომ საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისი ნორმების საერთო ანალიზიდან და იქიდან გამომდინარე, რომ სასამართლოში ჩვენების მიცემისას ბრალდებულსაც მოწმის სტატუსი გააჩნია, მოწმის შეურაცხაობის (ფსიქიკური მდგომარეობის) საკითხი უნდა დადგინდეს სახელმწიფო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით“.¹¹²

1.3 მოწმის უფლება-მოვალეობები და მათი სახეები

მოწმეს უფლება აქვს: ა) იცოდეს რა საქმისთვისაა გამოძახებული ბ) მონაწილეობა მიიღოს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაში გ) არ მისცეს ჩვენება, რომელიც დანაშაულის ჩადენაში ამხელს მას ან მის ახლო ნათესავს და სხვა. ხოლო, მოწმეს, კანონიდან გამომდინარე, სამი ძირითადი მოვალეობა გააჩნია: ა. სასამართლოში გამოცხადების ვალდებულება; ბ. სიმართლის შესაბამისი ჩვენების ვალდებულება; გ. ფიცის დადების ვალდებულება (მუხლი 48).¹³

არსებობს სხვადასხვა კატეგორიის მოწმეები:

1. **დამყოლი** - ასეთი მოწმეები ძირითადად გამოირჩევიან ბრალდებულის დახმარების სურვილით და სურთ, რომ იხილონ მართლმსაჯულება. თუმცა, ამავე დროს მათ შესაძლოა არ მოისურვონ სასამართლოში მოწმედ წარსდგომა.

2. **ნეიტრალური** - ამ კატეგორიას განეკუთვნებიან დამოუკიდებელი მოწმეები, რომლებსაც არ აქვთ რაიმე კონკრეტული დამაბრკოლებელი მიზეზი,

¹¹ აგრეთვე იხ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, გამომცემლობა "მერიდიანი", თბილისი 2015, გვ.261;

¹² საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 30/01/2013 წლის განჩინება საქმეზე # 3აგ-13;

¹³ ლომსაძე მ., სისხლის სამართლის პროცესი, გამომცემლობა "ბონა კაუზა", თბილისი 2015, გვ.71;

რათა ესაუბრონ დაცვის მხარეს, თუმცა განიცდიან რა ზოგად უხერხულობას პროცედურული საკითხების მიმართ, არ სურთ ჰქონდეთ რაიმე სახის კავშირი განსახილველ საქმესთან.

3. **დაპირისპირებული** - ასეთი მოწმეები ძირითადად ბრალდების მხარეს არიან გადახრილი; ისინი გამოირჩევიან სიტყვაძუნწობითა და გამოდიან დაზარალებულის ინტერესების დამცველებად; წარმოადგენენ სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებს, ან ყოფილ პოლიციის ოფიცრებს;¹⁴

1.4 მოწმის ჩვენების მიცემის ვალდებულებისაგან გარკვეული გამონაკლისები

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს ჩვენების მიცემის ვალდებულებისაგან გარკვეულ გამონაკლისებს. აღნიშნული გამონაკლისი ემსახურება სისხლის სამართლის საქმეზე სიმართლის დადგენასაც, რადგან სავსებით მოსალოდნელია, რომ პირმა ბრალდებულთან ახლო ნათესაური დამოკიდებულების ან პროფესიული მოვალეობების გამო იცრუოს დაკითხვის დროს ან მისცეს სასამართლოში არასრული ჩვენება. მოწმის ვალდებულებისაგან გათავისუფლება ნიშნავს იმას, რომ პირს არ ეკისრება მოწმედ დაკითხვისა და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის შემცველი საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან სხვა ობიექტის გადაცემის ვალდებულება. თუ პირი ისარგებლებს ამ უფლებით, მის მიერ მოწმედ მონაწილეობაზე უარის თქმა დაუშვებელია გამოყენებულ იქნეს თავად ამ პირის ან ბრალდებულის წინააღმდეგ. სსსკ-ის 50-ე მუხლის მე-3 ნაწილი კიდევ უფრო აფართოებს იმ პირთა წრეს, რომლებიც გამონაკლის შემთხვევებში შესაძლებელია სასამართლოს გადაწყვეტილებით გათავისუფლდნენ მოწმის მოვალეობის შესრულების ვალდებულებისაგან. როგორც წესი, აღნიშნული პირები ვალდებულნი არიან მიიღონ პროცესში მოწმის სტატუსით მონაწილეობა, მაგრამ თუ ცალკეულ შემთხვევებში მართლმსაჯულების ინტერესები არ აღემატება პირის კანონით დაცულ ინტერესებს, სასამართლო უფლებამოსილია გაათავისუფლოს ისინი მოწმის ვალდებულებისაგან. ამ

¹⁴ (სახელმძღვანელო იურისტებისათვის) თავი 3, „პირდაპირი დაკითხვა, ჯვარედინი დაკითხვა“ გამომცემლობა "მერიდიანი, თბილისი 2013, გვ.48-49.

შემთხვევაში სასამართლო მხედველობაში იღებს როგორც პირის კანონიერ ინტერესებს, არ გამოვიდეს მოწმედ, ისე განსახილველი სისხლის სამართლის საქმეზე არსებულ საჯარო ინტერესს, დანაშაულის სიმძიმეს, მოწმის ჩვენების მტკიცებით მნიშვნელობას, მხარეთა ინტერესებს და ა.შ.¹⁵

¹⁵ თუმანიშვილი გ., სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბილისი 2014, გვ.158;

II თავი. მოწმის ჩვენებისა და დაკითხვის ისტორიული ასპექტები

2.1 მოწმის ინსტიტუტი ქართულ წყაროებში

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრებამ რომ IX-XIV საუკუნეებში, როდესაც ქართული სახელმწიფოებრიობა განვითარების მაალ საფეხურზე იდგა და სამართლებრივი კულტურაც მისი ადეკვატური იყო, მოწმის ჩვენებას დიდი პროცესუალური მნიშვნელობა ენიჭებოდა. აგრეთვე, ვახტანგ VI თავისი სამართლის წიგნის სხვა მუხლებსი არაერთხელ იხსენიებს მოწმის ჩვენებას, როგორც მტკიცებულებას. ამ თვალსაზრისით საინტერესოა მე-3 მუხლი, რომლის შესაბამისად, მოსამართლე უნდა იყოს მოწმის მამებარი და მოწმის მეშვეობით უნდა ეცადოს სამართლის დადგენას. მოწმის ჩვენების უპირატესობაზე მეტყველებს, მაგალითად 157-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც პირუტყვზე დავის დროს მოსამართლემ მესაკუთრე მოწმის მეშვეობით უნდა დაადგინოს. ვახტანგ VI-ს კარგად ესმის, რომ ნეიტრალური პირის მოწმის ჩვენება უფრო ობიექტურად წყვეტს საქმეს, ვიდრე რომელიმე დაპირისპირებული მხარის, ამიტომ მოუწოდებს იგი მოსამართლეს, იყოს მოწმის მამებარი და მოწმის ჩვენების საფუძველზე საქმის გადაწყვეტისას მიანიჭოს უპირატესობა. ვახტანგის სამართლის წიგნის მე-13 მუხლით განსაზღვრულია მოწმეთა თვისებები. „სარწმუნო“ მოწმე უნდა იყოს ღვთის მოშიში, ჭკვიანი, სანდო, მართალი კაცის სახელი ჰქონდეს და სხვა. ასეთი მოწმე ორიც რომ იყოს, მოსამართლემ მათ ჩვენებას უნდა დაუჯეროს, ისე რომ არც კი დააფიცოს ისინი. ძველი ქართული სამართალი კრძალავს ქალის მოწმობას, ეს კარგად ჩანს ვახტანგის სამართლის წიგნშიც, თუმცა XVIII საუკუნის 70-იანი წლებიდან უკვე ვხვდებით ქალ მოწმეს, რაც ქალისადმი სასამართლოს დამოკიდებულების შეცვლაზე მეტყველებს. ამ ვითარებაში გამოძახილად შეიძლება

ჩაითვალოს დავით ბაგრატიონის სამართლის წიგნის 82-ე მუხლი, სადაც ქალიცა და მამაკაციც ერთნაირი უფლებისმატარებელია.¹⁶

აქვე უნდა ითქვას, რომ ვახტანგის სამართლის წიგნის მე-13 მუხლში გადმოცემული მოწმის ჩვენების პროცესუალური მნიშვნელობა აშკარად არ შეესაბამება სასამართლო ხასიათის დოკუმენტებში ასახულ ვითარებას. ეს განსაკუთრებით ეხება XVIII საუკუნის II ნახევრის სასამართლო ხასიათის დოკუმენტებს, რომელთა მიხედვითაც მოწმის ჩვენება პირველხარისხოვანი მტკიცებულებაა, მოსამართლეები აშკარა უპირატესობას ანიჭებენ მოწმის ჩვენებას ფიცთან შედარებით, რომელსაც მხოლოდ მოწმის არარსებობისას იყენებდნენ.¹⁷

მოწმეთა დაკითხვა, ძირითადად, სასამართლო პროცესზე ხდებოდა, სასამართლოს შეეძლო ვადა განესაზღვრა მხარეებისათვის მოწმის მოსაძებნად და სასამართლოში მისაყვანად. თუ ამ ვადაში ვერ შეძლებდნენ ისინი მოწმის მოყვანას, სასამართლო ფიცს მიმართავდა. თუმცა სასამართლოს შეიძლება მხედველობაში მიეღო მოწმეთა წერილობითი ჩვენებაც, „მოწმის წერილი“, „მოწმის წიგნი“. მას მოწმის ხელმოწერა და ბეჭედი უნდა ჰქონოდა, ხოლოთუ წერა არ იცოდა, ან ბეჭედი არ ჰქონდა, ჩამწერს უნდა დაედასტურებინა ჩვენების სინამდვილე.¹⁸

2.2 „მთხრობელის“ ინსტიტუტი ქართული სამართლის ძეგლების მიხედვით

მოწმის ინსტიტუტთან დაკავშირებით უნდა განვიხილოთ „მთხრობელის“ ინსტიტუტი. იგი ცნობილია ქართული სამართლის ძეგლების მიხედვით და იურიდიული თვალსაზრისით მოწმის ჩვენების ბუნების მატარებელია, თუმცა მოწმისაგან განსხვავებულ ინსტიტუტს წარმოადგენს. გ.თარხნიშვილის

¹⁶ მეტრეველი ვ., საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, გამომცემლობა "მერიდიანი", თბილისი 2013, გვ.426-429;

¹⁷ ლეკვიშვილი მ., სასამართლო პროცესი მე-17-18 საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოში, თბილისი, 1963, გვ.50-52;

¹⁸ კეკელია მ., სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი საქართველოში რუსეთთან შეერთების წინ, ტომი 1, გვ.181;

განმარტებით, მთხრობელი არის „ბოროტმოქმედების“ დამსწრე, ბრალის მდებელი მოწმე.¹⁹

ხოლო, ვ. მეტრეველის განმარტებით, „მთხრობელი“ ის პიროვნებაა, რომელსაც უშუალოდ აქვს ნანახი რაღაც ფაქტი, რომელიც ადასტურებს ამა თუ იმ პიროვნების კავშირს მომხდარ დანაშაულთან, ე.ი. არის მოწმე და მიაქვს ეს ამბავი დაზარალებულთან, ანუ დამსმენია. ამით უკვე ბრალს სდებს კონკრეტულ პიროვნებას, ე.ი. არის ბრალმდებელი, მთხრობელის საფუძველზე ხდებოდა პიროვნების ბრალდება და იწყება სასამართლო პროცესი.²⁰

2.3 მოწმის მდგომარეობა ძველი აღმოსავლეთის, ანტიკურ და აზიის ზოგიერთ ქვეყანაში

პარალელურად განვიხილოთ მოწმის მდგომარეობის ისტორია ძველი აღმოსავლეთის, ანტიკური, ევროპისა და აზიის ზოგიერთ ქვეყანაში. მაგალითად, ეგვიპტეში ერთ-ერთ მტკიცებულებას პროცესზე წარმოადგენდა ფიცი, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ფიცი გადამწყვეტი მტკიცებულება არ იყო, იგი მოწმდებოდა მოწმეთა ჩვენებით და საქმესთან არსებული სხვა მტკიცებულებებით. ხოლო, მოწმეთა ჩვენებანი ბაბილონურ საპროცესო სასამართლოში გამოყენებული იყო სხვადასხვა კატეგორიის საქმეებზე. უკეთუ მოწმე მკვლელობის საქმეზე ვერ დაამტკიცებდა თავის ნათქვამ სიტყვებს, მას შეეფარდებოდა სიკვდილით დასჯა. სასამართლოში საქმეთა განხილვის დროს მოწმეთა მოყვანა ორივე მხარის მოვალეობა იყო.²¹

მსგავსად ბაბილონური, სამართლისა, გორტინის კანონებისადმი (ფრანკებში) დართულ კომენტარში მისი ქართულ ენაზე მთარგმნელი ლ. იოსელიანი აღნიშნავს,

¹⁹ თარხნიშვილი გ., სასამართლოს წარმოება საქართველოში ვახტანგ VI-ის კანონების მიხედვით, კრებული ივანე ჯავახიშვილის რედაქციით, 1915, გვ.116;

²⁰ მეტრეველი ვ., საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, გამომცემლობა "მერიდიანი", თბილისი 2013, გვ.430;

²¹ ცაცანაშვილი მ., სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორია, გამომცემლობა "მერიდიანი", თბილისი 2013, გვ.33-35;

რომ გორტინის სამართლის უმთავრეს პრინციპს წარმოადგენდა არა დოკუმენტაცია ანა თუ იმ მოქმედების დამტკიცებისათვის, არამედ მოწმეების ჩვენება.²²

რომის რესპუბლიკის პერიოდში რომაელ მოქალაქეთა სისხლის სამართლის დანაშაულის საქმეებს იხილავდნენ უმაღლესი მაგისტრატები, მაგისტრატი იხილავდა დანაშაულის სიმძიმეს, რისთვისაც დაკითხავდა მოწმეებს, გამოიკვლევდა დამამტკიცებელ საბუთებს, მონების დაკითხვისას მიმართავდნენ წამებას. წარმოთქვამდნენ დაცვით სიტყვებს. ამის საფუძველზე მაგისტრატები აყალიბებდნენ ბრალდებას და აცხადებდნენ, თუ რა სასჯელი შეიძლება შეფარდებოდა დამნაშავეს. საქმის განხილვისას სასამართლო ისმენდა ბრალმდებლისა და მისი წარმომადგენლების, ასევე ბრალდებულისა და მისი ადვოკატის მოსაზრებებს, განიხილავდნენ წარმოდგენილ დამამტკიცებელ საბუთებს, მათ შორის მოწმეთა ჩვენებებს, დოკუმენტებს, მონების დაკითხვის ოქმებს.²³

XVII საუკუნის საფრანგეთში სასამართლო სხდომა ფარული იყო საბრალდებო დასკვნის, მოწმეები გამოძახების გარეშე (წინასწარი გამოძიების დროს დაკითხულნი).²⁴

ინდოეთში მნიშვნელოვანი ყურადღება ჰქონდა დათმობილი მოწმის ჩვენებას. მოქმედებდა საერთო პრინციპი: მოწმე იმ ფენის წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო, ვის მხარესაც იგი გამოდიოდა. მძიმე დანაშაულის შემთხვევაში ეს პრინციპი არ მოქმედებდა (ქურდობა, ძალადობა და სხვა.) დაშვებული იყო ბავშვის, მოხუცის, მოსწავლის (მასწავლებელთან), ნათესავის, მონის და ქალების მოწმეობა.²⁵

²² ნადარეიშვილი გ., სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, გამომცემლობა "ბონა კაუზა", თბილისი 2008, გვ.129;

²³ მეტრეველი ვ., რომის სამართალი, გამომცემლობა "მერიდიანი", თბილისი 2009, გვ.132-134.

²⁴ ცაცანაშვილი მ., სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორია, გამომცემლობა "მერიდიანი", თბილისი 2013, გვ.218;

²⁵ ცაცანაშვილი მ., სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორია, გამომცემლობა "მერიდიანი", თბილისი 2013, გვ.346;

ჩინეთში მტკიცებულების ერთ-ერთ სახეს წარმოადგენდა მოწმეთა ჩვენება. მტკიცებულებათა მოპოვება წამებით ხდებოდა, „თუ პირი ბრალს არ აღიარებდა, ან შეცვლიდა ჩვენებას“.²⁶

აზერბაიჯანში სასამართლო ხელისუფლებას მარზჰანები ახორციელებდნენ. ყადი რელიგიური მოძღვარიც იყო და მოსამართლაც. სასამართლო პროცესი ძირითადად ბრალდებითხასიათს ატარებდა, ხოლო დამამტკიცებელ საბუთთა სისტემაში დიდი ადგილი ეკავა ფიცს, ბრალდებულის აღიარებას, მოწმეების ჩვენებას, ორდალს და სხვა.

III თავი. მოწმის დაკითხვის სპეციფიკა საქართველოში გამოძიების სტადიაზე და სასამართლოში საქმის განხილვისას

3.1 მოწმის დაკითხვა საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესის მიხედვით

მოწმე მოვალეა გამოცხადდეს გამოძახებისთანავე. წინააღმდეგ შემთხვევაში მიეცემა სისხლის სამართლის პასუხისგებაში ჩვენების უსაფუძვლო უარის თქმისათვის ან თავის არიდებისათვის. მოწმე მოვალეა მისცეს სწორი ჩვენება. შეგნებულად ცრუ ჩვენების მიცემისათვის მოწმე პასუხს აგებს სისხლის სამართლის წესით (198-ე და 197-ე მუხლები). თუ მოწმე არ გამოცხადდა სასამართლო სხდომაზე, დაეკისრება ჯარიმა 30 მანეთამდე (64-ე მუხლი). მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ძალზე კეთილსინდისიერი მოწმეც, რომლის სურვილიც არის მხოლოდ სიმართლის ჩვენება, შეიძლება შეცდეს და სხვადასხვა გარემოებათა გამო მისცეს ფაქტობრივად არასწორი ჩვენება. ამ შემთხვევაში, ცხადია, მოწმის არასწორი

²⁶ ცაცანაშვილი მ., სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორია, გამომცემლობა "მერიდიანი", თბილისი 2013, გვ.377;

ჩვენებისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა დაუშვებელია.²⁷ მოწმეს უფლება აქვს მისცეს ჩვენება თავის მშობლიურ ენაზე და ისარგებლოს თარჯიმნის დახმარებით. მიიღოს სახსრები, რომელიც გასწია საგამომიებო ან სასამართლო ორგანოებში გამოცხადებასთან დაკავშირებით. დაკითხვის შემდეგ შეიტანოს დამატებები და ცვლილებები დაკითხვის ოქმში. თავის ხელით დაწეროს ჩვენება. გაასაჩივროს მომკვლევო პირის, გამომძიებლის, პროკურორის, სასამართლოს კანონსაწინააღმდეგო მოქმედება (იხ. საქართველოს სსრ სსსკ-ს 64-ე მუხლი).²⁸

დაუშვებელია მოწმის აცილება მისი ბრალდებულთან თუ დაზარალებულთან ნათესაურ, მეგობრულ ურთიერთობაში ყოფნის გამო ან სხვა მოტივით. საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესს დასაშვებად მიაჩნია ცოლის დაკითხვა ქმრის საქმეზე ან პირიქით, მამისა - შვილის ბრალდების საქმეზე და ა.შ., რადგან მართლმსაჯულების ინტერესები ზოგჯერ მოითხოვს ასეთი პირების დაკითხვის აუცილებლობას მოწმის სახით. ამ საერთო წესიდან კანონი უშვებს მხოლოდ სამ გამონაკლისს. საქ. სსრ სსს კოდექსის 65-ე მუხლის ძალით, არ შეიძლება დაიკითხოს როგორც მოწმე: 1. ბრალდებულის დამცველი საქმის გარემოებების შესახებ, რომლებიც მისთვის ცნობილი გახდა ამ საქმეზე დამცველის მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით. 2. პირი, რომელსაც ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლის გამო არ შეუძლია სწორად აღიქვას საქმისათვის მნიშვნელოვანი მოვლენები. 3. ადვოკატი, პროფესიული კავშირის და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენელი - საქმის გარემოებების შესახებ, რომლებიც მათთვის ცნობილი გახდა წარმომადგენლის მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით.²⁹

მოწმის დაკითხვის წესი. საქ. სსრ სსს კოდექსის 66-ე მუხლში განსაზღვრულია გარემოებები, რომელთა გამოც შეიძლება დაიკითხოს მოწმე. აღნიშნული მუხლის ძალით, მოწმე შეიძლება დაიკითხოს ყოველგვარი გარემოების შესახებ, რომელიც უნდა დადგინდეს მოცემულ საქმეზე, მათ შორის ბრალდებულის და დაზარალებულის პიროვნების და მათთან თავისი ურთიერთ

²⁷ М. Х. Хабибуллин. Ответственность за заведомо ложный донос и заведомо ложное показание по советскому уголовному праву. Издательство Казанского университета, 1975;

²⁸ საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესი, გამომცემლობა "თსუ", თბილისი 1988, გვ.106-107;

²⁹ საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესი, გამომცემლობა "თსუ", თბილისი 1988, გვ.149;

დამოკიდებულების შესახებ. მოწმე დაკითხვა გამოძიები წარმოების ადგილას, მაგრამ გამომძიებელს უფლება აქვს, თუ ამას საჭიროდ ცნობს, დაკითხოს მოწმე მის სამყოფელ ადგილზეც. მოწმეების დაკითხვა წარმოებს ცალ-ცალკე და სხვა მოწმეების დაუსწრებლად. გამომძიებელი იღებს ზომებს იმისათვის, რომ ერთსა და იმავე საქმეზე დაბარებულ მოწმეებს არ შეეძლოთ ერთმანეთთან ურთიერთობა დაკითხვის დამთავრებამდე (სსსკ-ის 153-155 მუხლები). მოწმის დაკითხვის გამომძიებელი დოკუმენტების შემოწმების გზით არკვევს მოწმის პიროვნებას, განუმარტავს მის მოვალეობას და აფრთხილებს პასუხისმგებლობის შესახებ ჩვენების მიცემაზე უარის თქმისა ან თავის არიდების და შეგნებულად ცრუ ჩვენების მიცემისათვის, რაც აღინიშნება ოქმში და დასტურდება მოწმის ხელმოწერით. დაკითხვის დაწყებისას გამომძიებელი არკვევს მოწმის დამოკიდებულებას ბრალდებულთან, დაზარალებულთან და სხვა საჭირო ცნობებს მისი პიროვნების შესახებ. ამის შემდეგ გამომძიებელი შეუდგება მოწმის დაკითხვას საქმის არსის შესახებ. დაკითხვა იწყება მოწმისადმი წინადადების მიცემით, თქვას ყველაფერი, რაც კი მისთვის ცნობილია იმ საქმის გარემოებათა შესახებ, რომლის გამოც იგი დაბარებულია დაკითხვაზე. მას შემდეგ, როცა თავისუფალი თხრობის წესით მოწმემ მისცა ჩვენება, გამომძიებელს შეუძლია მას შეკითხვები მისცეს, ამასთან მისახვედრი კითხვები არ დაიშვება (სსსკ-ს 156-ე მუხლი). ჩვენების თავისუფალი თხრობის შემდეგ მოწმისათვის გამომძიებლის მიერ დასმული კითხვები შეიძლება იყოს ოთხ სახედ: ა) შემავსებელი კითხვები; ბ) დამაზუსტებელი კითხვები; გ) მომაგონებელი კითხვები; დ) საკონტროლო კითხვები.³⁰

3.2 მოწმის დაკითხვა 1998 წლის საქართველოს სსსკ-ის მიხედვით

კლასიკური გაგებით მოწმეს განიხილავენ, როგორც პროცესის ობიექტს, ვინაიდან, მოწმის ჩვენება მტკიცებულებას წარმოადგენს, კერძოდ-საკუთარი უფლება-მოვალეობებით აღჭურვილ მტკიცებულებას.³¹

³⁰ М. С. Строговичу Курс советского уголовного процесса, том II, М., 1970, ст.102-103; საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესი გამომცემლობა "თსუ", თბილისი 1988, გვ.254-256;

³¹ Roxin/Schuenemann, Straferfahren, 27 Auflage, S.214.;

1998 სსსკ-ის მიხედვით, დაკითხვაში მაგისტრატი მოსამართლე არ მონაწილეობს. დაკითხვას ატარებს გამომძიებელი, დაცვის მხარის დასწრების გარეშე. იმავე კოდექსის მიხედვით მოწმის გამოცხადება სავალდებულოა (სსსკ-ის 295-ე მუხლი), რადგან გამოუცხადებლობა გამოიწვევს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას, თუ არ არსებობს საპატიო მიზეზი. მოწმე შეიძლება იძულებით მოიყვანონ.³²

მოწმე ვალდებულია, უპასუხოს დასმულ კითხვებს გარდა იმ შემთხვევისა, თუ პასუხის გაცემა გამოიწვევს საკუთარი თავის ან ახლო ნათესავის წინააღმდეგ მამხილებელი ჩვენების მიცემას. მოწმეს შეუძლია ისარგებლოს ადვოკატის დახმარებით.³³

მოწმე შეიძლება დაიკითხოს იმ გარემოებების შესახებ, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს საქმისათვის ან ეჭვმიტანილის, ბრალდებულის და დაზარალებულის ვინაობის დასადგენად.³⁴

მოწმის ვინაობის დადგენს შემდეგ, მოწმეს განუმარტავენ, რომ მან უნდა თქვას ყველაფერი, რაც იცის საქმესთან დაკავშირებით. მოწმეს არ უნდა შეაწყვეტინონ, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ის საუბრობს ისეთ გარემოებებზე, რომლებიც აშკარად არ ეხება საქმეს. თავისუფალი თხრობის შემდეგ, გამომძიებელი მას უსვამს კითხვებს. გამომძიებელს არ აქვს პასუხის მიმანიშნებელი კითხვების დასმის უფლება.

დაკითხვა არ უნდა გაგრძელდეს 4 საათზე მეტ ხანს. დღის განმავლობაში მოწმე შეიძლება დაიკითხოს ერთზე მეტჯერ, მაგრამ დაკითხვა მთლიანობაში არ უნდა აღემატებოდეს 8 საათს და დაკითხვებს შორის უნდა იყოს არანაკლებ ერთ საათიანი შესვენება. როგორც წესი, მოწმის დაკითხვას სხვა მოწმეები არ უნდა ესწრებოდნენ. მაგრამ გამომძიებელს უფლება აქვს, დააპირისპიროს მოწმე სხვა მოწმესთან, თუ მათი ჩვენებები ერთმანეთს ეწინააღმდეგება (მუხლი 314).³⁵

³² მეიშვილი ზ., ომარ ჯორბენაძე, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, გამომცემლობა "სეზანი", თბილისი 2006, გვ.235;

³³ სისხლის სამართლის პროცესი, ავტორთა კოლექტივი, გამომცემლობა "სამართალი", თბილისი 2008, გვ.294-296;

³⁴ სისხლის სამართლის პროცესი, ავტორთა კოლექტივი, გამომცემლობა "სამართალი", თბილისი 2008, გვ.42;

³⁵ იხ იქვე, გვ.43;

დასაშვებია, არასრულწლოვანი მოწმეების დაკითხვაც. 16 წლამდე ასაკის მოწმის დაკითხვა ტარდება მასწავლებლის ან კანონიერი წარმომადგენლის თანდასწრებით. 7 წლამე ასაკის მოწმის დაკითხვა შეიძლება მშობლის ან მეურვის თანდასწრებით ან კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით. კანონიერ წარმომადგენელს აქვს თავისი მოსაზრების გამოთქმის და მოწმისათვის კითხვების დასმის შესაძლებლობა. გამომძიებელს შეუძლია განარიდოს კითხვები, რომლებიც საქმეს არ ეხება ან მიმანიშნებელია. 14 წლამდე ასაკის მოწმეს ფიცს არ ადებინებენ, მაგრამ განუმარტავენ მის მოვალეობას, ილაპარაკოს მხოლოდ სიმართლე.³⁶

გამომძიებელი ვალდებულია შეადგინოს დაკითხვის ოქმი. კითხვები და პასუხები ოქმში უნდა დაფიქსირდეს შეძლებისდაგვარად სიტყვა-სიტყვით. მოწმეს უნდა მიეცეს ოქმის წაკითხვის შესაძლებლობა. მოწმის მოთხოვნით ოქმში უნდა შეიტანონ შესწორება. მოწმეს უფლება აქვს თავისი ჩვენება დაწეროს თვითონ. მოწმემ უნდა დაადასტუროს ოქმის სისწორე და ხელი მოაწეროს მის თითოეულ გვერდს. დასაშვებია დაკითხვის აუდიო ჩაწერა (მუხლი 304).³⁷

3.3 მოწმის დაკითხვა გამოძიების სტადიაზე 2009 წლის საქართველოს სსსკ-ის მიხედვით

1998 წლის სსსკ-ისგან განსხვავებით, 2009 წლის სსსკ ითვალისწინებს გამოკითხვას და დაკითხვას.

1998 წლის 31 დეკემბრის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი 2009 წლის სისხლის სამართლის პროცესისაგან განსხვავებულად აწესრიგებდა გამოძიების სტადიაზე მოწმის დაკითხვას. 1998 წლის თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად (მუხლი 305), პირის მოწმის სახით დაკითხვას ახდენდა გამომძიებელი და დაკითხვის ოქმი წარმოადგენდა მტკიცებულებას. 2009 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი გამოძიების სტადიაზე მოწმის დაკითხვისას ითვალისწინებს მხოლოდ გამონაკლის

³⁶ იხ. იქვე, გვ.297;

³⁷ სისხლის სამართლის პროცესი, ავტორთა კოლექტივი, გამომცემლობა "სამართალი", თბილისი 2008, გვ.44;

შემთხვევაში, მაშინ, როდესაც საჭირო ხდება მოწმის ჩვენების დეკონირება. სხვა შემთხვევაში კი მოწმე იკითხება სასამართლო სხდომაზე.³⁸

რაც შეეხება გამოკითხვას, იგი ნებაყოფლობითი ხასიათისაა. გამოკითხვა არის იმ პირისაგან საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის ნაბაყოფლობით მიღება, რომელსაც შეიძლება იგი ფლობდეს.³⁹

გამოსაკითხი პირები ორ ჯგუფად იყოფა: ა. პირები, რომელთა მიმართ არსებობს დაბალი ხარისხის ეჭვი, დანაშაულის ჩადენაში. ბ. პირები, რომელთა მიმართ არ არსებობს ეჭვი, მათ მიერ დანაშაულის ჩადენაში და მნიშვნელოვან ინფორმაციას ფლობენ.⁴⁰

გამოკითხვის ოქმი წარმოადგენს საფუძველს იმისათვის, რომ გამოკითხული პირი დაკითხულ იქნეს მოწმის სახით. გამოკითხვა არ ტარდება ფიცის ქვეშ. გამოკითხვის დროს დაუშვებელია, რომ გამოსაკითხი პირი აიძულონ, წარმოადგინოს მტკიცებულება ან გასცეს ინფორმაცია. გამოკითხვის დროს, მიუხედავად იმისა, რომ არ ხდება პირის გაფრთხილება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე, გამოსაკითხ პირს უფლება აქვს არ მისცეს ინფორმაცია საკუთარი თავის წინააღმდეგ, ასევე აქვს უფლება საკუთარი ხარჯით ისარგებლოს ადვოკატის მომსახურებით.^{41 42}

აღსანიშნავია საკანონმდებლო ცვლილება, რომლის მიხედვითაც 2016 წლის თებერვლიდან, გამოკითხვის ჩამტარებელი მხარე ვალდებულია გამოსაკითხი პირი წერილობით გააფრთხილოს ცრუ დასმენისათვის და ცრუ ინფორმაციის მიწოდებისათვის მოსალოდნელი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ. თუ გამოკითხვას ბრალდების მხარე ატარებს, გამოსაკითხი პირის მიერ გამოკითხვაზე უარის თქმის შემთხვევაში იგი უფლებამოსილია განუმარტოს გამოსაკითხ პირს, რომ ის შეიძლება დაბარებულ იქნას მაგისტრატ

³⁸ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, გამომცემლობა "მერიდიანი", თბილისი 2015, გვ.379;

³⁹ ლომსაძე მ., სისხლის სამართლის პროცესი, გამომცემლობა "ბონა კაუზა, თბილისი 2015, გვ.148;

⁴⁰ ლალიაშვილი თ., სისხლის სამართლის პროცესი, გამომცემლობა "იურისტების სამყარო", თბილისი 2015, გვ.297;

⁴¹ Navone and Others v. Monaco, 2014 წლის 24 იანვარი, პარაგრაფი 74;

⁴² ლალიაშვილი თ., სისხლის სამართლის პროცესი, გამომცემლობა "იურისტების სამყარო", თბილისი 2015, გვ.295-296;

მოსამართლესთან ჩვენების მისაცემად, რომ ჩვენების მიცემა სავალდებულოა და ამ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს გამოსაკითხი პირის სისხლისამართლებრივ პასუხისმგებლობას. ეს იფორმაცია უნდა აღნიშნოს გამოკითხვის ოქმში.^{43 44}

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, მხარეს გამოკითხვის დაწყებამდე ევალება დაადგინოს გამოსაკითხი პირის ვინაობა და სხვა აუცილებელი ინფორმაცია. მთავარია, რომ ოქმში აღნიშნული იყოს ის მინიმალური მონაცემები, რომელთა აღნიშვნის ვალდებულება კანონით პირდაპირ არის გათვალისწინებული. ეს ოქმი ხელმისაწვდომი უნდა გახდეს მეორე მხარისთვის, მაგრამ იგი მტკიცებულებად არ მიიჩნევა (მუხლი 75 (3)).⁴⁵

გამოკითხვის შედეგად მიღებული ინფორმაცია მტკიცებულებით ძალას შეიძენს, თუ ამ ინფორმაციას გამოკითხული პირი, მოწმის სახით სასამართლო სხდომაზე დაადასტურებს. გამოკითხვის ოქმი შესაძლებელია მხარემ საქმის არსებითი განხილვისას გამოიყენოს მოწმის ჩვენების სანდოობის საკითხის გამოსაკვლევად, თუ დაკითხვისას მიცემული ინფორმაცია არსებითად განსხვავდება გამოკითხვისას მიცემული ინფორმაციისაგან.^{46 47}

დაკითხვა არ არის ნებაყოფლობითი ხასიითის. მოწმეს აქვს გამოცხადების ვალდებულება. თუ მოწმე უარს ამბობს ამ სამართლებრივი ვალდებულების შესრულებაზე, მას შეიძლება დაეკისროს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა. დაკითხვა ტარდება მაგისტრატი მოსამართლის წინაშე. დაკითხვისას მაგისტრატ მოსამართლეს, დაცვის მხარეს და პროკურორს აქვთ მოწმისთვის კითხვების დასმის შესაძლებლობა. ამგვარი სახით, წინასასამართლო დაკითხვა დასაშვებია, მხოლოდ კონკრეტულად განსაზღვრული გარემოებების არსებობის შემთხვევაში, რომლებიც მოკლედ შეიძლება ჩამოვაცალიბოთ, როგორც მოწმის სასამართლო სხდომაზე გამოცხადების შეუძლებლობა და საერთაშორისო

⁴³ გადაწყვეტილება: *Stojkovic v. France and Belgium*, 2012 წლის 27 იანვარი, პარაგრაფი 54;

⁴⁴ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 113-ე მუხლის მე-7 და მე-8 ნაწილები.

⁴⁵ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, გამომცემლობა "მერიდიანი", თბილისი 2015, გვ.378;

⁴⁶ გადაწყვეტილება: *Mc Cormick on Evidence*, seventh Edition, Volum 1, P.2;

⁴⁷ ლალიაშვილი თ., სისხლის სამართლის პროცესი, გამომცემლობა "იურისტების სამყარო", თბილისი 2015, გვ.297.

სამართლებრივი დახმარების მოთხოვნის შესრულება.ამასთან დაკავშირებით იხილეთ, დანართი №1 (თბილისის საქალაქო სასამართლოს სტატისტიკური ინფორმაცია 1 (ერთ ფურცლად) პირის მოწმედ დაკითხვის შესახებ; საანგარიშო პერიოდი - 01.01.16-30.04.16).^{48 49}

ხოლო საკანონმდებლო ცვლილებით, ბრალდების მხარის შუამდგომლობით გამოძიების ადგილის ან მოწმის ადგილსამყოფელის მიხედვით მაგისტრატი მოსამართლის წინაშე მოწმედ შეიძლება ასევე დაიკითხოს გამოსაკითხი პირი, თუ არსებობს ფაქტი ან/და ინფორმაცია, რომელიც დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად საჭირო ინფორმაციის შესაძლო ფლობის ფაქტი და ეს პირი გამოკითხვაზე უარს ამბობს. (იხ.საქართველოს 2015 წლის 18 დეკემბრის კანონი #4677, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 114-ე მუხლის მე-2 ნაწილი)

მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ დაცვის მხარე უფლებამოსილია წინასასამართლო სხდომაზე დააყენოს შუამდგომლობა მაგისტრატი მოსამართლის წინაშე მოწმედ დაკითხული პირის ჩვენების დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის შესახებ, თუ მიიჩნევს, რომ პირი მაგისტრატი მოსამართლის წინაშე მოწმედ კანონის არსებითი დარღვევით დაიკითხა.⁵⁰

სისხლის სამართლის პროცესში გვხვდება ნორმა, რომლის მიხედვითაც მოწმე შეიძლება დაიკითხოს მეორე მხარის წინასწარ ინფორმირებისა და დასწრების გარეშე, ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით და თუ ეს შედის მართლმსაჯულების ინტერესებში. თუმცა, ასეთ შემთხვევაში, მიცემული ჩვენება ჩაითვლება დაუშვებელ მტკიცებულებად, თუ შესაძლებელია, მოწმის ხელახალი დაკითხვა.⁵¹

ამასთან დაკავშირებით, პარალელი შეგვიძლია გავავლოთ ევროპულ სამართალს. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ პუნქტთან დაკავშირებულ ყველა საქმეში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აცხადებს, რომ ყველა მტკიცებულების წარდგენა უნდა

⁴⁸ სისხლის სამართლის პროცესი, გამომცემლობა "ბონა კაუზა", თბილისი 2015, გვ.153-154.

⁴⁹ საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი (კერძო ნაწილი), ავტორთა კოლექტივი, გამომცემლობა "იურისტების სამაყარო", თბილისი 2012, გვ.48.

⁵⁰ იხ. გადაწყვეტილება: *Natunen v. Finland*, 2009 წლის 31 მარტი, პარაგრაფი 40-41;

⁵¹ საქართველოს სსსკ-ის, 2009 წლის მდგომარეობით, 114-ე მუხლის მე-4 ნაწილი;

მოხდეს ბრალდებულის თანდასწრებით საჯარო განხილვაზე შეჯიბრებითი მსჯელობის უზრუნველსაყოფად. აქ უპირველესად იგულისხმება სისხლის სამართლის პროცესი. მტკიცებულება „ცოცხლად“ უნდა იქნეს წარდგენილი იმ ორგანოს წინაშე, რომელსაც ევალება საქმის შეფასება და ფაქტების დადგენა, ეს განსაკუთრებით ეხება მოწმის ჩვენებას. დაცვას უნდა მიეცეს მოწმის ღია სასამართლო სხდომაზე დაკითხვის შესაძლებლობა. თუმცა, ამ გზით ჩვენების წაკითხვა თავისთავად არ შეიძლება ჩაითვალოს მე-6 მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ პუნქტის და პირველი პუნქტის დარღვევად.⁵²

3.4 მოწმის დაკითხვის ზოგადი წესი

დაკითხვის დაწყებამდე სასამართლომ უნდა დაადგინოს მოწმის ვინაობა, რის შემდეგაც მოწმეს განუმარტავს ფიცის მნიშვნელობას. შემდეგ მოწმე დებს ფიცს. ფიცის დადების შემდეგ მოწმეს სასამართლო განუმარტავს უფლება-მოვალეობებს. ეკითხება, იცის თუ არა მოწმემ რა საქმეზეა გამოძახებული. განუმარტავს, რომ ვალდებულია თქვას ყველაფერი, რაც იცის საქმესთან დაკავშირებით და აფრთხილებს ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე, ასევე განუმარტავს, რომ იგი ვალდებული არ არის, მისცეს დანაშაულის ჩადენაში თავისი ან ახლო ნათესავის მამხილებელი ჩვენება. სასამართლო ასევე ადგენს, რა დამოკიდებულება აქვს მოწმეს ბრალდებულთან და დაზარალებულთან. მოწმის მიერ მიცემული ჩვენება უნდა დაფიქსირდეს ოქმში (მუხლი 134).⁵³

სსსსკ-ის 243-ე მუხლში აღნიშნულია აუდიო და ვიდეო ჩაწერების სასამართლო პროცესზე მოსმენის დასაშვებობა, რაც ტოვებს შესაძლებლობას, ვივარაუდოთ, რომ შესაძლებელია ასეთი ჩანაწერების გაკეთება. აგრეთვე დაცვის მხარის მონაწილეობით მაგისტრატის მოსამართლის წინაშე წარმოებულ დაკითხვის შედეგად მიღებული მოწმის ჩვენებას გააჩნია მტკიცებულებითი ძალა და ხდება შენახვა პროცესზე წარმოსადგენად.^{54 55}

⁵² ტრექსელი შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი 2009, გვ.318;

⁵³ სისხლის სამართლის პროცესი, გამომცემლობა "ბონა კაუზა", თბილისი 2015, გვ.154;

⁵⁴ გადაწყვეტილება: W.R. Lafave, Criminal Procedure, third Edition, V. 5, p.374-375;

არასრულწლოვანის დაკითხვა ტარდება მისი კანონიერი წარმომადგენლის ან ფსიქოლოგის დასწრებით. გარდა ამისა, 14 წლამდე ბავშვის დაკითხვა შეიძლება მხოლოდ კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით. ასეთ მოწმეს ფიცს არ ადებინებენ, მაგრამ განუმარტავენ მის მოვალეობას, თქვას მხოლოდ სიმართლე.⁵⁶

ამის მსგავსად, თითქმის ყველა სამართლებრივი სისტემა ზღუდავს სისხლის სამართალსუბიექტობის ასაკს მიუღწეველი პირის ფიცის დადებას. მაგალითად 12 წლამდე პირები ინგლისსა და აშშ-ში, ასევე არ დებენ ფიცს, 13 წლამდე პირები თურქეთში, 14 წლამდე პირები - იტალიაში, ხოლო 16 წლამდე პირები - საფრანგეთში.

მნიშვნელოვანია, რომ 2016 წლის 20 თებერვლამდე გამოძიებისას დაკითხვა წარმოებს საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით (გარდა 305-ე მუხლის მე-6 ნაწილისა (დისტანციური დაკითხვა)) დადგენილი წესით. 2017 წლის 1 იანვრამდე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 315-ე, 324-, 324¹, 329¹-330², 331-ე და 331¹ მუხლებით გათვალისწინებული დანაშაუთა გამოძიების დროს დაკითხვა წარმოებს 332-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით დადგენილი წესით. 2018 წლის 1 იანვრამდე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე, 109-ე, 115-ე, 117-ე, 126¹, 178-ე 179-ე 276-ე, 32-ე-323², 325-ე-329-ე და 378² მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულთა გამოძიების დროს დაკითხვა წარმოებს 332-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით დადგენილი წესით.^{57 58}

3.5 მოწმის დაკითხვა სასამართლო პროცესზე

მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპის გათვალისწინებით, მხარეებმა თავად უნდა უზრუნველყონ საკუთარი მოწმეების სასამართლოში გამოცხადება. აღნიშნული წარმოადგენს პროცესის მონაწილეთა ვალდებულებას და სასამართლო

⁵⁵ ლალიაშვილი თ., სისხლის სამართლის პროცესი, გამომცემლობა "იურისტების სსამყარო", თბილისი 2015, გვ.302-303;

⁵⁶ ლომსაძე მ., სისხლის სამართლის პროცესი, გამომცემლობა "ბონა კაუზა", თბილისი 2015, გვ.156;

⁵⁷ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 332-ე მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 ნაწილები;

⁵⁸ საქართველოს 2015 წლის 18 დეკემბრის კანონი #4677.

არ ერევა მხარეთა მიერ მოწმეთა სასამართლოში წარმოდგენის პროცესში (მუხლი 228).⁵⁹

მოწმეებს ერთმანეთისგან აცალკევებენ და მათი დაკითხვა ტარდება ინდივიდუალურად. დაკითხვის დაწყებამდე მოწმე დებს ფიცს (მუხლი 48). თუ მოწმე არ გამოცხადდება, მხარეს შეუძლია სასამართლოს მიმართ იშუამდგომლოს მოწმის სასამართლო პროცესზე დასწრების უზრუნველყოფის თხოვნით (მუხლი 149 (1-2)). სასამართლო სხდომა გადაიდება არსებითი მოწმის გამოუცხადებლობის შემთხვევაში (მუხლი 185 (2)).⁶⁰

მოწმეს პირველად კითხავს ის მხარე, რომელმაც ის გამოიძახა (პირდაპირი დაკითხვა). მიმანიშნებელი კითხვები აკრძალულია. მოწინააღმდეგე მხარეს შეუძლია პროტესტი განაცხადოს მიმანიშნებელ შეკითხვაზე სხდომის თავმჯდომარისადმი შესაბამისი შუამდგომლობით მიმართვის გზით. ამის შემდეგ მოწინააღმდეგე მხარეს ეძლევა მოწმის ჯვარედინი დაკითხვის შესაძლებლობა. ამის შემდგომ, მხარეს უფლება აქვს, აწარმოოს ხელახალი პირდაპირი და ჯვარედინი დაკითხვა. ხელახალი ჯვარედინი დაკითხვისას მხარე შეზღუდულია ხელახალი პირდაპირი დაკითხვის დროს განხილული დეტალების ირგვლივ უნდა დასვას შეკითხვები და არ უნდა გასცდეს ამ ფარგლებს (მუხლები 244-246).⁶¹

ასეთი სისტემა დამახასიათებელია საერთო სამართლის ქვეყნებისათვის, მაგალითად, ინგლისში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადაში, ასევე ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში.⁶²

საგულისხმევია, რომ კონტინენტალურ-ევროპულ საგამომიებო პრინციპებზე დაფუძნებულ სისხლის სამართლის პროცესში მოსამართლეს ევალება მონაწილეობა მიიღოს სასამართლო გამოძიებაში, საჭიროების შემთხვევაში მოიპოვოს და გამოიკვლიოს მტკიცებულებები საკუთარი ინიციატივითაც კი (გამოიძახოს და დაჰკითხოს მოწმე, დანიშნოს ექსპერტიზა და ა.შ.),

⁵⁹ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, გამომცემლობა "მერიდიანი", თბილისი 2015, გვ.675;

⁶⁰ საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი (კერძო ნაწილი), ავტორთა კოლექტივი, გამომცემლობა "იურისტების სამყარო", თბილისი 2012, გვ.53;

⁶¹ ლომსაძე მ., სისხლის სამართლის პროცესი, გამომცემლობა "ბონა კაუზა", თბილისი 2015, გვ.158.

⁶² საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილი), ავტორთა კოლექტივი, გამომცემლობა "იურისტების სამყარო", თბილისი 2013, გვ.191;

დისპოზიციურობის პრინციპზე აგებულ ქართულ სისხლის სამართლის პროცესში მოსამართლეს მტკიცებულების საკუთარი ინიციატივით მოპოვება კი არა, შეკითხვების დასმის უფლებას არა აქვს. იგი უფლებამოსილია, მხოლოდ მხარეებთან შეთანხმებით დასვას დამაზუსტებელი კითხვა, თუ ეს აუცილებელია სამართლიანი სასამართლოს უზრუნველსაყოფად.

სასამართლოს შეუძლია, მოწმე დაკითხოს დისტანციურად, ტექნიკური საშუალებების გამოყენებით (მუხლი 243 (3)). თუ მოწმის ჩვენებები არსებითად ეწინააღმდეგება ერთმანეთს, თითოეულ მხარე შეუძლია დააყენოს შუამდგომლობა სასამართლო პროცესზე წინასასამართლო დაკითხვის აუდიო ან ვიდეო ჩანაწერის მოსმენის/ჩვენების თაობაზე (მუხლი 243 (2)). დეპონირებული ჩვენების გამოქვეყნება საქმის არსებითი განხილვისას დაიშვება, თუ ამოწურულია სასამართლოში მოწმის წარმოდგენის ყველა გონივრული შესაძლებლობა. მაგ. მოწმე გარდაიცვალა, არ იმყოფება საქართველოში, მისი ადგილსამყოფელი უცნობია.⁶³

წინა საპროცესო კოდექსთან შედარებით, შესამჩნევად გამარტივდა მოწმის დისტანციური დაკითხვის პროცედურული წესები, კერძოდ, მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს გადაწყვეტილებით, შესაძლებელია მოწმის დისტანციური დაკითხვა, ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, იმავე ან სხვა სასამართლოდან ან სხვა ადგილიდან, რაც წინასწარ ეცნობებათ მხარეებს.⁶⁴

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს ბრალდებულის დაკითხვას მოწმის სახით. შესაბამისად, ბრალდებულის მოწმის სახით დაკითხვისას ბრალდებულს დაეკისრება პასუხისმგებლობა შეგნებულად ცრუ ჩვენების მიცემისათვის, რაც ფაქტობრივად ბრალდებულს ავალდებულებს, ჩვენების მიცემის შემთხვევაში, სასამართლოს მისცეს სწორი ჩვენება (მუხლი 230 (1)). თუ ბრალდებულმა გამოძიების ეტაპზე მისცა ჩვენება მოწმის სახით, ასეთ ჩვენევას მტკიცებულების ძალა ექნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებული წინააღმდეგი არ არის მისი სასამართლო პროცესზე წაკითხვის ან მოსმენის

⁶³ ლალიაშვილი თ., სისხლის სამართლის პროცესი, გამომცემლობა "იურისტების სამყარო", თბილისი 2015, გვ.305;

⁶⁴ საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი (კერძო ნაწილი), გამომცემლობა "იურისტების სამყარო", თბილისი 2012, გვ.53;

დემონსტრირებისა (მუხლი 247 (1)). საქართველოს სსკ-ის 74-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, ბრალდებულის ჩვენება არის მის მიერ სასამართლოში მიცემული ინფორმაცია სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა შესახებ. საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად, დაუშვებელია ადამიანის ნების თავისუფლებაზე ზემოქმედება წამების, ძალადობის, სასტიკი მოპყრობის, მოტყუების, სამედიცინო ჩარევის, ჰიპნოზის, ასევე სხვა ისეთი ღონისძიებების გამოყენებით, რომლებიც ზემოქმედებს ადამიანის მეხსიერებაზე ან აზროვნებაზე.⁶⁵

ჩვენების უფლება ბრალდებულის უფლებაა. შესაბამისად, დაუსვებელია ბრალდებულის საქმის არსებით განხილვამდე მოწმის ან ბრალდებულის სტატუსით მიცემული ინფორმაციის სასამართლო სხდომაზე საჯაროდ წაკითხვა და ამ ინფორმაციის აუდიო ან ვიდეო ჩაწერის მოსმენა (დემონსტრირება), თუკი ბრალდებულის ამის წინააღმდეგია, რაც ნიშნავს იმას, რომ აღნიშნული ინფორმაციის მტკიცებულებად გამოყენებაც დაუშვებელია, რამდენადაც არ მომხდარა მისი სასამართლო სხდომაზე გამოკვლევა.⁶⁶

ამდენად, ბრალდებულის არის მოწმე, მაგრამ მოწმე მხოლოდ საკუთარი თავისათვის.⁶⁷

ბრალდებულის მხოლოდ მაშინ დაიკითხება მოწმედ, როდესაც ის ამას ისურვებს. კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, დაუშვებელია ვინმეს იძულება საკუთარი თავის წინააღმდეგ მისცეს ჩვენება (Nemo Tenerture se Ipsum Accusare, Privilege against thelf Incrimination).⁶⁸

აღსანიშნავი, რომ საქართველოს მთავარი პროკურატურის სტატისტიკური მონაცემებით, სსკ-ის 371¹-ე მუხლით, 2012 წლიდან 2014 წლის 1 აპრილამდე გამოძიება დაიწყო მოწმის მიერ არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემის 64 საქმეზე, ხოლო სისხლისამართლებრივი დევნა დაიწყო - 66 პირის მიმართ. (იხ. საქართველოს მთავარი პროკურატურის ვებგვერდი)

⁶⁵ ლომსაძე მ., სისხლის სამართლის პროცესი, გამომცემლობა "ბონა კაუზა", თბილისი 2015, გვ.153;

⁶⁶ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, გამომცემლობა "მერიდიანი", თბილისი 2015, გვ.678;

⁶⁷ Gerlach, J., Angeklagte als Zeuge fur sich selbst im englischen Strafverfahren, 1964, S.27;

⁶⁸ ლალიაშვილი თ., სისხლის სამართლის პროცესი, გამომცემლობა "იურისტების სამყარო", თბილისი 2015, გვ.307-308;

IV თავი. მოწმის დაკითხვის სპეციფიკა საზღვარგარეთის ქვეყნებში გამოძიების სტადიაზე და სასამართლოში საქმის განხილვისას

4.1 მოწმის დაკითხვა ამერიკის შეერთებულ შტატებში

ამერიკის შეერთებულ შტატებში მოქმედებს ე.წ. „საპოლიციო გამოძიება“. საპოლიციო გამოძიების სტადიაზე ყველაზე გავრცელებულ საგამოძიებო მოქმედებას წარმოადგენს მოწმის გამოკითხვა, გასაუბრება, ინტერვიუ.⁶⁹

აშშ-ში პოლიციას ეკრძალება იმ პირების დაკავება ან დაპატიმრება, რომლებიც მხოლოდ მოწმეები არიან და რომელთა მიმართ არ არსებობს დანაშაულის ჩადენის დასაბუთებული ვარაუდი. მაგრამ არის ერთი მნიშვნელოვანი გამონაკლისი. „მნიშვნელოვანი მოწმის“ ნორმების საფუძველზე, რომლებიც მოიპოვება როგორც ფედერალურ, ისე შტატების უმრავლესობის კანონმდებლობაში, პოლიციას შეუძლია დააკავოს პრაქტიკულად ნებისმიერი პირი, თუ მას აქვს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ეს პირი ფლობს ინფორმაციას, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს დანაშაულის გამოძიებისათვის.⁷⁰

პოლიციელი მოწმესთან ანსხვა პირთან გამოკითხვის შედეგს აფიქსირებს ე.წ. პოლიციის თანამშრომლის უბის წიგნაკში, შემდეგ კი, ეს მონაცემები გადააქვს კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის გამოძიების ანგარიშში, რომელსაც გადაწყვეტილების მისაღებად წარუდგენს პროკურორს. თუ პროკურორის გადაწყვეტილებით, საქმე არსებითად განსახილველად წარიმართა სასამართლოში, პოლიციელი, რომელმაც ჩაატარა მოწმის გამოკითხვა, აღნიშნული გამოკითხვის ირგვლივ, სასამართლოში ფიცის ქვეშ აძლევს ჩვენებას. მოწმის გამოკითხვის დროს, ყველაზე დიდი ყურადღება ექცევა გასაუბრების პირობებს, რათა არ მოხდეს პოლიციის თანამშრომლების მხრიდან უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება.⁷¹

⁶⁹ Madeleine Colvin & Jonathan Cooper, *Human Rights in the Investigation and Prosecution of crime*, Oxford, 2009, p.179.

⁷⁰ Carlson, R.L. and M.S. Voelpel (1980). "Material Witness and Material Injustice". *Washington University Law Quarterly* 58(1): 1-53., გვ.3.

⁷¹ გუცენკო კ.გ. /გოლოვკო ლ.ვ. / ფილიმინოვი ბ.ა., დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, 2007, გვ.286.

აშშ-ში მოქმედი მნიშვნელოვანი მოწმის მარეგულირებელი დებულებების მიზანია, მოწმის გამოცხადების უზრუნველყოფა სასამართლოში ჩვენების მისაცემად და არა დასაკითხად. აშშ-ში 1930-იან წლებში არსებულმა წამების პრაქტიკამ გაანელა ჩვენების მოწმის იძულების ყოველგვარი სურვილი.⁷²

არსებობს მოწმეთა დაკითხვის კიდევ ერთი შესაძლებლობა, რომლებიც მხოლოდ აშშ-ს ახასიათებს. აშშ გახლავთ საერთო სამართის ერთადერთი ქვეყანა, რომელსაც არ გაუუქმებია „მსაჯულთა დიდი კოლეგია“ (grand jury). მსაჯულთა დიდ კოლეგიას უფლება აქვს, იძულებით უზრუნველყოს მოწმის გამოცხადება მისი დაბარების გზით იმისათვის, რომ რაიონულმა პროკურორმა დაკითხოს მოწმე მოსამართლის ანდა მცველის გარეშე, მაგრამ მსაჯულთა თანდასწრებით. მსაჯულთა რაოდენობა უნდა იყოს 16-დან 23-მდე.

სამართალწარმოება მსაჯულთა დიდი კოლეგიის წინაშე საიდუმლოა და მტკიცების წესი შედარებით მოქნილია, რათა მოწმეს ჰქონდეს უფრო თავისუფლად საუბრის საშუალება. მსაჯულთა დიდი კოლეგიის მიზანია, ხელი შეუწყოს საქმის გამოძიებას და შეამოწმოს, აკმაყოფილებს თუ არა საქმის გარემოებები „დასაბუთებული ვარაუდის“ სტანდარტს. მსაჯულებმა უნდა გამოიტანონ დასკვნა, არის თუ არა საბრალდებო აქტი „ნამდვილი ბრალდება“ და აქედან გამომდინარე, შეიძლება თუ არა გაგრძელდეს საქმის განხილვა სასამართლოში. მსაჯულთა დიდი კოლეგიის წინაშე სამართალწარმოება სულ უფრო იშვიათობას წარმოადგენს და დასასვებია ისეთ შემთხვევაში, როდესაც „საჯარო ინტერესი ამას მოითხოვს“, ისიც, შტატების მთელი რაოდენობის ნახევარში.⁷³

ამ წესის ალტერნატივის სახით ზოგიერთ შტატში მოქმედებს წინასასამართლო სხდომის წესი, როდესაც მოწმეთა მიერ მიცემული ჩვენებები შეიძლება სემოწმდეს ჯვარედინი დაკითხვით მოსამართლის და არა - მსაჯულების წინაშე. აგრეთვე, არანაკლებ საინტერესო და ღირსეული როლი აქვს მოსამართლეს ამერიკის შეერთებულ შტატებს. მას საკმაოდ ნეიტრალური და უშფოთველი პოზიცია უკავია და იგი ერევა მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ: ა) საჭიროა რაიმე

⁷² Leo, R. (2004). "The Third Degree and Origins of Psychological Interrogation in the United States". Interrogations, Confessions, and Entrapment.

⁷³ Faifax Jr, R.A. (2010). "Grand Jury Innovation: Toward a Functional Makeover of the Ancient Bulwark of Liberty". William & Mary Bill of Rights Journal 19(2): 339-368.

ფაქტის დაზუსტება, დაკონკრეტება, გარკვევა; ბ) ჯვარედინი დაკითხვა მხარის მიერ ბოროტად არის გამოყენებული და ზიანს აყენებს მოწმეს. სასამართლო ახორციელებს მოწმის დაკითხვის მთლიანი პროცესის მიზანშეწონილ კონტროლს და ამ მიზნის მისაღწევად ახორციელებს შემდეგ ღონისძიებებს: ა) უზრუნველყოფს, რომ თხრობისა და შეკითხვების დასმის პროცესი იყოს მაქსიმალურად მიმართული სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად; ბ) იღებს ზომებს იმისათვის, რომ არ დაუშვას დროის ფუჭი დაკარგვა; გ) ცდილობს თავიდან აიცილოს მოწმის შეწუხება ან მისი დამცირება.⁷⁴

4.2 მოწმის დაკითხვა ინგლისში

ინგლისური სამართლის მიხედვით მოწმედ ნებისმიერ ასაკის ბავშვის გამოძახება შეიძლება.⁷⁵

ხოლო, მოწმის გამოცხადება პოლიციის განყოფილებაში და ჩვენების მიცემა პოლიციისთვის მხოლოდ და მხოლოდ ნებაყოფლობითი აქტი შეიძლება იყოს. ჩვეულებრივ, იგივე წესი მოქმედებს სასამართლოში საქმის განხილვის დროსაც. თუმცა, მოწმე შეიძლება ვალდებული იყოს გამოცხადდეს სასამართლოში პროცესზე დასასწრებად, თომცა მას ჩაბარდა დაბარების უწყება. მხარეთა შუამდგომლობით, ქვემდგომ სასამართლოს უფლება აქვს, მოითხოვოს მოწმის გამოცხადება ჩვენების მისაცემად ან მტკიცებულების სახით დოკუმენტის ან ნივთის წარმოდგენა; ზოგ შემთხვევაში, მაგისტრატთა სასამართლოს უფლება აქვს გამოსცეს მოწმის დაკავების ბრძანება.⁷⁶

მოწმის დაბარების უწყების გამოცემის პროცედურა გაწერილია „სისხლის სამართლის საპროცესო წესებში“. ამ წესების თანახმად, მხარემ, რომელსაც სურს, რომ სასამართლომ გამოსცეს მოწმის დაბარების უწყება, ბრძანება ან ორდერი, უნდა დააყენოს შესაბამისი შუამდგომლობა რაც შეიძლება სწრაფად მას შემდეგ, რაც

⁷⁴ მოწმის სამართლებრივი მდგომარეობა და დაკითხვის წესი სისხლის სამართლის საქმეცა გამოძიებისას, ჟურნალი "ინტელექტუალი", 2008 წელი, #6, გვ.3;

⁷⁵ საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილი), ავტორტა კოლექტივი, გამომცემლობა "იურისტების სამყარო", თბილისი 2013, გვ.176;

⁷⁶ "მაგისტრატთა სასამართლოს შესახებ" 1980 წლის კანონის მუხლი 97 და "დანაშაულისა და არეულობის შესახებ" 1998 წლის კანონის მე-3 დანართის მე-4 პუნქტი;

შეიტყობს საამისო საფუძვლების არსებობის შესახებ. შუამდგომლობის აღმძვრელ მხარეს ეკისრება მოწმის ვინაობის მითითება და იმის განმარტებამ თუ რა ჩვენების მიცემა შეუძლია მას, რატომ შეიძლება ეს ჩვენება იყოს არსებითი მნიშვნელობის და რატომ არის მართლმსაჯულების ინტერესებში ამ უწყების, ბრძანების ან ორდერის გამოცემა. თუ ამგვარად დაბარებული მოწმე არ გამოცხადდება, იგი შეიძლება დააკავონ და მიიყვანონ სასამართლოში.⁷⁷

რაც შეეხება ბრალდებულის ჩვენებას, იგი ყველა შემთხვევაში, ჩვენებას იძლევა ფიცით. არ შეიძლება მისი იძულება ჩვენების მიცემაზე, მაგრამ თუ კი მან გადაწყვიტა ჩვენების მიცემა, მთლიანად ექვემდებარება მოწმის დაკითხვის პროცესულურ წესებს. თვითბრალდების პრივილეგიის წესები არავინ არის ვალდებული, ჩვენება მისცეს თავისი თავის საწინააღმდეგოდ და მოწმის პრივილეგია უფლება - არ მისცეს ჩვენება თავისი ახლობლის წინააღმდეგ, ამ წესებიდან არსებობს გამონაკლისები, რომლებიც გარკვეული სახის დანაშაულობებს შეეხება.⁷⁸

მოწმის დაკითხვა შესაძლებელია მხოლოდ პირდაპირი და ჯვარედინი დაკითხვის ფორმით, დამცველის მიერ, ღია სასამართლო სხდომაზე, მაგისტრატი ან რაიონული მოსამართლის წინაშე ან მოსამართლისა და ნაფიცი მსაჯულების წინაშე (არსებითი განხილვის შემთხვევაში). არსებობს ძალზე შეზღუდული საგამონაკლისო შემთხვევები, როდესაც მოწმე არის ძალიან ახალგაზრდა ან დაუცველი და ექვემდებარება „ცპეციალურ წესებს“, რა შემთხვევაშიც, მისი პირდაპირი და ჯვარედინი წესით დაკითხვა შეიძლება სასამართლო სხდომამდე, ხოლო დაკითხვა ფიქსირდება ვიდეო ჩაწერით. იგივე ნორმები ვრცელდება მოწმეზე, რომელიც შეიძლება გარდაიცვალოს სასამართლოს სხდომამდე.⁷⁹

⁷⁷ სისხლის სამართლის საპროცესო წესები, 2014 Restatement, პუნქტი 28(3);

⁷⁸ H. Johnson, N. Wolfe, M. Jones. History of Criminal Justice (4 Edition). Publishing: Matthew Bender & Company. 1998 და საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, გამომცემლობა "იურისტების სამყარო", თბილისი 2013, გვ.351-352;

⁷⁹ "ახალგაზრდა პირების მართლმსაჯულებისა და სისხლის სამართალში მტკიცებულებების შესახებ" 1999 წლის კანონი, ნაწილი 2, თავი 1, მუხლი 27;

4.3 მოწმის დაკითხვა გერმანიაში

პოლიციასთან თანამშრომლობა მთლიანად მოწმის ნებაზეა დამოკიდებული. ეს არის გამოძახილი გერმანიის იურისპრუდენციის პრინციპებში იმ ბოლოდროინდელი ცვლილებებისა, რომ მოწმეებს აღარ განიხილავენ, როგორც მტკიცებულების ობიექტს, არამედ როგორც სისხლის სამართლის პროცესის სუბიექტს.⁸⁰

მოწმის სიცოცხლის და ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლება დაცულია თვითგამორკვევისა და მონაცემთა დაცვის უფლება. გერმანიაში, მოწმეს სამი ძირითადი ვალდებულება აქვს: ა) გამოცხადდეს პროკურორთან (და არა პოლიციაში), თუ მას დაიბარებენ; ბ) მისცეს ჩვენება, რომელიც არის სიმართლე (გარდა იმ შემთხვევისა, თუ აქვს უფლება, უარი თქვას ჩვენების მიცემაზე); გ) დაადასტუროს მიცემული ჩვენება ფიცის ქვეშ მოსამართლის წინაშე, თუ სასამართლო ამას მოითხოვს.⁸¹

კომპინენტური სამართლის სისტემის სხვა ქვეყნებთან შედარებით, განსხვავებული პოზიცია უკავია გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობას. ამ ქვეყნის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი გამორიცხავს, საქმეთა სასამართლოში განხილვას, მხარეთა შორის შეჯიბრებითობის პრინციპის რეალურად განხორციელებას, რადგან მოსამართლეს მინიჭებული აქვს ფართო უფლებები არა მარტო სასამართლო განხილვის ხელმძღვანელობისას, არამედ სასამართლო გამოძიების მთელ მსვლელობაში. მოსამართლე ვალდებულია საქმეზე დაადგინოს ჭეშმარიტება. მხოლოდ მისი თანხმობითაა შესაძლებელი შეფენმა (ხალხის წარმომადგენელმა), პროკურორმა, ადვოკატმა კითხვები დაუსვან განსასჯელს, მოწმეს, ექსპერტს; უფრო მეტიც, მხოლოდ სასამართლო სხდომის თავმჯდომარის თანხმობითაა შესაძლებელი აღნიშნულ პირთა დაკითხვაც, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც პროკურორისა

⁸⁰ Huber, B. (2008). Germany. Criminal Procedure in Europe. R. K> Vogler and B. Huber. Berlin, Duncker & Humblot: 269-372., გვ. 339;

⁸¹ Bohlanderr, M. (2012). Principles of German Criminal Procedure. Oxford, Hart., გვ.150;

და ადვოკატის ურთიერთშეთანხმებით, სასამართლო პროცესზე მოწვეულია მოწმე ან ექსპერტი.⁸²

მოწმეს, რომელიც სასამართლოში აძლევს ჩვენებას, შეიძლება მიეჩინოს დამცველი მისი ინტერესების დასაცავად (მუხლი 68b), მაგრამ 70-ე მუხლის თანახმად, მოწმე, რომელიც, კანონით განსაზღვრული საპატიო მიზეზის გარეშე უარს ამბობს ჩვენების მიცემაზე ან ფიცის დადებაზე სასამართლოში, დაეკისრება ყველა იმ ხარჯების გადახდა, რაც გამოიწვია მის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმამ და აგრეთვე ჯარიმა. გერმანიაში ფიცს დებენ ჩვენების მიცემის შემდეგ. განასხვავებენ მოწმის ფიცის სამ სახეს: ფიცის რელიგიური ფორმულირება, საერო ფორმულირება და მოწმის უბრალოდ გაფრთხილება არ იცრუოს.⁸³

რაც შეეხება ჯარიმას, ჯარიმის გადაუხდელობა გამოიწვევს „იძულებით პატიმრობას“. პატიმრობის ეფარდების მიზანია, მოწმის იძულება მისცეს ჩვენება, მაგრამ პატიმრობა არ უნდა აღემატებოდეს მიმდინარე საქმეზე სამართალწარმოების ხანგრძლივობის ვადას და შეიძლება გაგრძელდეს, არაუმეტეს 6 თვისა. მოწმე, რომელიც განზრახ შეიყვანს სასამართლოს შეცდომაში, შეიძლება პასუხისგებაში მიეცეს ცრუ ჩვენების მიცემის გამო, რაც ისჯება გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 153-163 მუხლებით ან ყალბი ბრალდების გამო, რომელიც იმავე კოდექსის 163-ე მუხლით დასჯად ქმედებას წარმოადგენს.

გერმანიაში ჩვენების მიცემის ვალდებულებისგან მთლიანად თავისუფლდებიან ბრალდებულის ამჟამინდელი, ყოფილი ან მომავალი მეუღლე, ბრალდებულის მეუღლის პირდაპირი ნათესავი, მესამე რიგის არაპირდაპირი ნათესავი ან მეუღლის მეორე რიგის არაპირდაპირი ნათესავი. „ღვდელი, ჟურნალისტი, ექიმი და სხვა პროფესიის წარმომადგენლები, რომელთაც ეკისრებათ კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება და გათავისუფლებული არიან ჩვენების მიცემისაგან.

⁸² საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, გამომცემლობა "იურისტების სამყარო", თბილისი 2013, გვ.367-368;

⁸³ საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილი), ავტორთა კოლექტივი, გამომცემლობა "იურისტების სამყარო", თბილისი 2013, გვ.177;

4.4 მოწმის დაკითხვა საფრანგეთში

საფრანგეთი არის ქვეყანა, სადაც ჯერ კიდევ დასაშვებია მოწმის მიმართ იძულების ღონისძიებების გამოყენება, ვინაიდან ამ ქვეყნის სამართლის სისტემა აგებულია „საჯარო წესრიგის“ პრინციპზე. იმ ფონზე, რომ ბრალდებულის უფლების დაცვის ადეკვატური გარანტიები სრულად მხოლოდ ბოლო რამდენიმე ათწლეულია ამოქმედდა.⁸⁴

გასაკვირი არ არის, რომ მოწმეთა დაცვის შესახებ საფრანგეთის კანონმდებლობა არ არის განვითარებული თვითევროპული სტანდარტებითაც კი. 1957 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (Code de Procedure Penale) 62-ე მუხლის მიხედვით, პოლიცია უფლებამოსილი იყო დაეკავებინა და დაეკითხა ნებისმიერი პირი, რომელსაც პოლიციის აზრით, შეეძლო გამოძიებისთვის რელევანტური ფაქტების, ან ამოღებული ნივთების ან დოკუმენტების შესახებ ინფორმაციის მიწოდება. კანონის შესრულების უზრუნველსაყოფად, დასშვები იყო ძალის გამოყენება (ცვლილება შეტანილია 2011 წლის 14 აპრილის #2011-392 კანონით, მუხლი 14) და 1993 წლამდე პოლიციას უფლება ქონდა ეიძულებინა მოწმე, მიეცა ჩვენება და დაედო ფიცი სასამართლოში. 2011 წელს გატარდა მნიშვნელოვანი რეფორმა რომლის შედეგად, ეს ნორმები გარკვეულწილად გაუმჯობესდა. ზემოაღნიშნული დანაწესი შეიცვალა ტექსტით, რომ პირი, რომლის მიმართაც არ არსებობს სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის ან დანაშაულის ჩადენის მცდელობის ეჭვი, გამომძიებელმა შეიძლება გამოკითხოს „ყოველგვარი ფიზიკური იძულების გარეშე“. ამის მიუხედავად, იმავე მუხლის მეორე პუნქტი იძლევა შესაძლებლობას, რომ თუ ეს „აუცილებელია გამოძიებისათვის“, ასეთ პირს შეიძლება თავისუფლება შეეზღუდოს იმ მინიმალური ვადით, რაც აუცილებელია მისი ჩვენების მისაღებად, მაგრამ არა უმეტეს 4 საათისა. აღნიშნულ ნორმაზე იმსჯელა საკონსტიტუციო სასამართლომ 2011 წელს და დაასკვნა, რომ იგი სრულ შესაბამისობაშია კონსტიტუციურ გარანტიებთან, ვინაიდან როგორც კი ჩნდება

⁸⁴ Giannouloupolous, D. (2013). "Custodial Legal Assistance and Notification of the Right to Silence in France: Legal Cosmopolitanism and Local Resistance". "Criminal Law Forum 24(3): 291-329.

ექვი, რომ მოწმე სეიდლება იყოს დამნაშავე, მასზე სრულად ვრცელდება ექვიტანილის უფლებები.⁸⁵

პოლიციას, ასევე შეუძლია, გამოიძახოს ნებისმიერი პირი, რომელსაც შეუძლია ინფორმაციის მიწოდება ფაქტებთან, ექვიტანილთან ან სამეცნიერო კვლევასთან დაკავშირებით (მუხლი 55-1) და საჭიროების შემთხვევაში, დააკავოს იგი.⁸⁶

მოწმეებს არ კითხავენ ექვიტანილის თანდასწრებით, მაგრამ მათი დაპირისპირება შესაძლებელია და ეს ფრანგული გამოძიებისთვის დამახასიათებელი ფაქტორია. მართალია, პოლიცია აღარ ითხოვს ფიცის დადებას, მაგრამ მოწმე ვალდებულია, ხელმოწერით დაადასტუროს მის მიერ მიცემული ახსნა-განმარტება მას შემდეგ, რაც მას წაუკითხავენ აღნიშნულ ახსნა-განმარტებას. მოწმემ ხელი უნდა მოაწეროს ტექსტის თითოეულ გვერდზე, რომელიც თან ერთვის საქმის ოფიციალურ მასალებს. გამოუცხადებლობა, ჩვენების მიცემაზე უარის თქმა ან ფიცის დადებაზე უარი თქმა ისჯება ჯარიმით (მუხლები 109 და 153). საფრანგეთში მხოლოდ ერთი ტიპის ფიცს სცნობს კანონმდებლობა. აქ ფიცის ტექსტი შემდეგნაირია: „ვფიცავ ვილაპარაკო სიძულვილისა და შიშის გარეშე, ვილაპარაკო მხოლოდ ჭეშმარიტება, სხვა არაფერი ჭეშმარიტების გარდა (მუხლი 331). სისხლის სამართლის დანაშაულთან დაკავშირებით ჩვენების მიცემაზე უარის თქმა ისჯება თავისუფლების აღკვეთით ან ჯარიმით 3750 ევრომდე (სისხლის სამართლის კოდექსის მუხლები 434. 15-1). დასჯადია ცრუ ჩვენების მიცემაც (იქვე. მუხლი 342).⁸⁷

4.5 განხვავება კონტინენტურსა და ანგლოამერიკულ სამართლის სისტემის მქონე ქვეყნებს შორის მოწმის დაკითხვასთან დაკავშირებით

ბრალდებულის მოწმედ დაკითხვის ინსტიტუტს იცნობს ანგლოამერიკული სისტემის სამართლის პროცესი, კონტინენტალ-ევროპული სისხლის სამართლის

⁸⁵ 2011 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილება #2011-191/194/195/196/197 QPC.

⁸⁶ Vogler, R.K. (2008). France. Criminal Procedure in Europe. R.K.H. Vogler, B. Berlin, Duncker & Humblot: 171-128. გვ. 197-200.

⁸⁷ საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილი), ავტორთა კოლექტივი, გამომცემლობა "იურისტების სამყარო", თბილისი 2013, გვ.177.

სისტემისათვის ეს უცხოა. კონტინენტურ სამართლის ქვეყნებში მოწმის ინსტიტუტი საკუთარ პროცესში არ არსებობს.⁸⁸

მოწმეთა დაყოფა ბრალდებისა და დაცვის მოწმეებად დამახასიათებელია ანგლოამერიკული სისხლის სამართლის პროცესისათვის, რომელიც მხარეთა პროცესს წარმოადგენს და უცხოა კონტინენტალ-ევროპული პროცესის სისტემისათვის. ინკვიზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე, კონტინენტალ-ევროპული მტკიცებულების მოპოვება გამოძიების პროცესში ევალება არა მხარეებს, არამედ პროკურატურას, ხოლო სასამართლოში სასამართლოს, შესაბამისად, სასამართლოში ყველა მოწმეს სასამართლო იძახებს.⁸⁹

⁸⁸ Schorm - Bernschutz, R., Die Tatsachenfeststellung im Verfahren vor dem Europäischen Gerichtshof für die Menschenrechte, S.85 და ლალიაშვილი თ., სისხლის სამართლის პროცესი, გამომცემლობა "იურისტების სამყარო", თბილისი 2015, გვ.293.

⁸⁹ Krausbeck, M., Konfrontative Zeugenberfragung, 2010, S.65 და ლალიაშვილი თ., სისხლის სამართლის პროცესი, გამომცემლობა "იურისტების სამყარო", თბილისი 2015, გვ.322.

V თავი. სამართლიანი სასამართლო განხილვის, მოწმეთა გამოძახებისა და დაკითხვის უფლება

5.1 სამართლიანი სასამართლო განხილვის ზოგადი საკითხები

სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება ერთ-ერთი ფუნდამენტალური და მნიშვნელოვანი პრინციპთაგანია იმ უფლებათა და თავისუფლებათა ჩამონათვალში, რომელსაც ითვალისწინებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და ურომლისოდაც სრულყოფილი სამართალწარმოების განხორციელება სამართლებრივ და დემოკრატიულ სახელმწიფოში წარმოუდგენელია. აღნიშნული უფლების რელევანტურობაზე მეტყველებს ასევე ის სტატისტიკური მონაცემები, რომელთა მიხედვითაც, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების უმრავლესობა დღემდე სწორედ კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევას ეხება.⁹⁰

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვ/პ-ი მხარეებს და უპირველეს ყოვლისა, ბრალდებულს შესაძლებლობას აძლევს, კანონისა და სასამართლოს წინაშე თანასწორობის გათვალისწინებით გამოიძახონ და დაკითხონ მოწმეები. ამასთან სამართლიანი სასამართლო განხილვის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია, რომ არც ერთი მხარე არ ჩადგეს არახელსაყრელ პირობებში თავისივე ოპონენტის საპირისპიროდ.⁹¹

მიუხედავად იმისა, რომ ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-6 მუხლის ტექსტი პირდაპირ არ მოითხოვს მხარეთა თანასწორობას დაცვასა და ბრალდებას შორის, აღნიშნული გარანტია მიჩნეულია სამართლიანი სასამართლოს უფლების ფუნდამენტურ შემადგენელ ნაწილად. თითოეულ მხარეს უნდა მიეცეს გონივრული შესაძლებლობა წარადგინოს მისი საქმე ისეთ პირობებში, რომლებიც არ ჩააყენებს ოპონენტზე უფრო არახელსაყრელ მდგომარეობაში.⁹²

⁹⁰ Annual Report 2010, Registry of the European Court of Human Rights Strasbourg, 2011, გვ. 151.

⁹¹ კორკელია კ., მჭედლიძე ნ., ნალბანდოვი ალ., საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების სტანდარტებთან, თბილისი 2005, გვ.133.

⁹² გადაწყვეტილება: ECtHR 15 მაისი 2005 წელი, *Ocalan v. Turkey*, No.46221/99, პარაგრაფი 140.

ევროპულ სასამართლოს აგრეთვე ცალსახად აქვს ნათქვამი, რომ პირის უფლება, დაცვისა და ბრალდების მოწმეების დაკითხვა წარიმართოს ერთნაირ პირობებში, სამართლიანი სასამართლო უფლების განუყოფელი ნაწილია.⁹³

სამართლებრივ საშუალებათა თანასწორობა ევროპული სასამართლოს მიხედვით ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის მოთხოვნა უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს სამართლებრივ საშუალებათა თანასწორობას მოწმეთა გამოძახებისა და დაკითხვის ეტაპზე. აღნიშნული უფლება კი გამორიცხავს მტკიცებულების ცალმხრივი გამოკვლევის შესაძლებლობას. ამასთან, ბრალდებულის მონაწილეობის გარეშე დაკითხული მოწმის ჩვენება მხოლოდ მაშინ შეიძლება მიიღოს სასამართლომ მხედველობაში, როდესაც იგი განმტკიცებულია სხვა უტყუარი მტკიცებულებით. ამდენად, სასამართლო „გადამწყვეტი ხარისხით“ არ უნდა დაეყრდნოს ცალმხრივად გამოკვლეულ მტკიცებულებას.⁹⁴

5.2 ბრალდებისა და დაცვის მოწმეები ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მესამე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი

ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მესამე ნაწილის „d“ ქვეპუნქტი ბრალდებულს უზრუნველყოფს მოწმის კონფრონტაციის უფლებით, კერძოდ, ბრალდებულს შესაძლებლობას აძლევს კრტიკულად გამოიკვლიოს მის საწინაარმდეგოდ მიცემული ჩვენება. ბრალდებულს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს დაკითხოს ან დააკითხვინოს დაცვის მოწმეები ბრალდების მოწმეთათანაბარ პირობებში. მოწმეებს განასხვავებს მათი ჩვენების შინაარსი. ბრალდების მოწმე - ბრალდებულის საწინააღმდეგო ჩვენებას იძლევა, ხოლო დაცვის მოწმე - ბრალდებულის სასარგებლო ჩვენებას. მათ შესძლებელია მამხილებელი და გამამართლებელი მოწმეებიც ვუწოდოთ.⁹⁵

⁹³ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Barbara, Messegue and Jabardo v. Spain, 6 დეკემბერი, 1998, პარაგრაფი 78.

⁹⁴ ვოლტერი ვ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, ბერლინი 2005, გვ.408.

⁹⁵ Krausbeck, M., Konfrontative Zeugenbefragung, 2012, S.66 და ლალიაშვილი თ., სისხლის სამართლის პროცესი, გამომცემლობა "იურისტების სამყარო", თბილისი 2015, გვ.322.

5.3 მოწმის ავტონომიური ცნება აუეს-ის პრეცედენტული სამართლის მიხედვით და აუეს-ს პრაქტიკაში არსებული გარემოებები

ევროპული სისხლის სამართლის პროცესში მოწმის ჩვენების, როგორც მტკიცებულების (competence of witnesses) რეგულირების წესების დადგენას, ხელშემკვრელ სახელმწიფოებს ანდობს. ევროპულმა სასამართლომ მხოლოდ (მამხილებელი) მოწმის ავტონომიურ ცნებას მისცა განმარტება. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, მის გადაწყვეტილებაში კოსტოვსკი ნიდერლანდების წინააღმდეგ და ასევე ვინდისი ავსტრიის წინააღმდეგ.⁹⁶ მოწმის ცნებას ავტონომიურად (autonomus), მიზანმიმართულად მისცა საკმაოდ ფართო განმარტება, კერძოდ, ევროპული სასამართლო მოწმის ცნებაში მოიაზრებს არა მხოლოდ იმ პირს, რომელიც სასამართლოს წინაშე უშუალოდ იქნა დაკითხული და ჩვენება მისცა, არამედ ასევე იმას, რომელიც სასამართლოს წინაშე მტკიცებულებათა გამოკვლევისას არ დაკითხულა და შესაბამისად, ჩვენება არ მიუცია (“not give evidence in court”, “not testify in court in person”), ან რომელიც ხელშემკვრელი სახელმწიფოს საპროცესო კანონმდებლობით არ განიხილება როგორც მოწმე.⁹⁷

მამხილებელი (ბრალდების) მოწმე შეიძლება იყოს თანაბრალდებული, რომელიც ბრალდებულის საწინააღმდეგო ჩვენებას იძლევა, მიუხედავად იმისა, ეროვნული კანონმდებლობა მას მოწმედ განიხილავს თ არა.⁹⁸

პირის მოწმედ ყოფნისათვის მთავარია მის მიერ (უშუალოდ პროცესის დროს ან პროცესის ფარგლებს გარეთ) მიცემული ჩვენება სასამართლოს წარედგინოს დაკითხვის მწარმოებელი უფლებამოსილი პირის მიერ, იქნება ეს წერილობითი ფორმით, წაკითხვის მეშვეობით თუ დაკითხვის ფორმით (“statements... were in fact before the... court”). მოწმე რა ეტაპზე მისცემს ჩვენებას, მნიშვნელობა არა აქვს, მთავარი და მნიშვნელოვანია ეს ჩვენება გახდეს სასამართლოს განხილვის საგანი და მოწმის მიერ ჩვენების მიცემისას არ იქნეს დარღვეული ბრალდებულის

⁹⁶ Kostovsky v. Niderlande, Serie A, N166; Windish v Austria, Serie A, N186; Esser, R. auf dem Weg zu einem europaischen Strafverfahrenrecht, Jur. Diss, 2002, S.630.

⁹⁷ For the purpose of Article 6 Asch v. Austria, Serie A N203, Esser, R., Auf dem Weg zu einem europaischen Strafverfahrenrecht, Jur, Jur. Diss, 2002.

⁹⁸ Gerdmann, A., Die Verwertbarkeit belastender Zeugenaussagen bei Beeitrachtigungen des Fragerchts des Beschuldigten, 2010, S.88.

კონფრონტაციის უფლება. ბრალდებულის კონფრონტაციის უფლება მხარეთა სამართლიანი მოსმენისა და შეჯიბრებითობისა და მხარეთა თანასწორუფლებიანობის გამოხატულობაა.⁹⁹

აუეს-ს პრაქტიკაში არსებული გარემოებები

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მხედველობაში იღებს პრაქტიკაში არსებულ გარემოებებს და სამართლიანად უთითებს, რომ გარკვეულ ვიტარებაში, მტკიცებულებათა უშუალო გამოკვლევა სასამართლო სხდომაზე პრაქტიკულად შეუძლებელია. გამოჩივების პროცესში საგამოძიებო ორგანოების მიერ ან პროცესის ფარგლებს გარეთ მოპოვებული მოწმის ჩვენება არ არღვევს ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 ნაწილის “d” ქვეპუნქტის მოთხოვნებს და შესაძლებელია ეს ჩვენება საქმის არსებითად განმხილველი სასამართლოს მიერ იქნეს შეფასებული და განაჩენს დაედოს საფუზვლად, თუ გამოძიების პროცესში დაცული იქნება კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 ნაწილის “d” ქვეპუნქტით გარანტირებული ბრალდებულის მოწმის კონფრონტაციის უფლება. კონფრონტაციის უფლება ნიშნავს, ბრალდებულს ან მის დამცველს მიეცეს შესაბამისი და გამოსადეგი შესაძლებლობა, გადაამოწმოს მოწმის ჩვენება და გამოკითხოს ეს მოწმეები (be given adequate and proper opportunity to challenge/examine and question a witness against him), რათა მათ შეძლონ მოწმის სანდოობის, მისი ჩვენების სარწმუნოობისა და დამაჯერებლობის შემოწმება, რაც მათ შესაძლებლობას უქმნის ამ მოწმის ჩვენება საეჭვოდ გახადონ (“test the witness reliability or cast doubt on their credibility”). ამისათვის კი მნიშვნელობა არა აქვს მოწმემ ჩვენება სად მისცა, გამოძიების პროცესში - გამომძიებელთან, მაგისტრატ მოსამართლესთან თუ საერთოდ სასამართლო პროცესს გარეთ. მთავარია დაცული იქნეს ბრალდებულის უფლება, დაკითხოს მოწმე ჩვენების მიცემის პროცესში (“either at the time the witness was making statement or at some/a later stage of the proceedings”).¹⁰⁰

⁹⁹ F. Mahler, das Recht des Beschuldigten auf konfrontative Befragung der Belastungszeugen, 2011, S.55.

¹⁰⁰ Esser, R., Auf dem Weg zu einem europäischen Strafrecht, Jur. Diss, 2002, S.638.

ევროპული სასამართლო მამხილებელ მოწმეს (ბრალდების მოწმეს) სამ მოთხოვნას უყენებს: ა) მამხილებელი (ბრალდების) მოწმე მთავარ სასამართლო სხდომაზე უნდა გამოცხადდეს და დაკითხული იქნეს მხარეთა მიერ; ბ) თუ გამოძახებული მოწმე არ გამოცხადდება მთავარ სასამართლო სხდომაზე, მისი გამოუცხადებლობის პროცესუალური კომპენსაცია უნდა მოხდეს იმით, რომ დაცვის მხარეს უნდა ჰქონდეს ან უნდა ჰქონოდა შესაძლებლობა, პროცესის ფარგლებში ან თუნდაც პროცესის ფარგლებს გარეთ, უშუალოდ მონაწილეობა მიიღოს ან მიეღო მამხილებელი მოწმის დაკითხვაში; გ) ასეთ მტკიცებულებას შეზღუდული მტკიცებულებითი ღირებულება აქვს. დაუშვებელია მხოლოდ ასეთი მტკიცებულება დაედოს გამამტყუნებელ განაჩენს საფუძვლად.^{101 102}

5.4 მოწმის გამოძახებისა და დაკითხვის უფლება სხვადასხვა კონვენციებისა და დოკუმენტების მიხედვით

მოწმეთა გამოძახებისა და დაკითხვის უფლება გვხვდება სხვადასხვა კონვენციებში და დოკუმენტებში, რომლებიცაა: სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების პაქტი, მუხლი 14(3)(ე); ამერიკული კონვენცია, მუხლი 8(2)(ფ); ევროპის კონვენცია, მუხლი 6(3)(დ); აფრიკული კომისიის რეზოლუცია, პარაგრაფი 2(E)(3); იუგოსლავიის ტრიბუნალის წესდება, მუხლი 21(4)(ე); რუანდას ტრიბუნალის წესდება, მუხლი 20(4)(ე); სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდება, მუხლი 67(1)(ე). მხარეთა თანასწორობის პრინციპის და ბრალდებულის მიერ თავის დაცვის უფლების ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია ბრალდებულის უფლება, გამოიძახოს და დაკითხოს მოწმეები.¹⁰³

მოწმეთა გამოძახების და დაკითხვის უფლება უზრუნველყოფს, რომ დაცვის მხარეს ჰქონდეს შესაძლებლობა, დაკითხოს მოწმეები, რომლებიც ჩვენებას მისცემენ ბრალდებულ პირის სასარგებლოდ და ეჭვქვეშ დააყენოს ბრალდებულის წინააღმდეგ წარმოდგენილი მტკიცებულებები. მოწმეთა დაკითხვა როგორც

¹⁰¹ Mahler, F., das recht des Beschuldigten auf Konfrontative Befragung der Belastungszeugen, 2009, S.51;

¹⁰² ლალიაშვილი თ., სისხლის სამართლის პროცესი, გამომცემლობა "იურისტების სამყარო, თბილისი 2015, გვ.323-326;

¹⁰³ ჰერბერტ დ. ბოუმანი და გიორგი ჩხეიძე, ადვოკატირება სისხლის სამართლის პროცესში ქართველი იურისტებისათვის, გამომცემლობა "მერიდიანი", თბილისი 2014, გვ.150;

ბრალდების მხარის, ისე დაცვის მხარის მიერ სასამართლოს საშუალებას აძლევს, მოისმინოს ჩვენებაც და ამ ჩვენების ეჭვქვეშ დაყენების საფუძველებიც. საერთაშორისო სტანდარტებში გამოყენებული ფრაზა „დაკითხოს ან დააკითხვინოს ითვალისწინებს სამართლის სხვადასხვა სისტემის მოთხოვნებს, მათ შორის, სისტემისა, რომლებშიც სასამართლო ხელისუფლება უფრო მეტ როლს თამაშობს მოწმეთა დაკითხვაში. ამ სტანდარტში ფორმულირებული ტექსტი დაცვის მხარეს არ აძლევს განუსაზღვრელ უფლებას, რომ აუცილებლად უზრუნველყოფილი იყოს დაცვის მხარის მოწმის დასწრება, არამედ ანიჭებს მას „იგივე პირობებს“, რა პირობებსაც მის მოწინააღმდეგე მოწმეებს ანიჭებს. მაგრამ, ანონიმური მოწმის (ე.ი. როდესაც სასამართლო სხდომაზე დაცვის მხარისთვის უცნობია მოწმის ვინაობა) ჩვენების გამოყენება არღვევს ბრალდებულის მიერ მოწმეთა დაკითხვის უფლებას, რადგან ამით ბრალდებულს ერთმევა შესაძლებლობა, იცოდეს ინფორმაცია, რაც აუცილებელია მოწმის სანდოობის შესამოწმებლად. ანონიმური მოწმეების გამოყენების სრული აკრძალვა ყველა საქმეში აუცილებელი არ არის, მაგრამ გამოყენების შემთხვევები მკაცრად შეზღუდული უნდა იყოს (ამ საკითხზე ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილებებისთვის იხილეთ *Doorson v. The Netherlands*, 26 მარტი 1996 წ., 2Ser. A 470, პარაგრაფი 69; *Van Mechelen and others v. The Netherlands*, (55/1996/674/861/-864), 23 აპრილი 1997, პარაგრაფი 51; *Windish Case*, 27 სექტემბერი 1990წ., 186 Ser. A 11; *Kostovski v. The Netherlands*, 20 ნოემბერი 1989წ., 166 შერ. A 20). ამასთან, ევროპის სასამართლომ დაადგინა, რომ მართალია, ევროპის კონვენციის 6(3)(დ) მუხლი არ მოითხოვს ყველა იმ მოწმის დასწრებას და დაკითხვას, რომელსაც ბრალდებული მოითხოვს, მაგრამ სასამართლომ ის დისკრეციული უფლებამოსილება, თუ რომელი მოწმეები გამოიძახოს, უნდა განახორციელოს მხარეთა თანასწორობის პრინციპის დაცვით. ევროპის სასამართლომ სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევად მიიჩნია ის ფაქტი, რომ გადაწყვეტილებაში არ იყო ახსნილი მიზეზები, თუ რატომ არ დააკმაყოფილა შიდასახელმწიფოებრივმა სასამართლომ ბრალდებულის მოთხოვნა ოთხი მოწმის დაკითხვასთან დაკავშირებით (*Vidal v. Belgium*, (14/1991/266/337), 22 აპრილი 1992). მკვლელობის საქმეში, როდესაც დაცვის მხარის მოწმეს სურდა

ჩვენების მიცემა, მაგრამ ის ვერ გამოცხადდა სასამართლოში კონკრეტულ დღეს, ვინაიდან არ ჰქონდა ტრანსპორტით გადაადგილების საშუალება, ადამიანის უფლებათა კომიტეტმა დაადგინა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების პაქტის 14(1) და 14(3)(ე) მუხლების დარღვევა იმდენად, რამდენადაც მოწმის გამოუცხადებლობა იყო ხელისუფლების ბრალი, რომელსაც შეეძლო გადაედო სხდომა ან უზრუნველყო მოწმე გადაადგილების საშუალებით.^{104 105}

5.5 დაცვის მხარის უფლებათა შეზღუდვის აცილების შეუძლებლობა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვ/პ-ის მოთხოვნა არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას, რომელიც ნაციონალურ სასამართლოებს დაავალდებულებდა, დაეკმაყოფილებინა დაცვის მხარის ნებისმიერი სუამდგომლობა მოწმის გამომახებისა და დაკითხვის შესახებ. კონვენცია ადგენს ზოგად გარანტიას იმის თაობაზე, რომ საქმესთან შემხებლობის მქონე მოწმეების დაკითხვა განხორციელდეს თანაბარ პირობებში. თუმცა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას თუ გადავხედავთ, ვნახავთ, რომ გარკვეული გამონაკლისები ზემოხსენებული გარანტიიდანაც არსებობს მანამ, სანამ საფრთხე არ დაემუქრება სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებას. გამონაკლის შემთხვევებში იგულისხმება ობიექტურად გარდაუვალი ვიტარება, როდესაც დაცვის მხარის უფლებათა შეზღუდვის აცილება შეუძლებელი იყო. სასამართლო პრაქტიკიდან აღსანიშნავია ოთხი შემდეგი ვითარება: 1. მოწმის მიერ ჩვენების მიცემა შეუძლებელია, რადგან არ გამოცხადდა სასამართლოზე ან შეუძლებელია მისი მოყვანა; 2. არსებობს მოწმის ვინაობის გასაიდუმლოების ინტერესი; 3. მოწმე დაშინებულია ბრალდებულის მიერ; 4. მოწმე არის სექსუალური დანაშაულის მსხვერპლი, რომელმაც ბრალდებულთან დაპირისპირების შედეგად, შესაძლებელია, მძიმე სულიერი ტრავმა მიიღოს.¹⁰⁶

¹⁰⁴ Grant v. Jamaica, (353/1988), 31 მარტი 1994წ., UN Doc. CCPR/C/50/D/353/1988,10;

¹⁰⁵ ჰერბერტ დ. ბოუმანი და გიორგი ჩხეიძე, ადვოკატირება სისხლის სამართლის პროცესში ქართველი იურისტებისათვის, გამომცემლობა "მერიდიანი", თბილისი 2014, გვ.150-153;

¹⁰⁶ ტრექსელი შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი 2009, გვ.330;

VI თავი. დაკითხვის პროცესში გამოყენებული ტექნიკური საშუალებები

6.1 დაკითხვისას ვიდეო და აუდიო აპარატურის გამოყენების პროცესუალური და ტაქტიკური ხერხები

თანამედროვე პირობებში გამოძიების ხარისხისა და კულტურის ამაღლება, ასევე სასამართლოში საქმის განხილვა მჭიდრო კავშირშია სისხლის სამართლის პროცესში მეცნიერებისა და ტექნიკის უკანასკნელი მიღწევების დანერგვასა და გამოყენებასთან. გამოძიებასა და სასამართლოში საქმის განხილვის გაუმჯობესება კავშირშია ასევე ისეთ ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებასთან, როგორცაა ფოტო, ვიდეო და აუდიო აპარატურის გამოყენება სისხლის სამართალწარმოებაში.¹⁰⁷

უნდა აღინიშნოს, რომ ძველად არსებული, ასევე 1960 წელს მიღებული საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, საერთოდ არ ითვალისწინებდა ხმის ჩაწერას დაკითხვისა და სხვა საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების დროს. მხოლოდ 1966 წლის 30 ნოემბრის ბრძანებულებით, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შევიდა შესწორება, რომლის საფუძველზეც 961 მუხლი ითვალისწინებდა ხმის ჩაწერას დაკითხვის დროს, რაც უნდა ჩაითვალოს პროგრესულ მოვლენად.¹⁰⁸

დღეისათვის მოქმედმა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა ნაწილობრივ გააფართოვა ხმის ჩაწერის შესაძლებლობა დაკითხვის დროს (მუხლი 303-304).

სიტყვიერი ურთიერთობის პრაქტიკაში ხშირად წარმოიქმნება შეუმჩნეველი გართულებები, რომლებიც უარყოფითად მოქმედებს საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებაზე. განსაკუთრებით საყურდღებოა მოსაუბრის ნათქვამის გაუგებრობა ან მცდარი გაგება, ასევე მისი არავერბალური ქცევის შეუსაბამობა ნათქვამთან. არის

¹⁰⁷ ცნობილადე კ. საკანონმდებლო ტექნიკის უცხოური გამოცდილება, ჟურნალი „სამართალი“, 2004 , გვ. 34;

¹⁰⁸ ფალიაშვილი ა., ხმის ჩაწერის გამოყენების სადაო საკითხები სისხლის სამართალწარმოებაში, „სისხლის სამართლის სისხლის სამართლის პროცესისა და კრიმინოლოგიის აქტუალური საკითხები“ კრებული, თბილისი 1986 წელი. გვ. 22;

შემთხვევები, როცა დასაკითხი სწორად ვერ იგებს დასმულ შეკითხვას და შესაბამისად იძლევა არასწორ პასუხს ან დამკითხველი ვერ იგებს პასუხის აზრს და ოქმში აღნიშნავს პასუხის არასწორ ინტერპრეტაციას. ოქმის ჩანაწერში შეცდომა შესაძლებელია მაშინაც, როცა დამკითხველმა რაღაც ვერ გაიგო ნორმალურად და საჩქაროდ გააკეთა ჩანაწერი ოქმში. შესაძლებელია დამკითხველი გაუთვითცნობიერებული იყოს დაკითხვის საგანთან დაკავშირებით, როგორცაა მაგალითად სპეციალური ცოდნის ქონა (საბუღალტრო, საინჟინრო და სხვა), ამიტომ შესაძლებელია მან არასწორად გააკეთოს ჩანაწერი ოქმში. ამასთან ერთად ჩანაწერებში ცდომილებები შესაძლებელია ენობრივი თავისებურებების გამოვლინებისას, ორაზროვანი გამონათქვამებისას. აქედან გამომდინარე, დაკითხვის ფიქსაცია ვიდეო და აუდიო აპარატურის გამოყენებით (განსაკუთრებით ვიდეო აპარატურის) საშუალებას გვაძლევს შემდგომში დაწვრილებით მოვისმინოთ, ვნახოთ და გავაანალიზოთ მოსაუბრის ნათქვამი, რაც გამორიცხავს დაკითხვის შეფასებისას არასწორი აზრის გამოტანას.^{109 110}

საგამოძიებო პრაქტიკის ანალიზიდან გამომდინარე, შესაძლებელია განვიხილოთ სიტუაციები, თუ რა დროს და რა შემთხვევებისას არის მიზანშეწონილი დაკითხვისას აუდიო და ვიდეო აპარატურის გამოყენება.

ა) არასრულწლოვანთა (განსაკუთრებით მცირეწლოვანების) დაკითხვისას. ეს განპირობებულია იმით, რომ სიტყვების მარაგი და მეტყველების თავისებურებები არასრულწლოვანებსა (განსაკუთრებით მცირეწლოვანებს) და სრულწლოვანებს შორის განსხვავებულია. არასრულწლოვანები და განსაკუთრებით მცირეწლოვანები ფანტაზიორობენ, იყენებენ გამოთქმებს, რომელთა ნამდვილი არსი მათთვის უცნობია, მათ არა აქვთ დროის, სიჩქარის, ზომის და სხვადასხვა მოვლენების ზუსტი განსაზღვრის უნარი. მცირეწლოვანების ფსიქოლოგიიდან გამომდინარე (რაც განხილულია წინამდებარე თავში) ისინი უმეტესად ჰყვებიან იმას, რისი გაგებაც სურს დამკითხავს ან დაკითხვაზე მყოფ უფროსებს. ყველაფერ ამაში

¹⁰⁹ ცნობილადე კ. საკანონმდებლო ტექნიკის უცხოური გამოცდილება, ჟურნალი „სამართალი“, 2004 , გვ. 17-21;

¹¹⁰ ციხისელი თ. დეკანოზიშვილი გ. დაკითხვის ტაქტიკა და ფსიქოლოგიური თავისებურებები, თბილისი 2005. გამომც. „მერიდიანი“ გვ. 56;

გარკვევა შესაძლებელია მხოლოდ არასრულწლოვანის ჩვენების დეტალური ანალიზის შედეგად, რომელსაც აადვილებს აუდიო ან ვიდეო ჩანაწერის არსებობა.

აუდიო ან ვიდეო ჩანაწერის გამოყენება, არასრულწლოვანების და განსაკუთრებით მცირეწლოვანების დაკითხვისას საჭიროა იმიტომაც, რომ ისინი ძალიან იოლად ექცევიან სრულწლოვანების გავლენის ქვეშ, რის შემდეგაც მათ შეუძლიათ შეცვალონ ჩვენება. ყველაფერი ეს გვაძლევს იმის წინაპირობას, რათა ვიდეო და აუდიო აპარატურა უფრო ფართოდ იქნეს გამოყენებული არასრულწლოვანების დაკითხვისას.

ბ) იმ პირთა ჩვენების ფიქსაციისას, რომელთა ჩვენება განსაკუთრებით აუცილებელია, მაგრამ არსებობს ვარაუდი ან ზუსტად არის ცნობილი, რომ გარკვეული მიზეზის გამო დასაკითხი ვერ შეძლებს სასამართლოზე გამოცხადებას; მაგალითად, როცა დაკითხვამდე გამომძიებელისათვის გახდა ცნობილი, რომ მოწმე უნდა წავიდეს ხანგრძლივ მივლინებაში საზღვარგარეთ, ან იგი ცხოვრობს სადმე შორს დასახლებულ რაიონში საიდან ჩამოსვლაც მას გაუჭირდება, ან მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა იმგვარია, რომ მას გაუჭირდება სასამართლოზე გამოცხადება. აუდიო ან ვიდეო ჩანაწერების არსებობა აძლევს სასამართლოს საშუალებას შეაფასოს სასამართლოზე საპატიო მიზეზით გამოუცხადებელი პირის მიერ მიცემული საქმეში არსებული ჩვენება.

გ) იმ პირთა ჩვენების ფიქსაციისას, რომელთა სიცოცხლეს ემუქრება საშიშროება; ასეთ შემთხვევაში ვიდეო ან აუდიო ჩანაწერმა შესაძლებელია დიდი დახმარება გაუწიოს გამოძიებას, რადგან დასაკითხის გარდაცვალების შემთხვევაში საქმეში რჩება არა მარტო ოქმის სახით არსებული ჩანაწერი, არამედ დასაკითხი პირის მიერ პირადად მიცემული ჩვენების ხმის და გამოსახულების ორიგინალი.¹¹¹

მაგალითი პრაქტიკიდან: გარდაცვალებამდე სამი დღით ადრე, გამომძიებელმა საავადმყოფოს პალატაში, მკურნალი ექიმის თანდასწრებით დაკითხა მოქალაქე „ნ“-ი, რომელსაც მეუღლემ მიაყენა სხეულის მძიმე დაზიანებები. დაკითხვის დროს ბრალდებული და მისი ათი წლის შვილი, რომელიც შეესწრო დანაშაულს, უარყოფდნენ ცემის ფაქტს. მაგრამ, როცა სასამართლო განხილვისას გამოყენებული

¹¹¹ ცნობილაძე პ. საკანონმდებლო ტექნიკის უცხოური გამოცდილება, ჟურნალი „სამართალი“, 2009, გვ 29-32 ;

იქნა დაზარალებულის დაკითხვის ჩანაწერი, ექვმიტანილმა და მისმა შვილმა დაადასტურეს დაკითხვის „ჩანაწერში“ მოყვანილი ფაქტები და გარდა ამისა ექვმიტანილმა მისცა სრული და ჭეშმარიტი ჩვენება მომხდარი ფაქტის გარშემო.

დ) იმ პირთა ჩვენების ფიქსაციისას, რომელთა პიროვნებიდან გამომდინარე არსებობს ვარაუდი, რომ გამოძიების მიერ განხორციელებული ზეწოლის მომიზეზებით, დასაკითხი შემდგომში უარს იტყვის მიცემულ ჩვენებაზე ან შეცვლის მას. პრაქტიკამ აჩვენა, რომ (მიუხედავად იმისა, რომ ცრუ ჩვენების მიცემისთვის არსებობს პასუხისმგებლობა) ზოგჯერ დანაშაულის ფაქტების შეცვლის მიზნით დასაკითხები გარკვეული მიზეზების გამო ცვლიან თავიანთ ჩვენებებს, ან საერთოდ უარს ამბობენ მასზე.¹¹²

თვალნათლივ ჩანს, რომ ზემოთ მოყვანილ ანალოგიურ შემთხვევებში ვიდეო ან აუდიო ჩანაწერი არ შეიძლება გამოყენებულ იქნას ბრალდებულის ბრალეულობის წინააღმდეგ, როგორც აღიარების გამაგრების საშუალებად ან მის მიერ ჩვენების შეცვლის გამომრიცხავ გარემოებად. თავისთავად აღიარებითი ვიდეო ან აუდიო ჩანაწერის (შემდგომში „ჩანაწერი“) არსებობამ არ უნდა შეზღუდოს გამომძიებელი, რათა არ გამოიჩინოს ინიციატივა შემდგომში დამატებით სხვა მტკიცებულებების მოგროვებაში. როგორც წესი, ჩანაწერი შეიცავს გარკვეულ საჭირო ინფორმაციებს, ამიტომ ჩვენების შეცვლის შემთხვევაში გამომძიებელს აძლევს საშუალებას შეაფასოს, არსებულ სხვა მტკიცებულებებთან ერთად, სისხლის სამართლის საქმის გარემოებები და დაადგინოს, თუ რომელი განმარტებები შეესაბამება რეალობას.

საგამომძიებო პრაქტიკაში არსებობს შემთხვევები, როდესაც დასაკითხი შეუგნებლად ცვლის თავის ჩვენებას იმიტომ, რომ დიდი დროის გასვლის გამო დაავიწყდა წინათ მიცემული ჩვენება.¹¹³ აქედან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ „ჩანაწერი“ ზოგჯერ არ არის მტკიცებულების გამაგრების საშუალება, რათა დასაკითხმა არ შეცვალოს პირვანდელი ჩვენება, არამედ ის არის იმ ფაქტის მტკიცების საშუალება, რომ გარკვეული მომენტისათვის დასაკითხი იძლეოდა იმ ჩვენებას, რაც „ჩანაწერშია“ მოცემული. ყოველივე ეს გვადლევს საშუალებას

¹¹² ცნობილადე პ. საკანონმდებლო ტექნიკის უცხოური გამოცდილება, ჟურნალი „სამართალი“, 2009 , გვ. 33-34;

¹¹³ უზნაძე დ. ზოგადი ფსიქოლოგია, გამომცემლობა საქართველოს მაცნე 2006 , გვ 63;

გავაფართოვოთ შესაძლებლობა, რათა შევამოწმოთ, თუ რა პირობებში და გარემოებებში რა სახის პასუხებს და ახსნა განმარტებებს იძლეოდა დასმულ კითხვებზე დასაკითხი. „ჩანაწერი“ შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს კიდევ შემდეგ შემთხვევებში:

ე) გაუპატიურებისას დაზარალებულის დაკითხვის დროს, რადგან, როგორც წესი მათ ერიდებათ, მსგავსი ჩვენების მიცემა სასამართლო განხილვისას ან საერთოდ არ ცხადდებიან სასამართლოზე;

ვ) როცა დაკითხვაში მონაწილეობას იღებს თარჯიმანი. ამ შემთხვევაში შესაძლებელია გამოირკვეს ჩვენების შეცვლის საფუძველი, როცა დასაკითხი მიუთითებს არასწორ ან არაზუსტ თარგმანზე. ზ. იმ პირების დაკითხვისას, რომელთა ფსიქიკურ სრულყოფილებაშიც შეგვაქვს ეჭვი. ექსპერტ-ფსიქიატრების მტკიცებით ასეთი „ჩანაწერები“ მათ აძლევთ საშუალებას გარკვეულ წილად გააიოლონ დასაკითხი პირების ფსიქიატრიული გამოკვლევა.¹¹⁴

მაგალითი პრაქტიკიდან: ქურდობის ფაქტთან დაკავშირებული საქმის გამომძიებისას, ეჭვმიტანილი დაკითხვის დროს ლაპარაკობდა არეულად, იგონებდა რაღაც ფაქტებს, ურევდა წელიწადის დროებს, ითხოვდა ცალკე საკანში მოთავსებას, რათა კონცენტრირება გაეკეთებინა გენიალურ აღმოჩენაზე. მსგავსი ჩვენების დაფიქსირება ოქმში იწვევდა სრულ გაუგებრობას, ამიტომ გამომძიებლის გადაწყვეტილებით გაკეთდა დაკითხვის ვიდეო ჩანაწერი, რომელიც შემდგომში გამოყენებული იქნა ფსიქიატრიული ექსპერტიზის დროს. „ჩანაწერის“ მოსმენამ სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარებისას ექიმები მიიყვანა დასკვნამდე, რომ ბრალდებული სიმულირებდა ფსიქიკურ აშლილობას.¹¹⁵

თ) განსაკუთრებით საჭირო საკითხების ფიქსაციისათვის, რომლებიც სრულდება ცალკეული დავალებების შემთხვევაში. „ჩანაწერის“ გაკეთებას დიდი მნიშვნელობა აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც გამომძიებელი უშუალოდ ვერ აწარმოებს ბრალდებულის, მოწმის და დაზარალებულის დაკითხვას და ამ საგამომძიებო მოქმედებას ავალებს სხვა გამომძიებელს, რომლის მოქმედების ტერიტორიაზეც

¹¹⁴ შინდელიშვილი გ. ფსიქოლოგიური კონტაქტი ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის დაკითხვისას, ჟურნალი „სამართალი“ №5, 2001, გვ. 12;

¹¹⁵ მერაბიშვილი გ. ზოგადი და იურიდიული ფსიქოლოგია, თბილისი 1998, გვ. 31-34;

იმყოფება დასაკითხი პირი. ასევე, დაკითხვის ოქმთან ერთად „ჩანაწერი“ გვადლევს იმ გამომძიებლის დაკითხვაში მონაწილეობის გამორკვევის საშუალებას, რომელმაც მიიღო საქმე წარმოებაში და შემდგომ ეს საქმე უნდა გადაეგზავნოს სხვა ორგანოს.

ი) ადამიანის უფლებების დაცვის მიზნით, გაუნათლებელი, ყრუ-მუნჯების, ბრმების და სხვა პირთა დაკითხვისას, როგორც ჩვენების დამატებითი ფიქსაციის საშუალება. ასეთ შემთხვევებში „ჩანაწერი“ (უმეტესად ვიდეო ჩანაწერი) აძლევთ მათ საშუალებას დარწმუნდნენ, რომ მათი ჩვენება ფიქსირდება სწორად და შემდგომში სასამართლოზე ვერ ამტკიცებენ იმას, რომ თავიანთი ნაკლის გამო, ჩვენება არის არასწორად დაფიქსირებული.

კ) „ჩანაწერი“ შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს შემდგომი გამოძიებისას, ტაქტიკური მიზნებისათვის. მოწმეებისა და ბრალდებულების „ჩანაწერის“ მოსმენა სხვა ბრალდებულების თუ დასაკითხი პირების მიერ ეფექტურია, ვიდრე მათ წაუკითხო ჩვენების ოქმი, მითუმეტეს დღევანდელ პირობებში, როცა საპროცესო კოდექსიდან ამოღებულია დაპირისპირების მუხლი.

ლ) და ბოლოს „ჩანაწერის“ გაკეთება მიზანშეწონილია არა მარტო დაკითხვისას, არამედ სხვა საგამომიებო მოქმედებისას, როგორცაა ჩვენების ადგილზე შემოწმება და საგამომიებო ექსპერიმენტი. ეს გვეხმარება შემდგომში დაკითხვის დროს, რათა დასაკითხს წარვუდგინოთ გარკვეული მტკიცებულებები, რომელიც მიღებულია ჩვენების ადგილზე შემოწმებისას და საგამომიებო ექსპერიმენტის დროს. გარდა ამისა საგამომიებო მოქმედებისას, როგორცაა ჩვენების ადგილზე შემოწმება და საგამომიებო ექსპერიმენტი, ოქმი დგება საგამომიებო მოქმედებების ჩატარების მერე და ჩანაწერი გვადლევს საშუალებას არ გამოგვრჩეს ოქმის გაფორმებისას გარკვეული ნიუანსები, რაც შემდგომში ხელს შეუშლის გამოძიებას რეალობის დადგენაში.¹¹⁶

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 303-ე და 304-ე მუხლის შესაბამისად დაკითხვის დროს ხმის და გამოსახულების ჩაწერას ახასიათებს გარკვეული თავისებურებანი, რაც გამოიხატება შემდეგში: კერძოდ, 303-

¹¹⁶ ინწვირველი ზ., ბრალდებულის ცრუ აღიარების მიზეზები და მათი გამოვლენის მექანიზმი ფსიქოლოგიური და პროცესუალური ხერხებით და საშუალებებით. ჟურნალი „სამართალი“ №3, 2000, გვ. 13;

ე მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით დაკითხვის დროს შეიძლება გამოყენებულ იქნეს გამოსახულების ან/და ხმის ჩაწერის შესაბამისი ტექნიკური საშუალება. დაკითხვა ყოველთვის უნდა ჩაიწეროს ამგვარი ტექნიკური საშუალებით, თუ დასაკითხი პირი შუამდგომლობს დაკითხვის ჩაწერაზე და ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფს ჩაწერას. ამ მუხლში ნახსენებია გამოსახულების ჩაწერის (ანუ ვიდეო გადაღების) გამოყენება დაკითხვის დროს. (ამ მუხლის შემდგომ პუნქტებში და არც 304-ე მუხლში გამოსახულების ჩაწერა აღარ არის ნახსენები, ნახსენებია მხოლოდ ხმის ჩაწერა. მიზანშეწონილი იქნებოდა თუ 304-ე მუხლში ხმის ჩაწერასთან ერთად ნახსენები იქნება გამოსახულების ჩაწერაც). საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 304-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით „ბრალდებულის, ეჭვმიტანილის, მოწმის ან დაზარალებულის დაკითხვისას შეიძლება ხმის ჩაწერა. ამჟამად მოქმედმა საპროცესო კოდექსმა მიუთითა, რომ ეჭვმიტანილის, ბრალდებულის ან დამცველის ხმის ჩაწერა არ შეიძლება, თუ ისინი ამის წინააღმდეგი არიან, რაც იმით არის განპირობებული, რომ ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის ჩვენება არის უფლება და არა ვალდებულება. როგორც კი გამომძიებელი გადაწყვეტილებას იღებს ხმის ან გამოსახულების ჩაწერის შესახებ, იგი ამის თაობაზე დასაკითხს აცნობებს დაკითხვის დაწყებამდე, ამავე დროს ხმის ან გამოსახულების ჩანაწერი დაკითხვის დროს უნდა ასახავდეს დაკითხვის მთელ მიმდინარეობას. დაკითხვის ნაწილის ჩაწერა, აგრეთვე იმავე დაკითხვისას მიცემული ჩვენების გამეორება სპეციალურად ჩაწერისათვის დაუშვებელია.¹¹⁷

დაკითხვის დამთავრებისთანავე ხმის ან გამოსახულების ჩანაწერი მთლიანად უნდა წარუდგინონ დასაკითხს და ჰკითხონ, სურს თუ არა რაიმე დაუმატოს ან დააზუსტოს და ადასტურებს თუ არა ჩანაწერის სისწორეს. ხმის ან გამოსახულების ჩაწერის შემდეგ დასაკითხის დამატებითი ჩვენებაც იმავე წესით იწერება.

ვიდეო და აუდიო აპარატურის გამოყენება სისხლის სამართალწარმოებაში განუხრელად უნდა შეესაბამებოდეს კანონიერების პრინციპს, რომელიც იძლევა პროცესის მონაწილეთა უფლებების დაცვის გარანტიას, ხელს უწყობს საქმის

¹¹⁷ კაპანაძე რ., ხმის ჩაწერის არსი და მნიშვნელობა სისხლის სამართალწარმოებაში, ჟურნალი „სამართალი“ №3, 1999, გვ 12-14;

ყოველმხრივ, სრულყოფილ და ობიექტურ გამოძიება-განხილვას. თანამედროვე ტექნიკური საშუალებების გამოყენება იძლევა საშუალებას დაეხმაროს პროცესის მონაწილეებს, დარწმუნდნენ კანონის ზუსტ და განუხრელ დაცვაში საგამომიებო და სასამართლო მოქმედებათა ჩატარების დროს. ასევე დარწმუნდნენ იმაში, რომ დაკითხვები და სხვა საგამომიებო მოქმედებები ჩატარებული იყო პროცესის მონაწილეთა უფლებების დაცვით, რომ საგამომიებო მოქმედებათა ჩატარების დროს არ იყო გამოყენებული მუქარა, შანტაჟი, იძულება და სხვა კანონსაწინააღმდეგო მოქმედებანი.¹¹⁸

თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარება საშუალებას გვაძლევს, აუდიო და ვიდეო აპარატურის გამოყენება გავხადოთ უფრო მოსახერხებელი და ხელმისაწვდომი დაკითხვების დროს. კერძოდ, დღესდღეობით აღარ წარმოადგენს სირთულეს და განსაკუთრებით სიძვირეს დაკითხვის წარმოების ფიქსირება ვიდეო აპარატურის გამოყენებით, ე.წ. ინფორმაციის შესანახი მატარებლების მოსახერხებლობის და სიიაფის გამო.¹¹⁹

6.2 დაკითხვის არატრადიციული მეთოდები

1. სიცრუის დეტექტორი (პოლიგრაფი) და მისი გამოყენება დაკითხვისას.

მეცნიერული თვალსაზრისით ტყუილი მიეკუთვნება მორალურ-ეთიკურ კატეგორიას და არც ერთ ხელსაწყოს არა აქვს უნარი აღმოაჩინოს იგი. სისხლის სამართლებრივი საქმეების განხილვაში თანამედროვე ტექნიკური საშუალებების გამოყენება ზოგჯერ ღებულობს მოულოდნელ ფორმებს. დანაშაულობასთან ბრძოლის სიახლის ასეთ ფორმას მიეკუთვნება დაკითხვის პროცესში, ე.წ. „სიცრუის დეტექტორის ანუ „პოლიგრაფის“ გამოყენება. ამ აპარატს ლიტერატურაში მოიხსენიებენ, კიდევ როგორც „ლაი-დეტექტორს“ (სიცრუეში გამომჭერი), სიტყვა „პოლიგრაფი“ წარმოდგება ბერძნული სიტყვების ნაკრებს და თარგმანი ნიშნავს „მრავალრიცხოვან ჩანაწერს“ (polys - ნიშნავს მრავალს, მრავალრიცხოვანს, ფართოს

¹¹⁸ ინწვირველი ზ., ბრალდებულის დაკითხვის პროცესულურ-ეთიკური მხარე, ჟურნალი „სამართალი“ №1-2, 2005, გვ 17-18;

¹¹⁹ ცნობილაძე პ., საკანონმდებლო ტექნიკის უცხოური გამოცდილება, ჟურნალი „სამართალი“, 2004, გვ 13-14;

და grpho – ჩაწერას). „პოლიგრაფი“ წარმოადგენს მრავალფუნქციურ ოსცილოგრაფს, რომელიც საზღვრავს და არეგისტრირებს 4-დან 16-მდე ადამიანში მიმდინარე ფიზიოლოგიურ პროცესს, რაც დაკავშირებულია ემოციების წარმოქმნასთან: სუნთქვის სიხშირესთან, სისხლის წნევასთან, ხელისგულების სინოტივესთან, ბიოდენებთან (ტვინის, გულის, კუნთების) და ასე შემდეგ.¹²⁰

ამერიკის შეერთებული შტატების პოლიგრაფის ოპერატორების ასოციაციის კვლევებმა აჩვენეს, რომ „პოლიგრაფის“ მიერ მიღებული ინფორმაციის 87-96% ეფექტურად გამოიყენება სისხლის სამართლის საქმეების გამოძიებისას.

უმეტესი ქვეყნების და მათ შორის ჩვენი კანონმდებლობით „პოლიგრაფის“ გამოყენება იკრძალება და მისი საშუალებით მიღებულ შედეგებს არა აქვს მტკიცებულობითი ძალა. მაგრამ თუ დასაკითხი თანახმა არის, მას შეუძლია გაიაროს შემოწმება „პოლიგრაფზე“.

დანაშაულში ეჭვმიტანილის ფსიქოლოგიური მდგომარეობა, ამ მდგომარეობის ცვალებადობა და ემოციური მდგომარეობა, მხილებისას და დანაშაულთან დაკავშირებული საჭირო ინფორმაციის მიღებისას ძველთაგანვე იწვევდა მეცნიერების და იურისტების ინტერესს. ძველი დროიდანვე შემჩნეული იყო, რომ დაკითხვისას ადამიანი, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული, განიცდიდა მხილების, სიმართლის გამომჟღავნების შიშს, რის გამოც იცვლებოდა მისი ფიზიოლოგიური ფუნქციები. ასე მაგალითად ძველ ჩინეთში ეჭვმიტანილებს პირში ჩაგუბებული ჰქონდათ მშრალი ბრინჯი, მხილების პროცესში თუ ბრინჯი რჩებოდა მშრალი (შიშისაგან ადამიანს პირი უშრება), მტკიცდებოდა ეჭვმიტანილის დანაშაული. ძველ ინდოეთში ეჭვმიტანილს ეუბნებოდნენ დანაშაულთან დაკავშირებულ ნეიტრალურ და კრიტიკულ სიტყვებს, მას უნდა ეპასუხა თავში მოსული პირველივე სიტყვით და თან ნელა უნდა დაერთყა დოლისათვის. მიაჩნდათ, რომ თუ კრიტიკული სიტყვის დასახელებისას ეჭვმიტანილი მაგრად დაარტყამდა დოლს იგი იყო დამნაშავე.¹²¹

¹²⁰ Allen J. Michael, LLB, LLM, BARISTER „Criminal Law“, Fifth Edition, - London: Bleckstone Press Limited, 2007. P78-81;

¹²¹ Гусаков А. Н., Филищенко А. А. Следственная тактика в вопросах и ответах: Учеб. Пособие. Свердловск: Урал. гос. ун-т, 2003;

თუ გავანალიზებთ ზემოთ მოყვანილ მეთოდებს, არ იქნება რთული დავასკვნათ, რომ დამნაშავის გამორკვევისათვის მმხილებლები იყენებდნენ ადამიანის ცალკეული ფიზიოლოგიური ცვლილებების კონტროლს. ამ შემთხვევებში, ნერწყვის გამოყოფასა და მოძრაობის აქტივობას.¹²²

ბოლო წლებში მსოფლიოში გავრცელება ჰპოვა სპეციალურმა აპარატმა- „პოლიგრაფმა“ , რომლის მუშაობის პრინციპი ფორმირდებოდა და იხვეწებოდა ადამიანის ფიზიოლოგის შესწავლასთან ერთად. ათწლეულების განმავლობაში იგი გამოიყენება სხვადასხვა ქვეყნებში, დანაშაულთან ბრძოლის პრაქტიკაში. მაინც რაზეა დაფუძნებული „პოლიგრაფის“ მუშაობის პრინციპი? მთავარი ის არის, რომ „პოლიგრაფი“ აღმოაჩენს არა ტყუილს, არამედ საზღვრავს ადამიანის რეაქციას ექსპერიმენტატორის, მიერ დასმულ კითხვებზე. ადამიანის რეაქცია შეიძლება განვსაზღვროთ, ორგანიზმისათვის დამახასიათებელი მრავალი კრიტერიუმით, როგორცაა პულსის სიხშირე, არტერიული წნევისა და სუნთქვის ცვალებადობა (გრკვეული დროის განმავლობაში სუნთქვითი მოძრაობების სიხშირე და სიღრმე), ამასთან ერთად იზომება კანის ელექტრული წინაღობა. იურისტებისთვის, რომლებსაც არა აქვთ შეხება ფიზიკასთან, მედიცინასთან და ბიოლოგიასთან, შეიძლება გაუგებარი იყოს, თუ ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე რა პროცესებთან გვაქვს ამ შემთხვევაში საქმე. თუ ერთხელ მაინც აღელვებულა ან ანერვიულებულა ადამიანი, ემახსოვრება არასასიამოვნო შეგრძნებები: ხელისგულების ოფლიანობა, ასხამს ცივი ოფლი. როგორც ცნობილია, ადამიანის კანი დენს არ ატარებს, იგი იდეალური დიელექტრიკია, მაგრამ მის ზედაპირზე არის ყოველთვის ოფლის ნაწილაკები, რომელსაც გამოყოფს ორგანიზმი, როგორც დაწყნარებულ მდგომარეობაში ყოფნისას, ისე ფიზიკური, გონებრივი და ემოციური დამაბულობისას (გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ სპეციალურად ნავარჯიშები ადამიანები და ფსიქიკურად დაავადებულები). სწორედ ეს განაპირობებს ადამიანის კანის წინაღობის შეცვლას.¹²³

¹²² ტრექსელი შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი 2009, გვ 57;

¹²³ ინწკირველი ზ., ბრალდებულის დაკითხვის პროცესულურ-ეთიკური მხარე, ჟურნალი „სამართალი“ №1-2, 1998, გვ. 5-8;

ორგანიზმში მიმდინარე ასეთი სახის ცვალებადობებს, აფიქსირებს სპეციალური მიმღები მოწყობილობები, რომლებიც დღესდღეობით წარმოადგენენ მეცნიერების და გამოთვლითი ტექნიკის განვითარების მიღწევებს. მათ მონაცემების აღება შეუძლიათ როგორც ადამიანთან კონტაქტით, ისე უკონტაქტოდ. არსებული მონაცემები და მცირე ცვალებადობები რეგისტრირდება „პოლიგრაფზე“, რისი განხილვის შემდეგაც გამოგვაქვს შესაბამისი დასკვნები.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ უმეტესი ქვეყნების, და მათ შორის ჩვენი კანონმდებლობით „პოლიგრაფის“ გამოყენება იკრძალება და მისი საშუალებით მიღებულ შედეგებს არა აქვს მტკიცებულობითი ძალა. ზოგიერთ ქვეყანაში „პოლიგრაფის“ გამოყენება დაშვებულია მხოლოდ გამომიებისათვის საჭირო ინფორმაციის მისაღებად. დასავლეთ ევროპას ამ მხრივ უკავია ნეიტრალური მდგომარეობა, ოფიციალური მონაცემებით, მსგავს შემოწმებებს პოლიციურ პრაქტიკაში ადგილი არა აქვს. საქართველოში „პოლიგრაფის“ გამოყენების შესახებ ოფიციალური ინფორმაცია არ არსებობს.¹²⁴

ამერიკის შეერთებულ შტატებში ექვმიტანილის (მოწმის, დაზარალებულის) ტესტირებისათვის საჭიროა დადგენილი ფორმით მათი წერილობითი თანხმობა, მაგრამ რადგან მიღებული მონაცემები ატარებენ სავარაუდო ხასიათს, ისინი არ შეიძლება ჩაითვალოს ადამიანის დამნაშავეობის თუ უდანაშაულობის პირდაპირ მტკიცებულებად. ზოგიერთ შტატში არსებობს მდგომარეობა, რომლის თანახმადაც „პოლიგრაფის“ ჩვენება სასამართლო პროცესზე შეიძლება ჩაითვალოს მტკიცებულებად, თუ ბრალდების და დაცვის მხარე წინასწარ მოილაპარაკებენ ამ საკითხზე. საჭიროა აღინიშნოს, რომ უდანაშაულო ადამიანი თავისუფლად თანხმდება და ხანდახან თვითონაც ითხოვს „პოლიგრაფზე“ გამოკვლევას, რაც გამომიებისათვის მის დანაშაულებრივ ქმედებასთან კავშირის არქონის დამატებით მაჩვენებლად ითვლება.¹²⁵

¹²⁴ ინწკირველი ზ., ბრალდებულის ჩვენების შეფასების პროცესუალური მნიშვნელობა, ჟურნალი „სამართალი“ №5-6, 1998;

¹²⁵ Allen J. Michael, LLB, LLM, BARISTER „Criminal Law“, Sixth Edition, - London: : Bleckstone Press, 2001;

2. ჰიპნოზის გამოყენება დაკითხვისას

ზოგიერთ ქვეყანაში, დანაშაულის გამოძიებისას დაკითხვის პროცესში, გარკვეულ წილად ეფექტურობით გამოირჩევა ფსიქონერგეტიკული მეთოდები. ასეთი ერთ-ერთი მეთოდია ჰიპნოზი, რომელიც გამოიყენება სხვადასხვა სიტუაციებში მსოფლიოს 32 ქვეყანაში. ყოფილ საბჭოთა კავშირში, და დღესდღეობით საქართველოშიც, მსგავსი მეთოდი არ გამოიყენება, რადგან იგი ითვლება არატრადიციულ, ბოლომდე შეუსწავლელ მეთოდად. მეცნიერები მაინც ბოლომდე არ არიან დარწმუნებულები დაკითხვისას ადამიანზე ამ სახით ზემოქმედების უსაფრთხოებაზე, ამიტომ ითვლება, რომ ექვმიტანილების დაკითხვისას ჰიპნოზის გამოყენება არაპუმანურია. იმ ქვეყნებშიც კი სადაც დაშვებულია დაკითხვის დროს ჰიპნოზის გამოყენება, მას იყენებენ მხოლოდ მოწმეების შემთხვევაში. მიუხედავად ამისა, ცნობილია გახმაურებული საქმეები, სადაც დაკითხვისას გამოყენებული იქნა ჰიპნოზი, კერძოდ არასრულწლოვანთა გაუპატიურების საქმესთან დაკავშირებით. დაზარალებულებს სტრესის შედეგად არაფრის გახსენება არ შეეძლოთ, მაგრამ ჰიპნოზის ქვეშ დაკითხვისას მათ გაახსენდათ ისეთი მცირედი ნიშნებიც მოძალადეზე, როგორცაა ლოყაზე ხალი, შრამი, და სხვადასხვა ჭრილობები და ასე შემდეგ. როგორც წინა თავებში აღვნიშნეთ, ადამიანი აფიქსირებს ვიზუალურად თითქმის ყველგან, მაგრამ მეხსიერებას არ შეუძლია აღქმის შემდეგ ყველაფრის გახსენება. ჰიპნოზის ქვეშ კი შესაძლებელია, პრაქტიკულად ყველაფრის გახსენება, ისეთი მოვლენებისაც კი, რომელსაც ადგილი ჰქონდა 20-30 წლის უკან.¹²⁶

ამერიკის შეერთებულ შტატებში ჰიპნოზის ქვეშ დაკითხვა ნებადართულია მხოლოდ იუსტიციის მინისტრის და ფედერალური პროკურორის თანხმობის საფუძველზე. აუცილებელია, რომ გამოძიებლის გარდა დაკითხვას ესწრებოდნენ დამკვირვებელი და ექიმი.¹²⁷

¹²⁶ Криминалистика: Учебник / Под ред. Закатова А.А., Смагоринского Б.П. М.: ИМЦ ГУК МВД РФ, 2003;

¹²⁷ ფალიაშვილი ა., გამოძიების ორგანოების სრულყოფის საკითხები საქართველოს რესპუბლიკაში, კრებული „სამართლის რეფორმა საქართველოში“ თბილისი 1994 , გვ 26;

ექსტრასენსორიკის მექანიზმი ჯერჯერობით არ არის მეცნიერების მიერ საფუძვლიანად შესწავლილი, ამიტომ პრაქტიკაში მითი გამოყენება და მით უმეტეს საქართველოს შემთხვევაში არ არის კანონიერი და ჰუმანური.¹²⁸

3. ბიორითმოლოგიის გამოყენება დაკითხვისას

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ გარკვეულ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში ბრალდებული (ექვმიტანილი), მტკიცებულებების წარდგენის შემდეგ აღიარებს დანაშაულს და სცნობს თავს დამნაშავედ, მაგრამ ზოგჯერ იმყოფება ისეთ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში, როცა მსგავსი მტკიცებულების წარდგენისას იგი არ რეაგირებს მასზე და სულერთია, თუ რა მამხილებელი მასალა წარუდგინეთ მას.

ბიორითმოლოგებმა დაადგინეს, რომ ადამიანის ორგანიზმში იმყოფება ასზე მეტი ბიოლოგიური რითმი, რომლებიც გამოხატავს ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე სხვადასხვა ფიზიოლოგიურ მდგომარეობას. ეს არის ყოველდღიური ძილისა და სიფხიზლის, სხეულის ტემპერატურის ცვალებადობის, გულსისხლძარღვთა სისტემის მუშაობის და სხვადასხვა ბიორითმები. არსებობს ბიორითმები, რომელთა გამოვლინების ციკლი შეადგენს თვეებს და წლებს. უმეტესობა მათგანი დამოკიდებულია მზის გამოსხივების რითმულ ცვალებადობაზე, მთვარის ფაზებზე და დედამიწის ელექტრომაგნიტური ველის ცვალებადობაზე. სხვადასხვა ქვეყნებში მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ გეომაგნიტური აქტივობისას იზრდება ავადმყოფთა რიცხვი ფსიქიატრიულ სამკურნალო დაწესებულებებში, იზრდება თვითმკვლელობები და სხვადასხვა დანაშაულობათა რიცხვი. შემჩნეულია დამოკიდებულება მთვარის ფაზებსა და განზრახ მკვლელობათა რიცხვს შორის. გამომძიებელისათვის აუცილებელია არა მარტო დასაკითხვის ცალკეული ემოციების გამოვლინების შეფასება, არამედ მისი განწყობის ცოდნაც. ამაში მას დაეხმარებიან ბიორითმოლოგები, რომელთაც შეუძლიათ განსაზღვრონ დაკითხვისათვის ხელსაყრელი პერიოდი.

¹²⁸ გოგნიაშვილი ნ., ხაზარაშვილის ბ. ზოგიერთი მოსაზრება მოწმის ჩვენების ფსიქოლოგიასთან დაკავშირებით, ჟურნალი „სამართალი“ №8, 2003, გვ 21;

ბიორითმოლოგების გამოკვლევებით დადგენილია, რომ იმ პირების ექსპერიმენტულ დაკითხვისას, რომლებმაც ჩაიდინეს მძიმე დანაშაული, 36 შემთხვევიდან 28 შემთხვევაში (78%) მიღებულ იქნა დაწვრილებითი ჩვენება ჩადენილი დანაშაულის გარშემო. 8 შემთხვევაში (22%) ბრალდებულებს პოზიცია არ შეუცვლიათ, მაგრამ წამოცდენიათ ფაქტები, რომლებიც ადასტურებდა დანაშაულის ჩადენაში მათ მონაწილეობას. შემდგომში დაკითხვის ვიდეო ჩანაწერები გამოყენებული იქნა დამნაშავეების მხილებაში.

ტაქტიკური თვალსაზრისით დასაკითხები არ იყვნენ ინფორმირებულები, რომ მათთან მუშაობის პერიოდი შერჩეული იყო სპეციალურად, ბიორითმოლოგების გამოთვლების შედეგად და ადვოკატების ყოფნას დაკითხვაზე ხელი არ შეუშლია გამოძიებისათვის მათგან დაწვრილებითი რეალური ჩვენების მიღებაში.¹²⁹

4. სუნისა და მუსიკალური ფონის გამოყენება დაკითხვისას

შესაბამისი სასიამოვნო მუსიკალური ფონის შექმნა და გამოყენება არის ერთ-ერთი დასაშვები ხერხი ისეთი ბრალდებულის დაკითხვისას, რომელიც იძლევა ცრუ ჩვენებას. ეს ხერხი ემყარება იმ ფსიქოლოგიურ გამოკვლევებს, რომლის მიხედვითაც დამტკიცებულია, რომ მუსიკას შეუძლია იმოქმედოს ადამიანის ემოციურ სფეროზე.¹³⁰

ადამიანზე მუსიკის ზეგავლენა უმეტესად დამოკიდებულია კონკრეტულ ცხოვრებისეულ პირობებზე, რომელშიდაც ისინი იმყოფებიან. თითქმის ყველა ბრალდებულს აქვს ისეთი მუსიკალური ნაწარმოები, რომლის მოსმენაც მას სიამოვნებას ანიჭებს. მუსიკა ადაგზნებს, წარმოქმნის ადამიანში შესაბამისი აზრებისა და გრძნობების ასოციაციას, რომელიც იწვევს მისი ქცევის გარკვეულ ფორმირებას. გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ ბრალდებულის შინაგანი განწყობის ნეიტრალიზება, ცრუ ჩვენების მიცემაზე, შესაძლებელია (თუნდაც გარკვეული პერიოდით) მისთვის საყვარელი მუსიკალური ნაწარმოების ზემოქმედებით. მუსიკის გამოყენება იძლევა ეფექტს მაშინ, როცა კარგად არის შესწავლილი

¹²⁹ ტორვალდი ი. კრიმინალისტიკის ასი წელი, თბილისი 1998, გვ 36;

¹³⁰ იხ. იქვე 78 გვ;

ბრალდებულის (ექვმიტანილის) პიროვნული ნიშან-თვისებები, მისი ემოციონალური სფეროს თავისებურებები, ტემპერამენტი.

ბრალდებულების დაკითხვის შესახებ ამჟამად არსებულ ლიტერატურაში თითქმის არ გვხვდება რეკომენდაციები, რომლებიც ითვალისწინებს სქესის მიხედვით დასაკითხების ფსიქოლოგიური თავისებურებების გარჩევას, როცა ამავე დროს ფსიქოლოგები და ფიზიოლოგები მიუთითებენ ქალთა სქესის წარმომადგენლების მიერ სუნის აღქმის თავისებურებებზე და მის ქცევაზე გავლენის შესახებ.¹³¹

1974-1990 წლებში, რუსეთში ირკუტსკის ოლქის პროკურატურაში ჩაატარეს ცდები იმ ქალებზე, რომელთაც ჩადენილი ჰქონდათ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებები და რომლებიც არ აღიარებდნენ დანაშაულს. ჩატარებული ცდებიდან 40 შემთხვევა დადებითი შედეგით დამთავრდა.¹³²

პიროვნებების გარშემო განხორციელებული საგამომიებო ოპერატიულ ღონისძიებების გატარების შედეგად, შეგროვებულ ინფორმაციებზე დაყრდნობით, რომელიც ახასიათებდა დასაკითხ პიროვნებას, გამორკვეული იქნა მონაცემები თუ რომელი სუნამო უყვარს ბრალდებულს და რა ასოციაციებს აღუძრავდა მათ ესა თუ ის სუნამო.¹³³

ფსიქოლოგების რჩევით ბრალდებული ქალბატონების დაკითხვა წარმოებდა 17-დან 21 საათამდე. სანდო გარემოს შესაქმნელად კაბინეტში იმყოფებოდა ერთი გამომძიებელი. ბრალდებულის მოყვანამდე 10 წუთით ადრე გამომძიებელი კაბინეტს ანიავებდა კარგად, რომ არ ყოფილიყო რაიმე სხვა სუნი, ასხურებდა სათანადო სუნამოს შალის ნაჭერს და დებდა მაგიდის თაროზე. დაკითხვები გრძელდებოდა 2-დან 4 საათამდე, ამასთანავე ყველა ეპიზოდში არც ერთი დაკითხულთაგანი არ იყო ინფორმირებული და ვერც ხვდებოდა სუნის სპეციალური გამოყენების ფაქტს.

¹³¹ შინდელიშვილი გ., ფსიქოლოგიური კონტაქტი ექვმიტანილისა და ბრალდებულის დაკითხვისას, ჟურნალი „სამართალი“ №5, 2001, გვ 12;

¹³² Абшилова Г. В. Некоторые особенности производства допроса с участием переводчика // Российский следователь. -2004. - № 10;

¹³³ შინდელიშვილი გ., ფსიქოლოგიური კონტაქტი ექვმიტანილისა და ბრალდებულის დაკითხვისას, ჟურნალი „სამართალი“ №5, 2001, გვ 14;

5. ნარკოტიკული საშუალებების გამოყენება დაკითხვისას

აშშ-ს საპოლიციო პრაქტიკაში ტარდებოდა ექსპერიმენტები დაკითხვის დროს ნარკოტიკული საშუალებების გამოყენებით. დასაკითხების ვენაში შეჰყავდათ მორფის, ქლოროფორმის, ქლორიანი სკოპოლომინის შრატები, რომლებიც ასუსტებდა ტვინში გარკვეულ უჯრედებს და მოქმედებდა ადამიანზე როგორც ალკოჰოლი. იმის შემდეგ, როცა ადამიანი მივიდოდა ნახევრად უგონო მდგომარეობამდე ანუ პარალიზებული იყო ტვინის გარკვეული შემაჩერებელი უნარი, იწყებდნენ მის დაკითხვას. ამერიკელი მეცნიერი გ. მულბარი 1944 წელს აღნიშნავს იმ ფაქტებს, რომ სკოპოლომინის გამოყენებისას 50% შემთხვევაში ბრალდებულები ნახევრად უგონო მდგომარეობაში ლაპარაკობდნენ სიმართლეს.¹³⁴

დაკითხვის მსგავსი მეთოდები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 1958 და 1960 წლებში ცნობილი იქნა, როგორც არასამართლიან ქმედებად, ადამიანის ღირსების შელახვად და ადამიანის უფლებების დარღვევად, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს სამართალწარმოებასთან.¹³⁵

ზოგიერთ ქვეყანაში ღიად არ რეკლამირდება დაკითხვისას ნარკოტიკული საშუალებების გამოყენება, ზოგჯერ დეკლარირებასაც უკეთებენ მისი გამოყენების არაჰუმანურობას. ამიტომ სასურველია, რომ საპროცესო კოდექსში ნათლად იყოს აღნიშნული მსგავსი ნივთიერებების გამოყენების დაუშვებლობა.¹³⁶

სირთულე მსგავსი დაკითხვებისას მდგომარეობს პრეპარატის ოპტიმალური მუშა დოზის შერჩევაში. დაუშვებელია დოზის გადამეტება, რადგან ამან შეიძლება გამოიწვიოს დასაკითხის სრული გათიშვა ან სულაც სიკვდილი და მცირე დოზა კი ვერ იწვევს სასურველი „ეფექტის“ მიღწევას. ნარკოდაკითხვისას იყენებდნენ და დღესაც საზღვარგარეთ ზოგან იყენებენ შემდეგ დაუშვებელ მეთოდებს:

¹³⁴ ციხისელი თ., დეკანოზიშვილი გ. დაკითხვის ტაქტიკა და ფსიქოლოგიური თავისებურებები, თბილისი 2005 , გვ 43;

¹³⁵ კრიმინალისტიკა (სახელმძღვანელო II ტომი), თბილისი 1995 , გვ 77-78;

¹³⁶ კორკელია კ., მჭედლიძე ნ., ნალბანდოვი ალ., საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების სტანდარტებთან, თბილისი 2005 გვ 89;

- ❖ სასმელში ბელადონის („Atropa belladonna“ ლათ. ველური ბალი) ნაყენის გარევა, იმ მიზნით, რომ ნახევრად მიძინებულ მდგომარეობაში ადამიანს დააცდევინონ სიმაართლე;
- ❖ ვენაში სკოპოლომინის მცირე დოზის (0,5-1 მლგრ, 0,05% ხსნარი) ნელ-ნელა შეყვანა. ამის შემდეგ სუბიექტი ვერ აკონტროლებს თავს, ხდება ზედმეტად გახსნილი ურთიერთობაში, გულღია და ყვება იმას, რასაც ჩვეულებრივ მდგომარეობაში არ მოყვებოდა;
- ❖ ნატრიუმის-ტიოპენტალის ანუ პენტოტალის ხსნარის (ნარკოზული საშუალება ბარბიტურატი) 2-8 მლგრ, 10%-იანი ხსნარის ნელ-ნელა ვენაში შეყვანით (1 მლგრ-1 წუთში). ამის შემდეგ 10-15 წუთში შუქი ნელ-ნელა ბინდდება, ნივთები პატარავდება ზომებში, დამალული აზრები ამოტივტივდება ზედაპირზე, ქრება თავდაჭერილობა, სიფრთხილე, თუმცა ურთიერთობის სურვილი არ მყლავნდება.
- ❖ ნატრიუმის ამიტალის ანუ ბარბამილის (Amylat Natrium. Amilat. Amobarbital. Estimalum. Isoamyl. Pentimal.) 2-8 მლგრ, 10%-იანი ხსნარის ნელ-ნელა ვენაში შეყვანით (3-5 წუთში), ნარკოტიკულ ძილში გადასვლის შემდეგ, ამფიტამინის (C9H13N) ანუ 2-ამინი-1-ფენილპროპანის პსიქოსტიმულატორის ძლიერი დოზით გაგრძელებით. მიძინებული ადამიანის ფორსირებული გაღვიძების შედეგად აძლევს მას ენერჯის მოზღვავებას, რაც იწვევს ლაპარაკის სურვილს; ხმები და გარშემო ყველა სახე ხდება ნათელი და რელიეფური, პულსი და სუნთქვა ხშირდება, მთელი აზრები ნათდება და სურვილი ჩნდება ყვირილის ყველაფრის გადმონთხვის.¹³⁷¹³⁸

¹³⁷ ინწკირველი ზ., ბრალდებულის ცრუ აღიარების მიზეზები და მათი გამოვლენის მექანიზმი ფსიქოლოგიური და პროცესუალური ხერხებით და საშუალებებით. ჟურნალი „სამართალი“ №3, 2000, გვ 13;

¹³⁸ Allen J. Michael, LLB, LLM, BARISTER „Criminal Law“, Sixth Edition, - London: : Bleckstone Press, 2001.

VII თავი. სიახლეები კანონმდებლობაში და პრობლემის არსი.

7.1 ცვლილება სსსსკ-ის ნორმებში, შედარება ჰოლანდიის კანონმდებლობასთან (მოწმის დაკითხვასთან დაკავშირებით)

2009 წლის სსსსკ-ის მთავარი იდეა იმაში მდგომარეობს, რომ მოწმის ჩვენება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოწმემ იგი მისცა სასამართლო სხდომაზე.¹³⁹ სსსსკ-ის 243 და 118(3) მუხლების თანახმად, წინასასამართლო ჩვენებების წაკითხვა დასაშვებია მხოლოდ განსაზღვრულ შემთხვევებში. გამოძიების ეტაპზე გამომძიებლის მიერ ჩამორთმეული წინასასამართლო ჩვენებები შეიძლება წაკითხულ იქნას სასამართლო სხდომაზე, სხდომაზე დაკითხვის საჭიროების გარეშე, მაგრამ მხოლოდ სსსსკ-ის 243-ე მუხლით გასაზღვრული პირობების არსებობისას.

მტკიცებულებათა მარეგულირებელი წესების დადგენის უფლებამოსილებას აუეს ხელშემკვრელ მხარეებს უტოვებს, თუმცა უმჯობესად მიიჩნევა მტკიცებულების წარმოდგენას უშუალოდ სასამართლო სხდომაზე. ნიდერლანდებში წინასასამართლო ჩვენება ხშირად გამოიყენება მტკიცებულების სახით და ასეთი ჩვენების სასამართლო პროცესზე წასაკითხად აუცილებელი არ არის რაიმე წინაპირობების არსებობა.¹⁴⁰

- **დაცვის მხარის მდგომარეობა (მხარეთა თანასწორობის უფლება)** საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის გარდამავალი დებულებების თანახმად, გამომძიებელს უფლება აქვს, დაკითხოს მოწმეები სასამართლო სხდომამდე, დაცვის მხარის დაუსწრებლად და ისე, რომ დაცვის მხარეს არ აქვს კითხვების წერილობით ჩამოყალიბების შესაძლებლობა. გამომძიებელს აქვს მოწმის გამოძახების უფლება. თუ მოწმეს გამოიძახებენ, იგი ვალდებულია, უპასუხოს კითხვებს. თუ მოწმე უარს იტყვის პასუხების გაცემაზე ან მისცემს არასწორ ჩვენებას, მას დაეკისრება სისხლის

¹³⁹ ლალიაშვილი თ., სისხლის სამართლის პროცესი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი 2015, გვ 118;

¹⁴⁰ საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი (კერძო ნაწილი), ავტორთა კოლექტივი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი 2012, გვ 78;

სამართლის პასუხისმგებლობა. დაცვის მხარე არ ფლობს ასეთივე საშუალებებს, რომ აიძულოს მოწმე, მისცეს ჩვენება.¹⁴¹

ცხადია, ასეთი დაკითხვა ხელს არ უწყობს მხარეთა თანასწორობის უფლებას. მაგრამ საკითხავია, ირღვევა თუ არა აღნიშნული დაკითხვის წესით თანასწორობის უფლება, რომელიც სამართლიანი სასამართლოს უფლების შემადგენელი ნაწილია. ამ კითხვაზე პასუხი დამოკიდებულია იმაზე, ეძლევა თუ არა დაცვის მხარეს მოწმის დაკითხვის შესაძლებლობა სამართალწარმოების მოგვიანებით ეტაპზე. ზოგ ქვეყანაში, როგორცაა ნიდერლანდები, მოწმის მიერ გაკეთებულ განცხადებებს, როგორც წესი, აქვს მტკიცებულების ძალა. ასეთ პრაქტიკა თავისთავად არ წარმოადგენს აუექ-ის მე-6 მუხლის დარღვევას. აუეს აფასებს სისხლის სამართალწარმოებას მთლიანობაში. მხარეთა თანასწორობის უფლების, კერძოდ მოწმეთა დაკითხვის ნაწილში, დარღვევა დადგინდება, თუ დაცვის მხარეს სამართალწარმოების არც ერთ ეტაპზე არ მიეცა მოწმის ეფექტურად დაკითხვის შესაძლებლობა, ხოლო პროკურორს ჰქონდა მოწმისგან ჩვენების მიღების შესაძლებლობა. გარდა ამისა, თავად დაცვის მხარეს უნდა მოეთხოვა მოწმის დაკითხვა ან, როგორც მინიმუმ, უნდა გაეპროტესტებინა ჩვენების გამოყენება მტკიცებულების სახით.

2009 წლის სსსსკ-მა შემოიტანა დაკითხვა მაგისტრალი მოსამართლის წინაშე, რომელშიც მონაწილეობა შეუძლიათ დაცვის მხარესაც და პროკურორსაც. ასეთი დაკითხვა წარმოებს განსაზღვრულ შემთხვევებში; დაკითხვის დროს მოპოვებული ჩვენება დასაშვებია განსაზღვრულ შემთხვევებში.¹⁴²

ჰოლანდიის კანონმდებლობა გარკვეულწილად ჰგავს საქართველოს 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს. მოწმე შეიძლება დაკითხოს გამომძიებელმა (რომელიც პოლიციის მუშაკია). ამგვარად გაკეთებული განცხადებები დასაშვებია, როგორც მტკიცებულება. მაგრამ ვითარება იცვლება, თუ დაცვის მხარე ითხოვს მოწმის დაკითხვას. ამ შემთხვევაში, მოწმეთა დაკითხვის უფლება უნდა იყოს უზრუნველყოფილი. მოწმეთა დაკითხვის უფლების

¹⁴¹ ლალიაშვილი თ., სისხლის სამართლის პროცესი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი 2015, გვ 120;

¹⁴² ლომსაძე მ., სისხლის სამართლის პროცესი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი 2013, გვ 65;

განხორციელებით, იქნება ეს გამოძიების ეტაპზე თუ სასამართლო სხდომაზე, მიიღწევა მხარეთა თანასწორობის უფლების რეალიზება. მნიშვნელოვანი განსხვავება ქართული პროცესისგან ის არის, რომ ჰოლანდიაში მოწმე არ არის ვალდებული გამოცხადდეს და მისცეს ჩვენება. ეს პროცესი სრულიად ნებაყოფლობითია.¹⁴³

➤ **მოწმეთა დაკითხვის უფლება** აუეს-ის პრეცედენტული სამართლის მიხედვით, დაცვის მხარეს უნდა მიეცეს მოწმის ჩვენების სანდოობის შემოწმების შესაძლებლობა. სასურველია, ეს მოხდეს სასამართლო პროცესზე, მაგრამ როგორც მინიმუმ სამართალწარმოების რომელიმე ეტაპზე. თუ ასეთი შესაძლებლობა დაცვის მხარეს არ მიეცა, საამისოდ უნდა არსებობდეს დასაბუთებული მიზეზი. 2009 წლის სსსსკ-ის მიხედვით, როგორც წესი, მოწმემ ჩვენება უნდა მისცეს სასამართლოში, ხოლო დაცვის მხარეს უნდა ჰქონდეს მისი ჯვარედინი დაკითხვის შესაძლებლობა. 2009 წლის სსსსკ-ის 243-ე მუხლის თანახმად, წინასასამართლო ჩვენების წაკითხვა მხოლოდ განსაზღვრულ შემთხვევებშია დასაშვები. ეს შემთხვევები აუეს-ის მიერ დასაბუთებულ მიზეზებად ჩაითვლება. მაშინაც კი, თუ არსებობს დასაბუთებული მიზეზი, გამამტყუნებელი განაჩენი არ შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ ან უპირატესად შეუმოწმებელ ჩვენებას, თუ ეს გარემოება არ არის საკმარისად დაბალანსებული. როგორც ჩანს, ამჟამად მოქმედი წესებით, დასაშვებია, გამამტყუნებელ განაჩენს საფუძვლად დაედოს მხოლოდ ან ძირითადად წინასასამართლო ჩვენება, რომელიც ჩამორთმეულია გამომძიებლის მიერ დაკითხვის შედეგად, რომელშიც დაცვის მხარეს არ ჰქონდა მონაწილეობის მიღების საშუალება. აუეს-ის პრეცედენტული სამართლის მიხედვით, აღნიშნული გარემოების დამაბალანსებელი ეფექტი შეიძლება ჰქონდეს ექსპერტის დასკვნას მოწმის ჩვენების სარწმუნოობასთან დაკავშირებით. მაგრამ 2009 წლის 51(3) მუხლი არ ითვალისწინებს ექსპერტის მიერ მოწმის ჩვენების სარწმუნოობის შეფასების შესაძლებლობას.

თუ მოწმე დაიკითხება მაგისტრატი მოსამართლის წინაშე, მაშინ დაცვის მხარეს აქვს დაკითხვაში მონაწილეობის მიღების უფლება. განსაზღვრულ შემთხვევებში,

¹⁴³ მოწმის სამართლებრივი მდგომარეობა და დაკითხვის წესი სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიებისას, ჟურნალი „ინტელექტუალი“, 2010 წელი, #8 ;

მოწმე შეიძლება დაიკითხოს დაცვის მხარის დაუსწრებლად. 2009 წლის სსსსკ-ის 118(3) მუხლი ადგენს, რომ მაგისტრატი მოსამართლის წინაშე დაკითხვის შედეგად მიღებული წინასასამართლო ჩვენება, გარკვეულ შემთხვევებში, არ შეიძლება იყოს ერთადერთი საფუძველი გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისთვის. ეს ნორმა არ გამორიცხავს, რომ გამამტყუნებელი განაჩენი ძირითადად დაეფუძნოს მოწმის ისეთ ჩვენებას, რომლის შემოწმების საშუალებაც დაცვის მხარეს არ ჰქონია.¹⁴⁴

ჰოლანდიის უზენაესმა სასამართლომ თავისი პრეცედენტული სამართლით ჰოლანდიის სისხლის სამართლის პროცესში გადმოიღო აუეს-ის მიდგომა მოწმეთა დაკითხვასთან დაკავშირებით. მართალია, მოწმეებს, როგორც წესი, სასამართლო პროცესზე არ იძახებენ, მაგრამ მნიშვნელობა აქვს, ეძლევა თუ არა მხარეს მათი დაკითხვის შესაძლებლობა. თუ დაცვის მხარეს ასეთი შესაძლებლობა არ მიეცა, ეს შეიძლება გახდეს საქმეზე გამამართლებელი განაჩენის დადგომის საფუძველი.¹⁴⁵

7.2 ახალი წესები და პრობლემატიკა აღნიშნული სიახლეებიდან გამომდინარე.

მოწმეთა წინასასამართლო დაკითხვის წესი და მათი ჩვენების მტკიცებულებად გამოყენების წესები არსებითად შეიცვალა 2009 წლის სსსსკ-ით. 1998 წლის სსსსკ-ის მიხედვით, გამომძიებელს შეუძლია აიძულოს მოწმე, მისცეს ჩვენება დაცვის მხარის დაუსწრებლად. ამგვარი დაკითხვის შედეგად ჩამორთმეული ჩვენება შეიძლება გამოყენებულ იქნას მტკიცებულების სახით. 2009 წლის სსსსკ-მა კი შემოიღო დაკითხვა მაგისტრატი მოსამართლის წინაშე, რომელშიც, როგორც წესი, ორივე მხარე მონაწილეობს. მოწმე შეიძლება გამოკითხოს პროკურორმა, მაგრამ ეს ნებაყოფლობითი პროცედურაა, ხოლო გამოკითხვის შედეგად მიღებული ჩვენება არ არის დასაშვები მტკიცებულება.

¹⁴⁴ საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილი), ავტორთა კოლექტივი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი 2013, გვ 68;

¹⁴⁵ მოწმის სამართლებრივი მდგომარეობა და დაკითხვის წესი სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიებისას, ჟურნალი „ინტელექტუალი“, 2008 წელი, #6;

მაგისტრატი მოსამართლის წინაშე მოწმეთა დაკითხვის წესი ჯერ არ არის ამოქმედებული.

ახალი სსსსკ-ის წესები დადებითად უნდა შეფასდეს დაცვის მხარის პოზიციიდან. პროკურორს აღარ ექნება მოწმეთა დაკითხვის უფლება სხვათა დაუსწრებლად, დაცვის მხარის მონაწილეობის გარეშე. დაკითხვას მაგისტრატი მოსამართლის წინაშე შეჯიბრებითი ხასიათი ექნება. ამჟამად, გარდამავალ პერიოდში, პროკურორის მიერ წინასასამართლო დაკითხვის შედეგად ჩამორთმეული ჩვენებები დასაშვებია, როგორც მტკიცებულება, თუ არსებობს 2009 წლის სსსსკ-ის 243-ე მუხლში აღნიშნული წინასასამართლო ჩვენების დასაშვებობის ერთ-ერთი სპეციალური საფუძველი. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია, ბრალდებულის გამამტყუნებელ განაჩენს საფუძველად დაედოს მოწმის ჩვენება, რომლის დაკითხვის შესაძლებლობა დაცვის მხარეს არ მისცემია. ეს კი ეწინააღმდეგება აუეკ-ის 6(3)(დ) მუხლს, თუ მოწმის ჩვენება გადამწყვეტი მნიშვნელობისაა.¹⁴⁶

მაგისტრატი მოსამართლის წინაშე წინასასამართლო დაკითხვა ამოქმედებულია და სატესტო მდგომარეობებშია, ამ ყოველივეს კი ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა მაგალითად საქართველოს პროკურატურის მოსაზრებით, ეს ახალი პროცედურა უარყოფითად იმოქმედებს საქმის სასამართლოში წარმატებით წარმართვის შესაძლებლობაზე. საკითხავია, რამდენად ახლოა სინამდვილესთან ეს ვარაუდი. აუცილებელია, ერთმანეთისგან განვასხვავოთ ორი საკითხი: პირველი საკითხია, რა პირობებში უნდა ჩაითვალოს წინასასამართლო ჩვენება დასაშვებ მტკიცებულებად. როგორც ჩანს, ეს საკითხი სადაო არაა, რადგან სსსსკ-ის 243-ე მუხლი უკვე შევიდა ძალაში. ეს მუხლი ადგენს, რომ მოწმის წინასასამართლო ჩვენება დასაშვებია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში. ზოგადი წესით კი, მოწმეებმა ჩვენება უნდა მისცენ სასამართლოში. 1998 წლის სსსსკ არ შეიცავდა მსგავს დანაწესს. პროკურორის მიერ დაკითხვის დროს მოწმის მიერ მიცემული ჩვენება დასაშვები მტკიცებულება იყო. მეორე საკითხია, მაგისტრატი მოსამართლის წინაშე დაკითხვა თავისთავად გამოიწვევს

¹⁴⁶ ტრექსელი შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი 2009, გვ 95;

თუ არა საქმის სასამართლოში წარმატებით წარმართვის შესაძლებლობის შემცირებას. საქართველოს პროკურატურის შიში, ალბათ, დასაბუთებულია. თუ პროკურორი გამოკითხავს მოწმეს, მაშინ ამ რეჟიმში მოწმის მიერ გაკეთებული განცხადებები არ არის დასაშვები მტკიცებულება. პროკურორს შეუძლია მოითხოვოს გამოკითხვა მაგისტრატის მოსამართლის წინაშე, მაგრამ ეს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებშია შესაძლებელი. თუ ეს გარემოებები არ იქნება სახეზე, პროკურორი დამოკიდებული ხდება მოწმის ნება-სურვილზე, გაიმეორებს თუ არა გამოკითხვის დროს გაკეთებულ განცხადებებს სასამართლოში. მოწმე შეიძლება გარდაიცვალოს, ადგილსამყოფელის დადგენა შეუძლებელი იყოს ან არ გაიმეოროს იგივე.

2009 წლის სსსსკ-ში ზოგიერთი ასპექტი ჰოლანდიური სისხლის სამართლის პროცესის მსგავსად არის წარმოდგენილი. ორივე სამართლის სისტემაში მოწმე შეიძლება საქმის არსებით განხილვამდე გამოიკითხოს გამომძიებლის მიერ და მოსამართლის წინაშე. გამოკითხვა ნებაყოფლობითია. მოსამართლის წინაშე დაკითხვა ნებაყოფლობითი არ არის სსსსკ-ის მიხედვით, ასევე შეიძლება არ იყოს ნებაყოფლობითი ჰსსსკ-ის მიხედვით.¹⁴⁷ არსებული განსხვავებები დიდია. პირველი განსხვავება: ჰოლანდიური სამართლის მიხედვით, მოწმის მიერ გამომძიებელთან დაკითხვაზე გაკეთებული განცხადებები დასაშვებია, როგორც მტკიცებულება, ხოლო ქართული სამართლის მიხედვით - დაუშვებელია. მეორე განსხვავება: ჰოლანდიური სამართლის მიხედვით, მოწმე შეიძლება დაიკითხოს გამომძიებელი მოსამართლის წინაშე ისე, რომ ამისათვის საჭირო არ არის რაიმე განსაკუთრებული წინაპირობების არსებობა. ქართული სამართლის მიხედვით კი, მოწმე შეიძლება დაიკითხოს მხოლოდ მაგისტრატის მოსამართლის წინაშე, თუ არსებობს განსაზღვრული წინაპირობები. ეს განსხვავებები აიხსნება სისხლის სამართლის პროცესის სხვადასხვა ხედვით. ბევრ ქვეყანაში, მაგალითად, დიდ ბრიტანეთში, წინასასამართლო ჩვენება მტკიცებულების სახით დაიშვება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში. მოწმემ ჩვენება უნდა მისცეს საქმის არსებითი განხილვისას სასამართლო სხდომაზე, რათა სასამართლოს/ნაფიც მსაჯულებს

¹⁴⁷ საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილი), ავტორთა კოლექტივი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი 2013, გვ 75;

ჰქონდეთ მოწმისა და მის მიერ გაკეთებული განცხადებების სარწმუნოების თაობაზე საკუთარი შთაბეჭდილების შექმნის შესაძლებლობა და რათა დაცვის მხარეს შეეძლოს, შეჯიბრებითი პროცესის პრინციპიდან გამომდინარე, თავისი უფლებების განხორციელება. ჰოლანდიაში ეს სხვაგვარად მიიღწევა. ის, რომ პოლიციის მიერ წარმოებული დაკითხვისას მოწმის მიერ გაკეთებული განცხადებები შეიძლება გამოყენებულ იქნას მტკიცებულების სახით, ალბათ, მიუთითებს გარკვეულწილად ნდობის არსებობაზე ჰოლანდიური პოლიციის მიერ მოწმეთა დაკითხვის მიმართ.

1998 წლის სსსსკ-ს და 2009 წლის სსსსკ-ს შორის ორი ძირითადი განსხვავებაა, რაც ეხება გამომძიებლის მიერ მოწმეთა წინასასამართლო დაკითხვას. პირველი: 2009 წლის სსსსკ-ის მიხედვით მოწმის გამოკითხვა ნებაყოფლობითია, ხოლო მოწმე ვალდებულია, ჩვენება მისცეს დაკითხვისას. მეორე: გამომძიებლის მიერ მოწმის გამოკითხვის შედეგები არ არის დასაშვები მტკიცებულების სახით, ხოლო დაკითხვის შედეგები მტკიცებულაა. საქართველოს პროკურატურის მერ გამოთქმული შიში შეიძლება შემცირდეს, თუ გამოკითხვის დროს გაკეთებული განცხადებები მიჩნეულ იქნება მტკიცებულადად, 243-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების არსებობისას. საკითხავია, რა საჭიროა სავალდებულო მონაწილეობა და ფიცის დადება იმისათვის, რომ გაკეთებული განცხადებები ჩაითვალოს ჩვენებად და ჰქონდეს მტკიცებულების ძალა. ჩვენების ფიცის ქვეშ მიცემა სულაც არ არის გარანტია, რომ ის აუცილებლად უფრო სარწმუნოა, ვიდრე ჩვენება, რომელიც ფიცის ქვეშ არ არის მიცემული. თუ მოწმე არ გამოცხადდება ან უარს იტყვის ჩვენების მიცემაზე, პროკურორს შეუძლია მოითხოვოს დაკითხვა მაგისტრატი მოსამართლის წინაშე. შეიძლება განვიხილოთ ამ შესაძლებლობის უფრო ხშირ შემთხვევებში გამოყენება, ვიდრე ამჟამად გათვალისწინებულია 2009 წლის სსსსკ-ით. კერძოდ, როდესაც სასამართლო პროცესზე მოწმის არგამოცხადება ცნობილი გახდება მხოლოდ სასამართლო პროცესის დაწყების შემდეგ. მაგალითად, მოწმის ადგილსამყოფელი ცნობილი იყო წინასასამართლო დაკითხვის დროს, მაგრამ მან შემდგომ დატოვა ქვეყანა უცნობი მიმართულებით და მისი გაუჩინარება მოსალოდნელი არ იყო.

თუ წინასასამართლო ჩვენების დასაშვებობის შემთხვევები გაფართოვდება, საჭირო გახდება შესაბამისი გარანტიების არსებობა. მაგალითად, დაცვის მხარეს უნდა შეეძლოს მნიშვნელოვანი მოწმის დაკითხვა სამართალწარმოების რომელიმე ეტაპზე. მოწმის ჩვენების სარწმუნოების დაცვა შეიძლება მოხერხდეს გამომძიებლის მიერ წარმოებული გამოკითხვის აუდიო-ვიზუალური ჩაწერით და დაცვის მხარისთვის გამოკითხვაზე დასწრების უფლების მინიჭებით.

საბოლოო ჯამში, ის პრობლემები, რომლებიც ადევნებს საქართველოს პროკურატურას, შეიძლება მოგვარდეს მტკიცებულებათა წესებში მცირეოდენი შესწორებების შეტანით. თუ მოწმის გამოკითხვის შედეგებს მივიჩნევთ დასაშვებ მტკიცებულებად 2009 წლის სსსსკ-ის 243-ე მუხლში განსაზღვრული გარემოებების არსებობისას, სისხლის სამართლებრივი დევნის წარმოებაც ეფექტური გახდება და დაცვის მხარის უფლებაც დაცული იქნება.

შემაჯამებელ და ზოგად პრობლემატიკას კი დასკვნაში შემოგთავაზებთ.

დასკვნა

მოცემულ ნაშრომში განხილულ იქნა მოწმის დაკითხვის ზოგადი და სპეციფიკური საკითხები, რაც მოიცავდა მოწმის დაკითხვის სამართლებრივ ასპექტებს, გამოძიების სტადიაზე და სასამართლოში საქმის განხილვისას, როგორც საზღვარგარეთის ქვეყნებში, ასევე საქართველოში, ასევე დაკითხვის პროცესში ტექნიკური საშუალებების განხილვას. გამოიკვეთა მოწმის დაკითხვის თავისებურებები და მათი მდგომარეობა, საერთო სამართლის სისტემისა და კონტინენტალ-ევროპული სისტემის სისხლის სამართლის პროცესის მიხედვით. მოხდა მოწმის დაკითხვის მიზანთა იდენტიფიცირება და ამგვარი დაკითხვის შემმუშავებელ ორგანოთა მნიშვნელოვნების ხაზგასმა. საქართველოში არსებული მოწმის დაკითხვის და შესაბამისად მის მიერ მიცემული ჩვენების, აგრეთვე ძველი აღმოსავლეთისა და ანტიკური, ევროპის და აზიის ქვეყნების მოწმის დაკითხვის ისტორიის მიმოხილვის შემდეგ ყურადღება დაეთმო მოწმის დაკითხვის მნიშვნელოვნებას როგორც საქართველოში, ასევე ანგლოამერიკული და ევროპული სამართლის სისტემის ქვეყნებში. ამას დამატებით, ნაშრომში შეგვხვდა სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება და მასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები.

ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა 2009 წლის 09 ოქტომბრის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელებულ ცვლილებებზე, ის რომ 1998 წლის საქართველოს სსსკ-სგან განსხვავებით, 2009 წლის სსსსკ ითვალისწინებს გამოკითხვას და დაკითხვას, თუმცა იგი დიდი ხანია წარმატებით მოქმედებს საერთო სამართლის ქვეყნებში. მოწმის გამოკითხვის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ არ მოხდეს კონსტიტუციით და საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დარღვევა და ნაკლებად შემზღვეველი იყოს. აგრეთვე, იმ საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა, რომლებიც სისხლის სამართლის საქმის წარმოების პროცესში მხარეთა უფლებების დაცვას, და ზოგადად, გამოძიების ეფექტიანობას გაზრდის მიზანს ემსახურება. ისიც შეიძლება

ითქვას, რომ ზოგადად გამოძიების ორგანოებს და ზოგადად პროკურატურას ხელი არ შეეშლება მტკიცებულებათა მოპოვებაში და დანაშაულთან ბრძოლის მექანიზმი დაიხვეწება, რადგან გამოკითხვის დროსაც კი, გამოსაკითხ პირს აფრთხილებენ ცრუ ჩვენების მიცემისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის თაობაზე. ამგვარად, უსაფრთხოების დღევანდელი გამოწვევების ფონზე კიდევ მეტად აქტუალური საკითხია პირის გამოკითხვა, რადგან ამ მეთოდით შესაძლებელი იქნება ადამიანის უფლებების დაცვა, რაც მოწმეს პარტნიორად და დანაშაულის გახსნის მონაწილედ აქცევს. ამავე დროს, მისი ორიენტირი საჯარო ინტერესია. მოწმის გამოკითხვისას პროკურორი მოქმედებს ერთგვარი ლეგიტიმური ზეწოლის საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს მის ობიექტურობასა და სამართლიანობის მაღალ ხარისხს. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე უნდა ითქვას, რომ მიხედვად იმისა, რომ გადაიდგა საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გამოძიების ეტაპზე მოწმის დაკითხვასთან დაკავშირებით და შესაბამისობაში მოყვანა მოხდა საერთაშორისო სტანდარტებთან, ეს საკმარის საშუალებად არ შეიძლება მივიჩნიოთ და მის განვითარებაზე ზრუნვა მუდმივად დღის წესრიგში უნდა იყოს.

ჩემი აზრით 2016 წლიდან ამოქმედებული მოწმის მაგისტრატი მოსამართლის წინაშე დაკითხვა ძალიან კარგი და წინ გადადგმული რეფორმაა, რადგან საბჭოთა რეჟიმს არც თუ ისე დიდი ხნის წინ გამოქცეული ქვეყნის ირგვლივ ხშირად იყო და არის სტერეოტიპი (თუ არა სტერეოტიპი), რომ მოწმეზე ხდება იძულება დაინტერესებული მხარის მიერ გამოძიების სტადიაზე, როდესაც დაცვის მხარის მონაწილეობის გარეშე ხდებოდა მისი დაკითხვა. და დაცვის მხარეს არ შეეძლო მისი სავალდებულო დაკითხვის უზრუნველყოფა. ამ შემთხვევაში კი როდესაც მოწმე უარს განაცხადებს საგამოძიებო ორგანოში დაკითხვაზე, მაშინ შუამდგომლობით შესაძლებელია მისი სავალდებულო წესით მაგისტრატი მოსამართლის წინაშე დაკითხვა, რასაც მტკიცებულების ძალა აქვს. ანუ თუკი პირი უარს ამბობს მოწმის სახით დაკითხვაზე სამართალდამცავ ორგანოებში, შესაძლებელია, რომ ის სასამართლოში დაიკითხოს, ანუ მოსამართლის თანამონაწილეობა და მოსამართლის ჩართულობა ამ პროცესში კიდევ მეტ გარანტიას შექმნის იმისთვის, რომ მოწმეზე რაიმე სახის პროცესუალური

დარღვევები არ განხორცილედეს. თუმცა ამ ყოველივეს მაინც აქვს ბევრი ხარვეზი, რამდენად ეფექტური იქნება ეს ინსტიტუტი ან რამდენად მზადაა ქართული სასამართლო სისტემა ამ ყოველივესთვის? ხომ არ გამოიწვევს ეს რეფორმა საქმეების გამოძიების უფრო გაჭიანურებას? რამდენად აქვს ქართულ სასამართლო დაწესებულებებს საკმარისი სივრცე და შესაძლებლობა რომ მოხდეს მოწმეთა დიდი რაოდენობის მიღება და მაგისტრატ მოსამართლეთა წინაშე დაკითხვა, რათა არ მოხდეს გამოძიები გაჭიანურება დაყოვნებისდა გამო.. ეს ის კითხვებია, რომლებიც აღნიშნული რეფორმის ოპოზიციურ მხარეს არსებობს. მაგრამ ჩემი აზრით მთავარი პრობლემაც ამაშია, აღნიშნული პუნქტი სსსსკ-ში 2009 წელს გაჩნდა, ხოლო მისი ამოქმედების მრავალგზის და წლობით გადატანის მიუხედავად მაინც არ მოხდა აღნიშნული რეფორმისადმი ეფექტური მისადაგება ქართული სასამართლო სისტემის. 7 წელი ყოველივე ამისთვის საკმაოდ დიდი დროა.. აქედან გამომდინარე მინდა ვთქვა რომ ქართული კანონმდებლობა ძალიან ვადა-გაჭიანურებულად და არაეფექტურად ახდენს კონტინენტური ევროპის, საერთო სამართლის ქვეყნებში წარმატებით მოქმედი რეფორმების დანერგვას ქართულ კანონმდებლობაში, მაგალითად გამოკითხვის წესი ცენტრალური ევროპის სამართალში, რომელსაც საქართველო დიდწილად იზიარებს, 2000 იან წლებში გაჩნდა და წარმატებით მოქმედებდა, ხოლო საქართველოში მხოლოდ 2009 წელს დაინერგა, ამიტომ დადასტურებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართული სამართალი ძალიან ნელა უბამს მხარს ევროპის ქვეყნების წარმატებულ სამართლებრივ რეფორმებს... რომლებიც ადამიანის უფლებათა დაცვის უფრო მეტს გარანტიებს იძლევა. ასევე მოწმის სავალდებულო დაკითხვის კანონზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ძალიან დიდი დრო დასჭირდა ქართულ კანონმდებლობას, რათა საერთო სამართლის ნორმა მოწმის ნეაყოფლობითობაზე საგამოძიებო ორგანოში ჩვენების მიცემაზე, გაგვეზიარებინა და დაგვენერგა, რაც ნაკლებად სტერეოტიპულ (თუ არასტერეოტიპულ) ფონს შექმნიდა საქართველოში მოწმეზე ზეწოლის შესახებ, და აქედან გამომდინარე არასამართლიან მართლმსაჯულებაზე. დასკვნის სახით ვიტყვი, რომ აუცილებელია მოწმე იყოს ხელშეუვალი და მაქსიმალურად ნებაყოფლობითი, რათა მსჯავრიც სწორი და სამართლიანი იყოს, რადგან როგორც

დასაწყისში აღვნიშნე, მოწმე არის მართლმსაჯულების თვალი და ყური და აუცულებელია მაქსიმალურად დავხვეწოთ და განვავითაროთ აღნიშნული ინსტიტუტი, რათა განვავითაროთ ქართული მართლმსაჯულება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია, 1995 წლის 24 აგვისტო
2. „საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებათა შესახებ“ მიღებული 1966 წლის 16 დეკემბერი.
3. „ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია“, რომი 1950 წლის 4 ნოემბერი.
4. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 1998 წლის 20 თებერვალის მდგომარეობით.
5. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თბილისი, 2009 წლის 1 ოქტომბერის მდგომარეობით.
6. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თბილისი, 2016 წლის მდგომარეობით.
7. ტრექსელი შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, 2009.
8. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი. (2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით) გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი 2015.
9. თუმანიშვილი გ., სისხლის სამართლის პროცესი - ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, „იურისტების სამყარო, თბილისი 2014,
10. ლალიაშვილი თ., სისხლის სამართლის პროცესი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი 2015.
11. საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი (კერძო ნაწილი),ავტორთა კოლექტივი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი 2012.
12. ლომსაძე მ., სისხლის სამართლის პროცესი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი 2013.
13. ფალიაშვილი შ., კრიმინალისტიკა-ზოგადი ნაწილი, თბილისი 2013.
14. საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილი), ავტორთა კოლექტივი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი 2013.
15. თუმანიშვილი გ., სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბილისი 2014.

16. მეტრეველი ვ., საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2013.
17. ლეკვეიშვილი მ., სასამართლო პროცესი მე-17-18 საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოში, თბილისი 1963.
18. კეკელია მ., სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი საქართველოში რუსეთთან შეერთების წინ, წიგნი I, თბილისი 1970.
19. თარხნიშვილი გ., სასამართლოს წარმოება საქართველოში ვახტანგ VI-ის კანონების მიხედვით, კრებული ივანე ჯავახიშვილის რედაქციით
20. ცაცანაშვილი მ., სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორია, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2013
21. ნადარეიშვილი გ., სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, გამომცემლობა „ბონა კაუზა“, თბილისი 2008
22. ჰერბერტ დ. ბოუმანი და ჩხეიძე გ., ადვოკატურება სისხლის სამართლის პროცესში ქართველი იურისტებისათვის, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2014.
23. საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესი, გამომცემლობა „თსუ“, თბილისი 1988.
24. მეიშვილი ზ., კოეზენაძე ო., საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, გამომცემლობა „სეზანი“, თბილისი 2006.
25. გუცენკო კ.ფ. /გოლოვკო ლ.ვ. /. ფილიმინოვი ბ.ა, დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბილისი 2007.
26. მოწმის სამართლებრივი მდგომარეობა და დაკითხვის წესი სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიებისას, ჟურნალი „ინტელექტუალი“, 2008 წელი, #6
27. დაუთაშვილი პ., საქართველოს სისხლის სამართალი (ზოგადი ნაწილი), თბილისი 2008.
28. კორკელია კ., მჭედლიძე ნ., ნალბანდოვი ალ., საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების სტანდარტებთან, თბილისი 2005.

29. გოლვიტცერი ვ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, ბერლინი 2005.

უცხო-ენოვანი ლიტერატურა

30. М.Х. Хабибуллин. Ответственность за заведомо ложный донос и заведомо ложное показание по советскому уголовному праву Издательство Казанского университета, 1975
31. М.С. Строгович. Курс советского уголовного процесса, Том II, М., 1970
32. Gerlach, J., Angeklagte als Zeuge für sich selbst im wnglischen Strafverfahren, 1964
33. Madeleine Colvin & Jonathan Cooper, Human Rights in the Investigation and Prosecution of crime, Oxford 2009
34. Carlson, R.L. and M.S. Voeipel (1980). "Material Witness and Material Injustice". Washington University Law Quarterly
35. Leo, R. (2004). "The Third Degree and the Origins of Psychological Interrogation in the United States." Interrogation, Confessions and Entrapment
36. Fairfax Jr, R.A. (2010). "Grand Jury Innovation: Toward a Functional Makeover of the Ancient Bulwark of liberty." William & Mary Bill of Rights Journal
37. H. Johnson, N. Wolfe, M. Jones. History of Criminal Justice (4 Edition). Publishing: Matthew Bender & company, 1998.
38. Bohlander, M. (2012). Principles of German Criminal Procedure. Oxford, Hart
39. Giannouloupolous, D. (2013). "Custodial Legal Assistance and Notification of the Right to Silence in France: legal Cosmopolitanism and Local Resistance
40. Schorm – Bernschatz, R., Die Tatsachenfeststellung in Verfahren vor dem Europäischen Gerichtshof für die Menschenrechte
41. Annual Report 2010, Registry of the European Court of Human Rights Strasbourg, 2011